DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Pitskhelauri, K. / ფიცხელაური, კ. / Пицхелаури, К. Н.
- Title: Works Of Kakheti Archaeological expedition Volume IV / კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციების შრომები ტომი IV / Труды Кахетской Археологической Експедиции том IV
- Publication Date: 1980
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_e00d862d6c

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

ჰ ა ხ ე თ ი ს
არქეოლოგიური ექსპედიციის
შრომები
IV

„მეცნიერება“
1980

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
არქეოლოგიური კომისია
АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ КОМИССИЯ
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ ИНСТИТУТА
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ ИМЕНИ
И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

ТРУДЫ КАХЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ
IV

WORKS OF KAKHETI ARCHEOLOGICAL EXPEDITION
IV

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
EDITION «METSNIEREBA»
ТБИЛИСИ—TBILISI
1980

IVE
4077

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები

IV



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1980

63.4 (2 ქ)
902.6 (47.922)
კ 359

კრებული ეძღვნება იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შესწავლას. მოცემულია მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კომპლექსების მთლიანი მეცნიერული პუბლიკაცია.

განხილულია ადრესამიწათმოქმედო პერიოდის, ადრე, შუა-და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები, აგრეთვე ანტიკური პერიოდის მდიდარი არქეოლოგიური მასალა სათანადო მეცნიერული ანალიზით.

წიგნი გათვალისწინებულია არქეოლოგებისათვის, ისტორიკოსებისა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი კ. ფიცხელაური

19/81

კ 10602 / M 607 (06)—80 261—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

კ. ფიცხელაური

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სავალე კვლევა-ძიების შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები

მიმდინარე წელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის საიუბილეოა. მას დაარსებისა და უწყვეტი სავალე მუშაობის ოცი წელი უსრულდება. როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილია, მის დაარსებამდე იორ-ალაზნის აუზი სრულიად შეუსწავლელი იყო არქეოლოგიური თვალსაზრისით [1]. გ. ნიორაძის, ლ. მუსხელიშვილის, გ. გოზალიშვილის, ს. მენთეშაშვილის, ა. აფაქიძისა და ნინო ბერძენიშვილის მიერ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე ჩატარებული მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ცალკეულ, შემთხვევით აღმოჩენებთან იყო დაკავშირებული და, ცხადია, მხარის წარსულზე ვერ ქმნიდა სრულ წარმოდგენას.

კახეთში ჩვენ გათხრითი სამუშაოები დავიწყეთ 1956 წელს, როდესაც გულგულაში, ოლიების ტყის სამაროვანზე რამდენიმე სამარხის ნაშთი შევისწავლეთ [2]

1959 წლიდან დღემდე კი ფაქტიურად უწყვეტ სავალე არქეოლოგიურ სამუშაოებს ვაწარმოებთ მთელი კახეთის ტერიტორიაზე. ეს სამუშაოები დაიწყო სოფ. მელაანში, სადაც 1959 წელს გაითხარა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამლოცველო და რამდენიმე სამარხი „ჩალიანხევის“ სამაროვანზე [3]. შემდეგ, 1960 წელს სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში დაზვერვებს [4] მოჰყვა გათხრითი სამუშაოები ხირსაში, სადაც შესწავლილ იქნა ადრებრინჯაოს ხანის სამარხი, გვიანბრინჯაოს ხანის რამდენიმე ორმოსამარხი და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის სამეთუნეო სახელოსნო [5]. 1963 წლიდან კი უკვე კარგად დაკომპლექტებული კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია სტაციონარულ გათხრით სამუშაოებს აწარმოებს შირაქის ტერიტორიაზე. აქ, სოფელ ქვემო ქედში ექსპედიციამ სავალე კვლევა-ძიება ჩაატარა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების ლითონის სახელოსნო უბანზე. პარალელურად ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები ივრის პლატოს მთელ ტერიტორიაზე [6]. 1964 წელს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა ქვემო ქედის ლითონის სახელოსნო უბანზე, ზემო ბოდბეში დაცული ტყის ტერიტორიაზე, სადაც შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის გორასამარხები გამოვლინდა, მელაანის სამხრეთით მელი-ღელეს სამლოცველოზე და ატარებს დაზვერვებს ქიზიყისა და ალაზნის ზემო წელის ტერიტორიაზე [7].

1965 წლიდან ექსპედიცია საველე არქეოლოგიური სამუშაოებს აწარმოებს ახალმშენებლობათა ხაზით. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რამაც ფაქტიურად დასაბამი მისცა კახეთის სიძველეთა გეგმაზომიერ, მრავალმხრივ შესწავლას [8].

სწორედ ამ ნიადაგზე ჩატარებულ სამუშაოთა საფუძველზე, არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელი კუთხიდან კახეთი ამჟამად საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უკეთ გამოკვლეული მხარეა. აქ ამჟამად ასობითაა გამოვლენილი ქვის ხანის, ადრე, შუა და გვიანბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური და ფეოდალური ხანის ძეგლები [9].

ფართო საველე სამუშაოებთან ერთად ღრმად იქნა გაანალიზებული მონაპოვარი მასალა. დაისვა და გადაწყდა მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა.

კახეთში ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენა საეჭვოდ იყო მიჩნეული, ნინო ბერძენიშვილის მიერ ლაკბის ხევში ნაპოვნი ერთადერთი ქვის იარაღი კი სერიოზული მსჯელობის საშუალებას არ იძლეოდა. დღეისათვის, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, აქ ძველი ქვის ხანის ადამიანის ხუთ ათეულამდე ადგილსამყოფელია დადასტურებული (რაზმის ხელმძღვანელი თ. ბუგიანიშვილი). მათ შორის ერთი სოფ. ზიარათან, ღია ტიპის სადგომი, დაუზიანებელი, უძრავი კულტურული ფენით, უნიკალურია. აღნიშნულმა მასალამ სპეციალისტებს საშუალება მისცა ქვედა პალეოლითურ კულტურაზე ემსჯელათ ზოგად კავკასიური მასშტაბით და ამასთან ერთად დაედგინათ ამ მხარის ძეგლების მრავალი თავისებური მხარე [10].

მიუხედავად მიზნობრივი ძიებისა, ძველი ქვის ხანის მომდევნო პერიოდების კუთვნილი ძეგლები იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიიდან უცნობი რჩება, რაც, ცხადია, არ იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ ამ მხარის მატერიალური კულტურის თანამიმდევრულ განვითარებას.

ზედაპალეოლითური რამდენიმე იარაღი აღმოჩნდა ივრის მარცხენა სანაპიროზე, გორასამარხისათვის მოზვინულ ყრილში და მის მახლობლად. სხვა ნიშანი ამ პერიოდის მასალების არსებობისა არსად არ ჩანს და მათი მოძიება პირველი რაზმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ე. წ. ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ძეგლებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მეორე რაზმი იკვლევს. ისევე როგორც ეპიპალეოლითური, ამ დროის მასალებიც კახეთიდან სრულიად უცნობი იყო და ექსპედიციის ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლის ვ. ვარაზაშვილის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარების მთელი სერიის აღმოჩენა ლაგოდეხის რაიონში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე. მისი განსაზღვრით, აქ გამოვლენილი მასალები ე. წ. ადრე სამიწათმოქმედო პერიოდის ფინალურ ეტაპს უნდა ეკუთვნოდეს და წინასწარულად ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. მეტად არსებითია, რომ აქ მოპოვებული მასალები საშუალებას იძლევა ერთიმეორეს დავუკავშიროთ ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურა ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებს. ექსპედიცია ამ ძეგლების სტაციონარულ კვლევას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ვ. ვარაზაშვილმა ამ ხანის ძეგლების რამდენიმე პუნქტის არსებობა ივრის აუზშიც დაადასტურა.

კახეთში ახალ მშენებლობებთან დაკავშირებულ არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბებამდე ფაქტიურად სრულიად უცნობი იყო ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებიც, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებში ექცევა. ამჟამად კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მესამე რაზმის და პირადად მისი ხელმძღვანელის, 1977 წელს უდროოდ გარდაცვლილი შიო შოთას ძე დედაბრიშვილის თავდადებული, მიზნობრივი და ღრმად გააზრებული შრომის შედეგად დადგენილია, რომ კახეთი ამ დროის ძეგლებითაც საკმაოდ მდიდარია. აღმოჩენილია მრავალი ნამოსახლარი და სამაროვანი. დადგენილია, რომ იორ-ალაზნის ტერიტორიაზე გავრცელებული ადრებრინჯაოს ხანის კულტურა ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში ექცევა. გარკვეულია მისი ურთიერთობა მეზობელ, განსაკუთრებით კავკასიონის ჩრდილოეთით გავრცელებულ კულტურებთან, გამოვლენილია ამ კულტურის თავისებური მხარეები და სხვ. კახეთში მოპოვებული მასალების წყალობით შ. დედაბრიშვილს მიეცა საშუალება დამაჯერებლად ესაუბრა ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურების მჭიდრო გენეტიკურ კავშირზე, რასაც ადრე სპეციალისტები სათუოდ მიიჩნევდნენ [11].

სრულიად განსაკუთრებულია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიღწევები ე. წ. ადრებრინჯაოს ხანის დასასრულის, ე. ი. ძვ. წ. III ათასწლეულის დამლევის კუთვნილი ძეგლების გამოვლენაში.

როგორც ცნობილია ჩვენი საზოგადოებისათვის, ალაზნის ველზე ბოლო წლებში გაითხარა ამ დროის გრანდიოზული სამარხები, რომლებმაც უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი მასალა შეგვძინა [12]. აქ შესწავლილი ერთერთი სამარხის მიწის ყრილის დიამეტრი 140 მ აღწევდა, ხოლო მისი შემორჩენილი სიმაღლე 11 მ. სამარხს მიწაყრილს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა 20 მ სიგანის ქვის ჯავშანი. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ სამარხის ყრილის შესაქმნელად მოზიდულია არა ნაკლებ 66000 მ³ მიწა და ქვა. მიწისა და ქვის ყრილის ქვეშ სამარხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა ქვის მშრალი წყობით ნაგები წრიული შენობა და მისგან აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრში მიწაში ამოჭრილი დიდი ოთხკუთხა ორმო, რომელშიც კედლების გასწვრივ ვერტიკალურად ჩასმული ხის მორებით ნაგები იყო დასაკრძალავი დარბაზი.

აღნიშნული სამარხის გამართვა, ცხადია, ერთი ტომის ძალებით შეუძლებელია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ალაზნის ველზე შესაძლოა არსებობდა ტომთა კავშირი ან სხვა რამ გაერთიანება, რომელთა მკვიდრებმა თავიანთ ბელადს თუ უფრო მაღალი რანგის გარდაცვლილ ხელმძღვანელს საერთო ძალებით აუგეს ეს ვეებერთელა ნაგებობა.

ყოველივე აღნიშნულის გარდა ამ ვარაუდს ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ ამ სამარხებში მშვენიერ თიხის ჭურჭელთან, ხის ურემთან, ბრინჯაოს იარაღთან და უაღრესად დახვეწილი ხელოვნებით დამზადებულ ობსიდიანის ისრისპირებთან ერთად, დიდი რაოდენობითაა ჩატანებული ოქროს ნივთებიც, რომელთა დამზადების ტექნიკა ოქრომჭედლობის უმაღლეს საფეხურზე დგას (ლომის ქანდაკება, გავარსით შემკული მძივები, საკინძი და სხვა მრავალი).

ზემოთქმულის დადასტურებაა აგრეთვე ამ სამარხებში ძირითადი, მდიდრულინვენტარიანი მიცვალებულის გვერდზე სრულიად უინვენტარო ჩონჩხების აღმოჩენა, რომლებიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ მისთვის შე-

წირულ ადამიანებს (მცველებს, მსახურებს) უნდა ეკუთვნოდეს. ადამიანის მსხვერპლშეწირვა კი უფრო მეტად კლასობრივი საზოგადოების არსებობას უნდა გულისხმობდეს.

ესეც კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნა, რომელიც გვავალებს სრულიად ახლებურად გავიაზროთ ქართველი ხალხის უძველესი ისტორია.

ალაზნის ველის ამ სამარხთა მსგავსი აგებულებისა და ინვენტარის მქონე სამარხები ექსპედიციამ ივრისპირებშიც შეისწავლა. ექსპედიციამ აქვე მიაგნო ამ ხანის კულტურულ ფენებს, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ქვეშ აღმოჩნდა (აკაკიანთ ხევის ნამოსახლარი).

კახეთმა უმნიშვნელოვანესი მასალა მოგვცა მომდევნო ხანის, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის, ე. წ. თრიალეთური კულტურის გასააზრებლადაც [13].

ამ მასალის კვლევის საფუძველზე მიღებული პირველი და უმთავრესი დასკვნა ის არის, რომ გაფართოვდა თრიალეთური კულტურის გავრცელების ფარგლები — მან მოიცვა მთლიანად იორ-ალაზნის აუზიც. კიდევ მეტი, თუ ადრე ზოგიერთი მკვლევარი თრიალეთს ამ კულტურის გავრცელების ჩრდილო პერიფერიად თვლიდა, კახეთის აღმოჩენები აუცილებელს ხდის ამ ვარაუდს ეჭვის თვალით შევხედოთ. მეტად საყურადღებოა, რომ ტიპიური თრიალეთური ოქროს ნივთებიც კი კახეთში ზუსტ ანალოგიებს პოულობს. ასეთია, მაგალითად, ძალაუფლების ინსიგნიის, ოქროს შტანდარტის ნაწილები, რომელიც ივრისპირებში ადგილ „სადუღაზე“ აღმოჩნდა და სხვ.

ამ თვალსაზრისით მეტად არსებითია ის ფაქტიც, რომ თუ თრიალეთური კულტურის გავრცელების დღემდე ცნობილ ტერიტორიაზე ამ კულტურის მატარებელი ხალხის ნამოსახლარები აღმოჩენილი არ იყო, ამჟამად კახეთში, კერძოდ სიღნაღის რაიონში, ალაზნის ველზე, ამ დროის ერთ ათეულზე მეტი ნამოსახლარი დადასტურდა მძლავრი კულტურული ფენით. ამ აღმოჩენამ გვაიძულა სხვაგვარად შეგვეხედა თვით თრიალეთური კულტურისათვის და ახლებურად გაგვეაზრებინა ამ დროის მრავალი სოციალ-ეკონომიური პრობლემა.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანის ძეგლთა შესწავლის საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ შუაბრინჯაოს ხანაში მოსახლეობა ძირითადად ტოვებს დაბლობ რაიონებს და ითვისებს მთიან რეგიონს. ამ მოვლენას სხვადასხვანაირად ხსნიდნენ. აკად. ბ. პიოტროვსკი აღნიშნულ ფაქტს უმთავრესად ნახევრადმომთაბარული მესაქონლეობის განვითარებას უკავშირებდა [14], ი. კიკვიძე კი სამეურნეო კრიზისით ხსნიდა [15]. აღმოსავლეთ საქართველოში ამ ფაქტს მართლაც რეალური საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან ფართო მასშტაბის დაზვერვითმა სამუშაოებმა ქვემო და შიდა ქართლში მრავალ გორანამოსახლარზე მხოლოდ ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები დაადასტურეს, შუაბრინჯაოს ხანის საცხოვრისის კვალი კი არ ჩანდა [16].

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართულ არქეოლოგიურ მეცნიერებაში დიდი როლი ითამაშა აკად. ნ. ბერძენიშვილის თეორიამ ნამოსახლარი გორების შესახებ [17]. თუ მანამდის აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის მხოლოდ რამდენიმე ნამოსახლარი იყო ცნობილი, ამ თეორიის საფუძველზე გაირკვა მათი ტოპოგრაფიის პრინციპი და დაზვერვითმა ექსპედი-

ციებმა ამ ტიპის ძეგლები მთისწინა ზოლში, შეიძლება ითქვას, ასობით გამოავლინეს. მაგრამ ამ კვლევა-ძიებას, ჩვენი აზრით, ჰქონდა უარყოფითი მხარეც, ვინაიდან იკვლევდნენ მხოლოდ მთაგორიან ადგილებს და აღრიცხავდნენ ნამოსახლარებს ბუნებრივ ბორცვებზე, რომლებიც შორიდანვე კარგად შეიმჩნეოდა საფორტიფიკაციო ნაგებობების (თხრილი, ტერასა, ყრილი და სხვ.) მიხედვით, რომელთა ნაშთები ამჟამადაც კარგად გამოჰყოფს მათ რელიეფიდან და სრულიად უყურადღებოდ დარჩა დაბლობი ადგილები, მდინარეთა ტერასები. როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მკვლევარებს მხედველობიდან გამორჩათ ის ნამოსახლარები, რომლებიც აქ იყო განლაგებული.

1978 წელს კახეთში, ივრისპირებში საველე კვლევა-ძიების დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ივრის მარცხენა ნაპირზე, ამჟამად მშრალი ხევებისა და მათი შენაკადების ტერასებზე ხშირად ჩნდება შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. ისინი, როგორც წესი, სრულიად სწორ ადგილზეა განლაგებული, უშუალოდ ხევის პირას. ამ ნამოსახლართა კულტურული ფენა ხშირად სამი მეტრის სიმძლავრისა ჩანს მრავალი სამშენებლო ჰორიზონტით. როგორც წესი, ხევს გაღმა, რომლის პირზედაც შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდებარეობს, განფენილია გორასამარხებით წარმოდგენილი ამავე დროის სამაროვნები. აღნიშნული ნამოსახლარები ერთიმეორისაგან დაახლოებით ხუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული. მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ შევნიშნეთ ისიც, რომ შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის მახლობლად, მაგრამ უკვე მაღლობ ადგილზე ყოველთვის გვხვდება საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებული გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი (ამ ნამოსახლართა თარიღებს ვადგენთ ანაკრები მასალის მიხედვით). ვინაიდან ახლო-მახლო სხვა დროის ძეგლები არ ჩანდა, ეს ორი განსხვავებული ტოპოგრაფიის ნამოსახლარი კი ყოველთვის წყვილად გვხვდებოდა, თავისთავად დაგვებადა აზრი ამ ორი ნამოსახლარის ურთიერთკავშირის შესახებ. შემდგომმა საველე კვლევამ ეს ჩვენი ეჭვი დაადასტურა. ჩვენი ვარაუდის შესამოწმებლად ივრისპირა ხეობებში დავიწყეთ მაღლობზე ადვილად შესამჩნევი გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ძიება და მხოლოდ მისი აღმოჩენის შემდეგ, მასთან იმავე შეფარდებაში, როგორც ადრე გვქონდა დადასტურებული, ხევის პირას, შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ძებნა. ყველა შემთხვევაში ჩვენ მიზანს მივაღწიეთ. გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლართან შეწყვილებული ყოველთვის შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა — გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მაღლობზე, შუაბრინჯაოსი კი მდინარის ტერასაზე. თითქოს ისიც დადგინდა, რომ მდინარეთა ტერასებზე ადამიანი ძვ. წ. III ათასწლეულიდან ცხოვრობს და, როგორც ჩანს, შუაბრინჯაოს ხანის შემდგომ პერიოდშიც აგრძელებს ცხოვრებას, საფორტიფიკაციო ნაგებობებით გამაგრებულ ბუნებრივ ბორცვებზე კი ადის მხოლოდ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე, ე. ი. კახეთში შედგენილტარიანი სატევრების არსებობის პერიოდში.

კიდევ მეტი, ჩვენ იგივე ექსპერიმენტი ჩავატარეთ ივრისპირებიდან საკმაოდ მოშორებულ ადგილზე — გომბორის ქედის სამხრეთ ძირობაზე, სოფელ ჩალაუბნის აღმოსავლეთით, სადაც გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის სამხრეთით დაახლოებით 1 კმ მანძილზე, ფერდზე, ადგილ „დასაქანზე“ აღმოჩნდა

შუაბრინჯაოს ხანის, შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის და გვიანბრინჯაოს ხანის პირველი საფეხურის ნამოსახლარი და სამაროვანი. იგივე სურათი დადასტურდა სიღნაღის რაიონში, ნუკრიანის მინდვრებში, ადგილ „ვაისწყალზე“, „ნაქალაქარის“ ბორცვებსა და მის მიმდებარე დაბლობებში, რომელსაც „ჩალიანხევს“ უწოდებენ.

ამგვარად, ვფიქრობთ, მივაგენით შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა განფენის პრინციპს და დავადგინეთ მათი აუცილებელი კავშირი გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებთან. ეს კი ცხადია, ფართო ჰორიზონტს გვიშლის მატერიალური კულტურის გენეზისის, ამ კულტურის მატარებელი ტომების ეთნოგენეზისა და ჩვენი ერის უძველესი წარსულის სხვა კარდინალური პრობლემების კვლევაში.

ეს აღმოჩენა მით უფრო საინტერესო ჩანს, რომ შიდა ქართლში მდინარე მტკვრის პირას, მის მარცხენა ნაპირზე, მდინარის ფლატეში ზ. შატბერაშვილმა შენიშნა შუაბრინჯაოს ხანის მძლავრი კულტურული ფენა, ეს კი თითქოს იმის საფუძველია, რომ ივრისპირებისათვის შემუშავებულ თეორიას ხორცი ესხმება შიდა ქართლის ძეგლების მიხედვითაც.

ბუნებრივია, მომავალში ამ პრინციპის მისადაგება არ გამოდგება ყველა რეგიონისათვის. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ალაზნის ველზე ხელოვნური ბორცვები შეიცავს ბრინჯაოს ხანის ყველა პერიოდის კულტურულ ფენას. არ არის გამორიცხული ასეთივე სურათი დადგინდეს, მაგალითად, ქართლის ვაკეში და სხვა, მაგრამ ჩვენი თეორიის შესაბამისად შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ძიება აღმოსავლეთ საქართველოს მთაგორიან ტერიტორიაზე ყველგან უნდა იყოს შესაძლებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ამ ძეგლთა სისტემატური კვლევა კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას თავისი მომავალი მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნია.

მხოლოდ კახეთში აღმოჩენილმა ძეგლებმა გახადეს შესაძლებელი, ჯერ თამამად დასმულიყო, ხოლო შემდეგ სრულად გადაჭრილიყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა საქართველოს არქეოლოგიაში, კერძოდ, პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს შუა და გვიანბრინჯაოს ხანების მატერიალური კულტურის ურთიერთდამოკიდებულებისა (18 ა, გვ. 753—755; 18 ბ, გვ. 123—160).

ადრე ამ ეპოქებს შორის წყვეტილს ხედავდნენ (ამ მოსაზრებას ეხლაც ყავს თანამიმდევრები), მკვლევართა ნაწილი კი იმ შეხედულებას უფრო უჭერდა მხარს, რომელიც მათ გენეტიკურ კავშირს აღიარებდა. მაგრამ ამ უკანასკნელთა პოზიცია არ იყო მყარი, მათ მტკიცებას აკლდა საკმარისი კონკრეტული მასალა. ამის გამო ამგვარი დაკავშირება გარეგნულად ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, ნაკლებ დამაჯერებელი იყო და ბუნებრივია, ამ ვითარებაში თითქოს უფრო ამ კავშირის უარმყოფთა აზრი დამკვიდრდა.

მაგრამ შუა და გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურების ერთიმეორისაგან გათიშვის ხელშემწყობი მხოლოდ სათანადო მასალების უკმარობა არ იყო. ამ გამიჯვნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლო დროს აღმოსავლეთ საქართველოს ლითონის მასალების მიხედვით შედგენილი ქრონოლოგიური სკალის შესაბამისად, გვიანბრინჯაოს ად-

რეული საფეხურისათვის მიკუთვნებული ძეგლები ქრონოლოგიურად უშუალოდ იქნა მიახლოებული შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის ძეგლებთან [19]. ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეული მასალები ერთიმეორეს არ უკავშირდებოდა და აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეუძლებელი გახდა განვითარების განუწყვეტელი ჯაჭვისათვის თვალის გადევნება. ყოველივე ეს კი თავის მხრივ მცდარი დასკვნების წყარო გახდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას.

კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის განვითარებაში ამ მოჩვენებითი წყვეტილის არსებობა იმის საფუძვლად იქცა, რომ აქ შუასა და გვიანბრინჯაოს პერიოდებს შორის ძირეული ეთნიკური ცვლილებანიც კი დაენახათ, ე. ი. ევარაუდნათ მოსახლეობის შეცვლა — ერთის განადგურება ან წასვლა ამ მხარიდან, ხოლო მეორის მოსვლა ამ ადგილზე.

კახეთში მოპოვებულმა მასალებმა უარყვეს ეს მოსაზრება. აღმოჩენებმა ამ მხარეში შესაძლებელი გახადა მოგვეძებნა შუალედური რგოლი, ამ ეპოქათა მასალებს შორის და ისინი დაგვეკავშირებინა ურთიერთისათვის.

პირველად ამის საშუალება მოგვცა ზემო ბოდბეში შესწავლილმა ყორღანულმა სამარხებმა, სადაც კომპლექსებში აღმოჩნდა შერწყმული, როგორც შუა ისე გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი მასალები. შემდგომ ამ ხანის სამარხები კახეთში სხვაგანაც დადასტურდა. აღნიშნული მასალების გამოვლენის შემდეგ კი ყურადღება მიიქცია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში ადრე გამოვლენილმა კომპლექსებმაც, რომლებშიც ასევე ამ ორი პერიოდისათვის დამახასიათებელი მასალები იყო ერთად წარმოდგენილი. ამჟამად ამ ვარაუდს მეტი საბუთიანობა შესძინა თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარმა დიღომში, აღმოჩენებმა ლილოში და სხვ. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია უახლესი აღმოჩენები სიღნაღის რაიონში ადგილ „ვაისწყალზე“, სადაც შუასა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის ნამოსახლარის ფენებს უშუალოდ ზევიდან ადევს მისი მომდევნო, გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ნამოსახლარის კულტურული ფენა.

შესაძლოა მომავალში საჭირო გახდეს განვითარების კიდევ რამდენიმე საფეხურის გამოყოფა შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ არსებული მონაცემებითაც კი ამ ორი პერიოდის მატერიალური კულტურა, უკვე სრულიად ცხადად, გენეტიკურად უკავშირდება ერთიმეორეს.

კახეთის მასალების შესწავლამ ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა, ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის მასალების ერთი რიგის იდენტიფიკაციის საფუძველზე, ცალკე გამოგვეყო არქეოლოგიური ძეგლების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი (ფევრების, გულგულის, ვაისწყილის, ნასადგომარის სამაროვნების ქვედა სართული და მთელი რიგი ნამოსახლარის შესაბამისი კულტურული ფენები კახეთში; ნაცარგორის, მჭადიჯვრის, ყათნალიხევის ნამოსახლართა გარკვეული კულტურული ფენები და რველის, წეროვნის, ძამას ხეობის, სამთავროს სამაროვნების სამარხთა ერთი ჯგუფი შიდა ქართლში; ართიკის, ლორიბერდის სამაროვნები და სხვა მრავალი შემთხვევითი აღმო-

ჩენა ჩრდილო სომხეთში) და დაგვედგინა, რომ ისინი წინ უსწრებენ ბოლო დრომდე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურად მიჩნეულ ძეგლებს. ბუნებრივია, ამგვარმა დასკვნებმა აუცილებელი გახადა მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეგვეტანა არსებულ ქრონოლოგიურ სქემაში და ფაქტიურად ახალი ქრონოლოგიური სქემა შეგვედგინა ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის (იხ. 18 ა, ბ).

პირველად სწორედ კახეთში წარმოებულმა ახალმშენებლობებმა გახადეს შესაძლებელი ფართოდ გამოვლენილიყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები [20], რომელთა შესწავლამ, ჩვენი აზრით, შექმნა წინაპირობა საქართველოს არქეოლოგიაში უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასაყენებლად — მატერიალურ კულტურებსა და ეთნიკური ჯგუფების ურთიერთკავშირის გასარკვევად. კერძოდ, თითქოს მოხერხდა კახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის თავისებური მასალების სამი ჯგუფის დაკავშირება ე. წ. კახების, კუხებისა და ჰერების განსახლების ტერიტორიებსა და თვით აქ მოსახლე ტომებთან [21].

ბრინჯაო-რკინის ხანის მატერიალური კულტურის დასახელებულ პრობლემებსა და სხვა მრავალი გადაუჭრელი საკითხის გასარკვევად, შესაძლოა მთელი წინა აზიის მასშტაბით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირზე, წნორის მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე და ნაწილობრივ მის აღმოსავლეთით და სამხრეთით განლაგებულ მრავალფენიან ნამოსახლარებს [22]. აქ სხვადასხვა დროის მოსახლეობის ნაბინავრები (საყოფაცხოვრებო შენობები და სხვა) ერთიმეორეზეა დაფენებული ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან თითქმის სამი ათასწლეულის განმავლობაში და საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. მსგავსი ნამოსახლარების აღმოჩენა ჩვენ ტერიტორიაზე პირველი შემთხვევაა, მისი შესწავლა უნდა გახდეს საფუძველი, როგორც ქრონოლოგიური ისე სოციალ-ეკონომიური საკითხების კვლევისა მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის.

უდიდესი მნიშვნელობისაა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის აღმოჩენა 1978 წელს წითელწყაროს რაიონში, სოფ. თავწყაროს სამხრეთით ნამოსახლარ ბორცვზე, რომელიც „ნატახტარის“ სახელითაა ცნობილი. ნამოსახლარი ბორცვის თხემის ფართობი თითქმის ორ ჰა უდრის, ამას გარდა ბორცვს ირგვლივ ტერასები შემოუყვება, რომლებიც მთლიანად სამოსახლოდ ყოფილა გამოყენებული ბრინჯაო-რკინის ხანაში. ჩრდილო მხარეს, ბორცვის თხემიდან მის ძირში გამართულ ტერასამდე თითქმის თორმეტი მეტრია. თხემზე გავლებული სადაზვერვო თხრილის მიხედვით 4 მ სიმძლავრის კულტურული ფენაა. აქ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ბორცვის თხემს ირგვლივ 2 მ სიგანის თიხის (ალიზის?) კედელი შემოსდევს ქვის ბალიშზე, რომელიც უშუალოდ შუაბრინჯაოს თუ გარდამავალი ხანის კულტურულ ფენაზეა გამართული. ცხადია, გალავნის აღმოჩენა დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის ნამოსახლარის ირგვლივ გვავალებს სხვაგვარად გავიაზროთ ჩვენი ერის უძველესი წარსულის სოციალური მხარე.

ამჟამად სრულიად ახლებურად დადგა ანტიკური ხანის, კერძოდ ძვ. წ.

I ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ახ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ძეგლების გააზრების საკითხი მთელ კახეთში [25].

კარგა ხანს ითვლებოდა, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალურ კულტურაში წყვეტილია, რომ დაახლოებით ძვ. წ. VI—V საუკუნეებიდან აქ შავზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ადგილს უეცრად იკავებს წითელკეციანი ჭურჭელი, რომელიც არც სხვა მხრივ არის ძველი ტრადიციების გამგრძელებელი.

ხოვლეში ჩატარებული გათხრების საფუძველზე დ. მუსხელიშვილმა თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ამ დროს შიდა ქართლში მატერიალური კულტურის ცვლა კი არ ხდება, არამედ იჭრება უცხოურ კულტურათა მძლავრი ნაკადები, რომლებიც ერწყმის ადგილობრივს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ განუწყვეტელ განვითარებას აგრძელებს [23].

კახეთის თანადროულმა მასალამ იგივე პროცესი გამოავლინა (რაზმის უფროსი ნ. მამაიაშვილი). ქვემო ქედში ლითონის სახელოსნოს არქეოლოგიური თხრის დროს მოპოვებულმა ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების კუთვნილმა თიხის ჭურჭელმა, შიდა ქართლის მსგავსად, საშუალება მოგვცა ერთიმეორისათვის მჭიდროდ დაგვეკავშირებინა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი და მეორე ნახევრის მატერიალური კულტურა (24). კიდევ მეტი, იორ-ალაზნის აუზში მოპოვებული ამ ხანის მასალების მიხედვით, შესაძლებელი გახდა აქემენიანთა სახელმწიფოს მძლავრი გავლენა გვევარაუდნა. სხვებთან ერთად ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ალაზნის ველზე, სოფ. ჯუგაანის სავარგულების ტერიტორიაზე, ადგილ „გუმბათზე“, მრავალფენიანი ნამოსახლარის „ნაომარი გორის“ მახლობლად ძვ. წ. V—IV სს. ნასახლარის აღმოჩენა. სასახლე ალაზნის ველის ამაღლების შემდეგ, შუაბრინჯაოს ხანის ყორღანულ ველზეა გამართული. აქ ორი-სამი მეტრის სიგანის ალიზის კედლები და დიდი რაოდენობით თიხისა და ქვის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, აქვე გამოვლინდა სხვადასხვა დიამეტრის მქონე კირქვის სვეტის ძირები, რომლებიც ლოტოსის ფურცლის გამოსახულებითაა შემკული და პარალელს აქემენიდურ ძეგლებთან (პერსეპოლისის აპადანა და სხვ.) პოულობს.

ზემო ალაზნის, ქვემო სამგორის და წნორის მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობათა ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნის მასალა გენეტიკურად დაუკავშირდა წინამორბედ ძეგლებს და ამდენად, თავისთავად გამოეცალა საფუძველი იმ მოსაზრებას, რომელიც აქ კავკასიის ალბანეთისათვის დამახასიათებელ ე. წ. იალოილუთაფას კულტურას კახეთისთვისაც ადგილობრივად მიიჩნევდა [25].

იბერიისა და ალბანეთის სასაზღვრო ზოლის დადგენის პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია სტრაბონის რამდენიმე ცნობამ. ერთ შემთხვევაში იგი წერს: — „ალბანიიდან შემოსასვლელი (იბერიაში — კ. ფ.) ჯერ კლდეებში არის გამოჭრილი, ხოლო შემდეგ გადადის ის ჭაობზე, რომელსაც ჰქმნის მდინარე ალაზონიოსი, გამომდინარე კავკასიონის (ქედიდან)“ [26]. ამგვარად, თუ სტრაბონის ცნობა სწორად გვესმის, იგი იბერიისა და კავკასიის ალბანეთის საზღვარს იქ გულისხმობს, სადაც ალაზანი ჯერ და-

ჭაობებულ ვაკეზე, შემდეგ კი ვიწრო ხეობაში მიედინება. ჩვენ ამ თვალსაზრისით სპეციალურად მოვიხილეთ ალაზნისპირები. ალაზანი რამდენიმე ასეული მეტრის სიღრმის ვიწრო ხეობაში მხოლოდ ივრის პლატოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, „შავ მთასთან“ მიიკვლევს გზას. სხვაგან იგი ყოველთვის გაშლილ ველზე მდორედ მიედინება. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ვიწროების გავლის შემდეგ, დასავლეთისაკენ იწყება ალაზნის ჭაობიანი ნაპირები. სტრაბონის მიხედვით, თითქოს სწორედ აქ უნდა იყოს იბერიის აღმოსავლეთი საზღვარი[1].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სტრაბონის სხვა ცნობაც — „შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არის უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბიზენეზე, რომელიც მდინარე ალაზონიოსთან არის“ [27]. ამგვარად, სტრაბონი ამ შემთხვევაშიც იბერიასა და ალბანეთს შორის საზღვარს თანამედროვე კახეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში გულისხმობს.

ვფიქრობთ, ალბანეთისა და იბერიის საზღვრების დადგენისას ზემოთ დასახელებულ ფაქტებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ფართო გათხრით სამუშაოებს აწარმოებს ფეოდალური ხანის ძეგლების შესწავლის მიზნითაც. გამოკვლეულ იქნა არა ერთი ნამოსახლარი, ეკლესია და სამაროვანი ალაზნის ზემო დინებაში და ივრის ხეობაში [28].

ამგვარად, როგორც დავინახეთ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თავისი მუშაობის ოცი წლის მანძილზე არსებით შედეგებს მიაღწია. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიღწევები შედეგია მონოლითური კოლექტივის თავდადებული შრომისა, რომელიც გრძელვადიან, ზოგჯერ რვათვიან საველე სამუშაოებს კარგად უფარდებდა სამეცნიერო კვლევა-ძიებას. საანგარიშო პერიოდში კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებით ქ. სიღნაღში დააარსა ბრწყინვალედ აღჭურვილი არქეოლოგიური ბაზა — ფოტო და სარესტავრაციო ლაბორატორიით, დროებითი საცავით, მდიდარი ბიბლიოთეკით, კამერალური სამუშაოებისათვის საჭირო ფართობით და სხვ.

მომავალში ექსპედიცია კვლავ სოციალისტურ ახალმშენებლობებთან კავშირში აპირებს მუშაობის გაგრძელებას. კახეთში ახალი ფართო მელიორაციული სამუშაოების ჩატარება განზრახულია შირაქის აღმოსავლეთით, დილიჩის ტაფობზე, დავით გარეჯის უდაბნოს მიდამოებში, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე ნაურგლის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით, დაგეგმილია ალაზნის სარწყავი არხის გაგრძელება და დილიჩის ველის სარწყავი სისტემით დაფარვა, მუშავდება ალაზნის სარწყავის სისტემის მეორე რიგის მშენებლობა, რომელიც მოიცავს გარე კახეთს კაჭრეთს ქვემოთ და სხვ.

დაიწყო ფართო ნავთსაძიებო სამუშაოები მთელ გარე კახეთში. ყველა მშე-

---

[1] მეტად საინტერესოა, რომ ამ ვიწრო და ღრმა ხეობაში სულ რამდენიმე წლის წინაც გადიოდა აზერბაიჯანისა და საქართველოს დამაკავშირებელი გზა. გადმოცემით, აქ ერთმალიანი აგურის ძველი ხიდიც ყოფილა, რაც, ცხადია, ამ გზის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ნებლობასთან ექსპედიციას საქმიანი კავშირი აქვს დამყარებული და არქეოლოგიური სამუშაოებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხებია დაშვებული. ბუნებრივია, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიება მომავალში სწორედ ამ მიმართულებით იწარმოებს.

ამას გარდა, განზრახული გვაქვს უკვე 1979 წლიდან დავიწყოთ მრავალფენიანი ნამოსახლარის მრავალწლიანი სტაციონარული შესწავლა, რომელიც ამოსავალი იქნება როგორც ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხების კვლევისას, ისე სოციალ-ეკონომიური პრობლემების გარკვევისას. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამგვარი სამუშაოს საფუძველზე შეიძლება სისტემაში იქნას მოყვანილი მშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევის დროს მოპოვებული უმდიდრესი მასალა და ღრმად იქნას გააზრებული ყველა ისტორიული პროცესი.

ლიტერატურა

1. ა) კ. ფიცხელაური. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1977, № 12.

ბ) К. Н. Пицхелаури, Ш. Ш. Дедабришвили. Археологические исследования на новостройках Кахети. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976.

გ) К. Н. Пицхелаури, Ш. Ш. Дедабришвили. Работы Кахетской археологической экспедиции в зоне строительства Верхне-Алазанской оросительной системы (1965—1966 гг)., Труды КАЭ, т. 1, Тб., 1969.

2. კ. ფიცხელაური. გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულასთან, მსკატ. II, თბ., 1959.

3. კ. ფიცხელაური. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965.

4 კ. ფიცხელაური. არქეოლოგიური დაზვერვები სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში 1961 წელს. საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1962.

5 კ. ფიცხელაური. დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები ხირსაში 1962 წ. საქართველოში 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1963.

6. კ. ფიცხელაური. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის შედეგები. XIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964.

7 კ. ფიცხელაური. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964 წელს ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1965.

8 იხ. 1 ბ.

9. კ. ფიცხელაური. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ზოგიერთი წინასწარი შედეგი, „მაცნე“, 1971 № 1.

10. Т. В. Бугианишвили. Палеолитические памятники Иоро-Алазанского бассейна, Труды КАЭ, Тб., 1969.Т. В. Бугианишвили. Местонахождения древнекаменного века Иоро-Алазанского междуречья, Археологические открытия 1970 г. М. 1971.

11. Ш. Ш. Дедабришвили. Куро-Аракская культура в бассейне Иори и Алазани (Кахети). Доклад на секции Кавказа 18/IV—1966 г. в Москве (отчетный пленум ИА АН СССР), тезисы докладов, М., 1966.

Ш. Ш. Дедабришвили. Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды КАЭ т. 1, Тб., 1969.

Ш. Ш. Дедабришвили. Культура эпохи ранней бронзы Иоро-Алазанского бассейна, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб. 1970.

12. Ш. Ш. Дедабришвили. Курганы Алазанской долины, Труды КАЭ, т. II, Тб., 1978.

კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი. ახალი საყურადღებო აღმოჩენა კახეთში, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1975.

13. კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი. სადუღას ველის გორასამარხები, „მეცნიერება და ტექნიკა“ № 6, 1972.

14. Б. Б. Пиотровский. Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, XXIII, М., 1955.

15. ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963. ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.

16. დ. მუსხელიშვილი. ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის საველე სამუშაოთა (1956—1958 წწ.) შედეგები, სიგკ, 1, თბ., 1960.

გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი. ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები, სიგკ. 1, თბ., 1960.

დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, სიგკ 1, თბ., 1960.

17. ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, სიგკ. 1, თბ., 1960.

18. ა) კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის გენეზისისა და პერიოდიზაციის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 3, 1972.

ბ) კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.) თბ., 1973.

19 რ. აბრამიშვილი. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV-VI სს.), სსმმ, ტ. XXII—B 1961.

20. კ. ფიცხელაური. ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი მსკა, ტ. II, თბ., 1959.

К. Н. Пицхелаури. Рецензия на труд Н. В. Минкевич.-Мустафаевой — «О датировке и хронологических этапах некоторых памятников Азербайджана эпохи бронзы и раннего железа, „Мацне“, № 2, Тб., 1964.

К. Н. Пицхелаури. Исследования поселений и могильников в Кахети. Археологические открытия в 1970 г., М., 1971.

К Н. Пицхелаури. Ш. Ш. Дедабришвили. Работы Кахетской археологической экспедиции в зоне строительства верхнеалазанской оросительной системы (1965—1966 гг.). ТКАЭ т. 1. Тб., 1969.

К. Н. Пицхелаури. Итоги исследования памятников эпохи поздней бронзы раннего железа ТКАЭ т. 1, Тб., 1969.

К. Н. Пицхелаури. Локализация археологических культур на территории Восточной Грузии (конец II, начало I тыс. до н. э.), ТКАЭ, т. I, Тб., 1969.

21. იხ. 18, ბ., გვ. 191—207.

22. იხ. 18 ბ.

23. დ. მუსხელიშვილი. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

24. იხ. 18 ბ, გვ. 200—201.

25. К. Н. Пицхелаури Памятники второй половины I тысячелетия до н. э. на территории Кахети, СА № 3, 1977.

26. თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957, გვ. 129.

27. თ. ყაუხჩიშვილი. იქვე, გვ. 133.

28. ც. ჩიკოიძე. არქეოლოგიური მასალები თელავის ისტორიისათვის შუაფეოდალურ ხანაში, იაეი-ს შრომები, ტ. 7, თბ., 1963.

Ц. Н. Чикоидзе. Памятники раннего средневековья близ г. Телави, ТКАЭ, т. 1, Тб. 1969.

ც. ჩიკოიძე. ქალაქ თელავის ისტორიისათვის (ნივთიერი კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით), „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები", ტ. 1, თბ., 1969.

Ц. Н. Чикоидзе. К истории г. Телави, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1975.

Р. М. Рамишвили. Раскопки в Эрцо, Археологические открытия 1967 г., М., 1968.

Р. М. Рамишвили, В. Джорбенадзе. Работы в окрестностях с. Матани, Археологические открытия 1970 г., М., 1971.

რ. რამიშვილი, ჩუქურთმიანი სამარხი სიონიდან (ივრის სიონი), ძეგლის მეგობარი, № 23, თბ., 1971.

რ. რამიშვილი, ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, „ძეგლის მეგობარი", თბ., 1971.

Р. М. Рамишвили. Ахатанский могильник, Археологические открытия 1970 г. М, 1971.

Р. М. Рамишвили. Исследования раннефеодального могильника «Иагсари», ТКАЭ т. 1, Тб., 1969.

Д. Л. Мусхелишвили. Материалы по исторической географии ущелья Панкиси, ТКАЭ, т. 1, Тб., 1969.

ვ. ვარაზაშვილი

ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანების მასალები იორ-ალაზნის აუზიდან

(ტაბულები I—VI)

ბოლო დროს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხმარებაში შემოვიდა და დამკვიდრდა ცნებები — „ადრესამიწათმოქმედო პერიოდი“, „ადრესამიწათმოქმედო ხანა“. იგი მოიცავს ვრცელ პერიოდს — ძირითადად VI ათასწლეულიდან ვიდრე III—II ათასწლეულის მიჯნამდე. ამ პერიოდში ისახება და ყალიბდება მეურნეობის ახალი დარგები — მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. სწორედ მიწათმოქმედებამ წარმოშვა ის ნასოფლარი ბორცვები, რომლებიც მრავლადაა, როგორც წინა აზიაში, ასევე ამიერკავკასიაში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს წინააზიური ცენტრი, სადაც ამ პერიოდის მრავალი ძეგლია: ჯარმო, ჩათალჰუიუკი, ჰაჯილარი, ჰასუნა, დალმა-თეფე, იანიკ-თეფე და მრავალი სხვა [1, გვ. 5—6].

აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა ამიერკავკასიაშიც, რომელიც წინა აზიის ჩრდილო განაპირა მხარეს წარმოადგენდა. როგორც ფიქრობენ, აქ ადრესამიწათმოქმედო კულტურა წინააზიისაგან დამოუკიდებლად უნდა შექმნილიყო [1, გვ. 7].

1955 წელს ნახიჭევანის ქიულ-თეფეს ერთ-ერთი თხრილი დაყვანილი იქნა ყამირამდე. აღმოჩნდა, რომ ზედა „მტკვარ-არაქსის“ კულტურის კუთვნილი ფენის ქვეშ განფენილი იყო კიდევ ერთი ფენა, რომელიც უფრო ადრეული ხანის კულტურას ეკუთვნოდა. მსგავსი მაგალითი განმეორდა ბაბადერვიშის ერთ ბორცვზე [3, გვ. 8—9].

ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ნამოსახლარები გამოვლინდა აზერბაიჯანის სხვა პუნქტებშიც, ასეთებია: მილისა და ყარაბაღის ველი, მუღანი. 1961 წლიდან იწყება შომუ-თეფეს გათხრა [3, გვ. 9].

ამ პერიოდის ძეგლები მიკვლეულია აგრეთვე სომხეთში: თელუთი (ტეხუტა), ტერტერი-ძორი, სევ-ბლური, მაშტოცი-ბლური, ხატუნარხი და სხვა [3, გვ. 9].

უძველესი ნამოსახლარები გამოვლენილია საქართველოშიც, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წოფის ნამოსახლარი, რომელიც ყველაზე უფრო ადრე — 1957 წელს იქნა მიკვლეული. ამ პერიოდში გამოვლინდა თეთრიწყაროს ნამოსახლარი, ქოსალარი

და სხვა [3, გვ. 11—12]. მიუხედავად ამისა, საქართველოში მხოლოდ 1965 წლიდან იწყება ადრესამიწათმოქმედო კულტურის სისტემატური შესწავლა, მას შემდეგ, რაც ქვემო ქართლში აღმოჩნდა მრავალი ნამოსახლარი. აქ, მარნეულის ველზე გამოვლინდა რამდენიმე ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფი. აღნიშნულ ველზე ასეთი სულ ოთხი ჯგუფია. თითო ჯგუფში ერთიანდება 3-დან 5 ბორცვამდე. ესენია: სოფ. არუხლოსთან, ადგილ ქვემო შულავერში, სოფელ წითელ სოფელთან და ყაჩაღანის მიდამოებში [4, გვ. 7]. მათი დიამეტრი მერყეობს 80-დან 150 მეტრამდე (ზოგჯერ უფრო მეტიც). ხოლო კულტურული ფენის სიმძლავრე, მაგალითად, შულავერის გორაზე 7 მეტრამდე აღწევს [1, გვ. 47].

სხვა მდგომარეობაა კახეთში, აქ ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი „მტკვარ-არაქსზე“ უფრო ადრეული პერიოდის ნამოსახლარები და არც ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1958—60 წლებში ლაგოდეხის რაიონის სოფ. ულიანოვკის მინდვრებში მოპოვებულ მასალას (უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

1972 წელს, ლაგოდეხში მცხოვრებმა ტარიელ ბეჟაშვილმა (პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსი) ლაგოდეხის რაიონის სოფ. ახალი ულიანოვკის მინდორში მიწის სამუშაოს შესრულების დროს იპოვნა ორი ცალი შავი ფერის რიყის ქვის ბრწყინვალედ გახეხილ-გაპრიალებული ცული. ცულები მასვე ჩაუბარებია ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის. ეს ნივთები კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა პირველად ნახეს 1975 წლის ბოლოს. აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია და უკვე მომდევნო წლის გაზაფხულზე ტ. ბეჟაშვილმა (კ. ფიცხელაური, თ. ბუგიანიშვილი და ვ. ვარაზაშვილი) ნივთების აღმოჩენის ადგილზე მიგვიყვანა. როგორც ტ. ბეჟაშვილმა აღნიშნა, აქ ყოფილა ბორცვი, რომელიც მდებარეობდა მდ. კვირიასწყლის მარჯვენა ნაპირზე. მდინარის კალაპოტის გაწმენდის დროს აღნიშნული ბორცვი ბულდოზერით ჯერ გადაუსწორებიათ, ხოლო შემდეგ ზევიდან დაუყრიათ მდინარეული ლამი, რომელიც მდინარის კალაპოტის გაწმენდის დროს ამოვიდა. ამგვარად, ლაგოდეხის მუზეუმში დაცული ქვის ცულების აღმოჩენის თავდაპირველ ადგილზე ძეგლი განადგურებულია. ამ ადგილის დასავლეთით 0,5 კმ-ის დაშორებით შევნიშნეთ მეორე ბორცვი. იგი დაზიანებულია სადრენაჟო არხით. ბორცვზე და თხრილში შეიკრიბა თიხის ჭურჭლის მრავალი ნატეხი და ობსიდიანის ანამტვრევ-ანატკეცები. აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ქვის ცული, იდენტური ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ცულებისა.

მდ. კვირიასწყალი მდ. ალაზნის მარცხენა შენაკადია, რომლის ქვედა წელი წარმოადგენს საზღვარს აზერბაიჯანისა და საქართველოს სს რესპუბლიკებს შორის. ადგილი წარმოადგენს სწორ მინდორს, რომელიც ხშირი წვიმების დროს ჭაობდება და სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესასრულებლად არახელსაყრელ პირობებს ქმნის.

ჯერ კიდევ 1958 წელს ულიანოვკის მინდვრებში ს. თაყაიშვილს ბრინჯაოს ხანის ნივთებთან ერთად უპოვნია და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის გადაუცია ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცული. იმავე წელს იქვე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომელს დ. თუშ-

აბრამიშვილს შეუგროვებია ობსიდიანის ნუკლეუსები და იარაღ-ანატკეცები. ხოლო 1959 წელს იმავე ტერიტორიაზე მსგავსი მასალა უპოვნია და მუზეუმისათვის გადაუცია სოფ. ვარდისუბნის მასწავლებელს გრიგოლ ნოზაძეს [5, გვ. 4—5].

1960 წელს ლაგოდეხის რაიონში გაიგზავნა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მიზანი იყო გვიანბრინჯაოს და ადრერკინის ხანის გორასამარხების შესწავლა. გორასამარხების რაიონში ჩნდებოდა ადრესამიწათმოქმედო პერიოდის იარაღ-ანატკეცები. დ. თუშაბრამიშვილის აზრით, ეს მასალა გორასამარხების ყრილში შემთხვევით უნდა მოხვედრილიყო, რომელიმე ადრესამიწათმოქმედო პერიოდის სადგომიდან, რომლის მიწასაც იყენებდნენ სამარხზე დასაყრელად [5. გვ 4—5].

ამრიგად, ლაგოდეხის რაიონის სოფ. ულიანოვკის ტერიტორიაზე ერთერთი (№ 1) ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ნამოსახლარი ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს პერიოდში გაუნადგურებიათ.

მეორე (№ 2) ნამოსახლარი განადგურებულია მდ. კვირიასწყლის კალაპოტის გაწმენდისას.

ჩვენს მიერ 1976 წელს აღმოჩენილი ბორცვი ულიანოვკის მინდვრებში რიგით მესამეა (№ 3). იგი მდებარეობს სოფ. თამარიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზუსტად მე-9 კილომეტრზე. გზის მარცხენა მხარეს 0,5 კმ-ის დაშორებით. მოსახლეობა ამ ადგილებს წითელგორებს უწოდებს.

№ 3 ნამოსახლარი ბორცვის დიამეტრი 70 მ, სიმაღლე — 1,5 მ. მის ზედაპირს ყოველწლიურად ამუშავებდნენ — გარდა მისი მეოთხედი ნაწილისა (სამხრეთ-დასავლეთი). ეს უკანასკნელი დაფარული ყოფილა ჯაგნარით, რომელიც 1976 წელს ამოუძირკვიათ და გაუწმენდიათ.

როგორც შევნიშნეთ, ბორცვი დაზიანებულია სადრენაჟო არხით, რომლის სიღრმე ბორცვის ცენტრში 2 მ-ზე მეტია. როგორც ამონაყარ მიწაში, ისე მის ზედაპირზე აიკრიფა მასალა, რომლის საერთო რაოდენობამ 80-მდე ერთეულს მიაღწია. კოლექციაში იყო: ობსიდიანის ნუკლეუსები, სახოკები, საფხეკები, ბურღი, ორი სწორფუძიანი ისრისპირი, რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულები, ნავისებური ხელსაფქვავი. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისათვის დამახასიათებელია — უხეში კეცი, მოწაბლისფრო ზედაპირის ხელით მოგლუვება, სუსტი გაპრიალება. ზოგი ჭურჭელი შემკულია ჰორიზონტალური ან კონუსისებური შვერილებით, პირზე ნაჭდევებით და სხვა. ძვლის იარაღები წარმოდგენილია შუაზე გაპობილ ლულოვან ძვალზე ჩამოყალიბებული რამდენიმე სახვრეტით.

1977 წელს დაიწყო ძეგლის არქეოლოგიური გათხრა. გასათხრელად ფართობი შევარჩიეთ ბორცვის სამხრეთ ნაწილში, რომელიც სადრენაჟო არხით იყო გამოყოფილი, დავაკვადრატეთ (2×2) და გავასუფთავეთ არხის სამხრეთი ფლატე. ჭრილში ფენები შემდეგნაირად განლაგდა: 0 წერტილიდან (შეესაბამება ბორცვის ზედაპირს) 1 მ სიღრმეზე ფენა არეულია. მას მოსდევს 0,20—0,30 მ სისქის ნაცარნარევი, მოყვითალო ფერის კულტურული ფენა, რომელიც დევს 0,90 მ სისქის ყვითელ თიხაზე. მის ქვეშ კი ლამია.

სულ გაითხარა 153² მ ფართობი და მხოლოდ 57² მეტრზე თხრილი დაყვანილ იქნა ყვითელ თიხამდე.

თხრილის დასავლეთ ნაწილში 0 წერტილიდან 0,90 მ სიღრმეზე გამოჩნდა 1,50 მ სიგანის ფლეთილი ქვის წრე, რომელიც სადრენაჟო არხის ნაპირიდან იწყებოდა და გადიოდა სამხრეთით ბორცვის გარეთ. ასეთივე ქვის წყობის ნაწილი შემორჩენილი იყო თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთშიც. ჩრდილოეთით წრე (მისი დიამეტრია 16 მ) დაზიანებულია სადრენაჟო არხის გაყვანის დროს.

ქვის წრის ცენტრში აღმოჩნდა ერთმანეთზე განლაგებული ოთხი სამარხი. მათი დონეები ნულოვანი წერტილიდან ასეთია: № 1—1,08 მ, № 2—1,40 მ, № 3—1,45 მ და № 4—1,60 მ.

№ 1 სამარხის კონტურები არ დადგინდა, ძვლები ცუდად იყო შენახული. სამარხში აღმოჩნდა მარმარილოს მსხლისებური ფორმის კარგად გაპრიალებული ლახტისთავი (ტაბ. VI—12), ობსიდიანის ჭუსლამოღარული სამი ისრისპირი (ტაბ. VI—14, 15, 16) და ალაზან-ბედენური ტიპის რამდენიმე ჭურჭლის ნატეხი. აქედან ორი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა (№ 1 და № 2), ორივე სასმისია.

№ 1 სასმისი შავპრიალაა. პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი დაბალი. მუცელი ოდნავ გაწეული, ყური აკლია. მხარზე შემოუყვება სამი დაბალი რელიეფური ხაზი. დამზადებულია წმინდა განლექილი თიხისაგან. კეცი გადანატეხში მოწაბლისფროა, საშუალო სისქის, პირის დიამეტრი—10, მუცლის დიამეტრი—13, სიმაღლე—9,3 სმ (ტაბ. VI—11).

№ 2 სასმისიც შავპრიალაა, ოდნავ პირგადაშლილი, ყელი დაბალი, მუცელი შებერილი. მხარზე მიძერწილია ერთი ყური, ხოლო ყურის მოპირდაპირე მხარეზე ერთი ფოსო აქვს. კეცი საშუალოზე ოდნავ თხელი, შავი ფერისა. პირის დიამეტრი 10,5, მუცლის დიამეტრი—12,7, სიმაღლე—9 სმ (ტაბ. VI—10).

№ 3 ჭოთანი, შემორჩენილია სამი ფრაგმენტი. ერთი პირის და ორი მხრისა და მუცლის, შავპრიალა მხარზე ჯგუფურად დატანილი აქვს სამ-სამი კოპი. ჭურჭელი პირფართე და დაბალყელიანია. პირი სწორი, ოდნავ გარეთ გაზიდული. კეცი საშუალო სისქის, მოშავო (ტაბ. VI—13).

№ 1 სამარხის ქვეშ მდებარე № 2 სამარხის ორმო (1,85×0,40), სიგრძივ დამხობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩაჭრილი აქვს № 3 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა. მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში იდო ბრტყელი, 0.80 მ სიგრძისა და 0,30 მ სიგანის ფლეთილი ქვა. ძვალი მთლიანად ჩაშლილია.

№ 3 სამარხის ძირი (2,80×2,15) მოგებულია ერთი ფენა წვრილი და საშუალო ზომის რიყის ქვით, რომელზედაც დაკრძალულია მიცვალებული. ასეთივე ქვებითაა ნაგები სამარხის ჩრდილო-დასავლეთი კედელი (იატაკიდან 0,50 მ სიმაღლეზე) და სამხრეთ დასავლეთი კედელი (იატაკიდან 0,20 მ სიმაღლეზე). ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, მაგრამ დადგინდა, რომ მიცვალებულს ეკავა სამარხის სამხრეთი ნაწილი და დამხრობილი იყო თავით სამხრეთით. ეს სამარხიც უინვენტარო აღმოჩნდა.

№ 4 სამარხი (1,45×1) მთლიანად № 3 სამარხის სამხრეთი ნაწილის ქვეშაა მოქცეული. სამარხი უინვენტაროა, მხოლოდ მიცვალებულის მცირე ნაწილია გადარჩენილი.

№ 3 ნამოსახლარზე გავლებულ თხრილში გამოვლინდა 6 სამეურნეო დანიშნულების (№№1, 2, 3, 4, 5, 7) და ორი წმინდა ნაცრით სავსე ორმო (№№ 6,8). გარდა № 7 ორმოსი (მსხლისებური ფორმის), ყველა სწორკედლიანია და მოულესავი. მათი პირის დიამეტრი 0,40-დან 1 მ-მდე მერყეობს, ხოლო სიღრმე 0,50-დან 0,80 მ-მდე.

ორმოებიდან მომდინარე მასალა შეესატყვისება ზედაპირულს. თხრილში სათავსოთა კვალი არ დადასტურდა, ამიტომ მასალა ავიღეთ კვადრატების მიხედვით (ვინაიდან აქ მხოლოდ ერთი პერიოდის მასალა ჩნდება, იგი გავაერთიანეთ და შემკულობის მიხედვით გამოვყავით რამდენიმე ჯგუფი)[1].

I ჯგუფის კერამიკა წარმოდგენილია ყელისა და პირის ფრაგმენტებით, რომლებზედაც მიძერწილია ჰორიზონტალური ან კონუსისებური შვერილები.

პირმოყრილი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი ჰორიზონტალური შვერილით. შვერილი უშუალოდ პირთანაა მიძერწილი. ზედაპირი ლეგა, ზოგან მოწითალო-მოყვითალო, მოგლუვებული. შიდაპირიც ლეგა-მოყვითალოა, მოგლუვებული, უსწორმასწორო, ხაოიანი. კეცი სქელი, ქვიშანარევი (ტაბ. 1a—1). ასეთივე ჰორიზონტალური შვერილი, მხოლოდ პირს ცოტა ქვემოთ, მიძერწილი აქვს მეორე ფრაგმენტს. ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო-მოწითალო, ორივე მხარე სუსტადაა ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, სისქე—0,6 სმ (ტაბ. Ia—2).

მსგავსი ჰორიზონტალურშვერილიანი ჭურჭელი მოგვეპოვება კახეთში სოფ. კაჭრეთიდან (გურჯაანის რაიონი), ამირანის გორაზე, არუხლოზე (2, გვ. 24), ანასეული II (7, გვ. 45. ტაბ. XII, სურ. 13), აზერბაიჯანში. ქიულ-თეფე 1 (ნახიჭევანის ასსრ) ენეოლითურ ფენაში (2, გვ. 36.), მუღანისა და მილის ნამოსახლარებზე (6, გვ. 104). დაღესტანში: კაიაკენტის, ველიკენტისა და გილიარის ნამოსახლარებზე (6, გვ. 87).

თიხის ჭურჭლის პირის ორი ფრაგმენტი. ორივეს პირს ცოტა ქვემოთ მიძერწილი აქვს მაღალი, კონუსისებური შვერილი. ერთს ზედაპირი მუქი წაბლისფერი აქვს და სუსტადაა გაპრიალებული. შიდაპირი მოლურჯო, კარგად მოგლუვებული, შვერილი ცეცხლისაგან გაშავებული. კეცი ქვიშანარევი, წაბლისფერი, სისქე —0, 7 სმ (ტაბ. 1a—3).

მეორე ფრაგმენტს როგორც ზედაპირი ისე შიდაპირი აგურისფერი აქვს. მოგლუვებული, უსწორმასწორო ხაოიანი. კეცის სისქე—0,7 სმ.

მსგავსი კოპები დამახასიათებელია შულავერისა და იმირის გორის ჭურჭლებისათვის (4, სურ. 11:1,46:6, 45:3, 47:1).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ჭურჭლის ყელისა და პირის ორი ფრაგმენტი, რომლებსაც შემორჩენილი აქვთ მხრის ნაწილი. ზედაპირი მოლურჯო, ზოგან წითელი ლაქები, ნაპრიალები. შიდაპირი ჩალისფერი, აგრეთვე ნაპრიალები. ყელი მაღალი, შუა წელში ოდნავ გარეთ გაზიდული. პირს ცოტა ქვემოთ დაძერწილი აქვთ ჰორიზონტალური შვერილები. ყელისა და მხრის შეერთება მომრგვალებული. კეცი მოწითალო, სქელი, გასამჭლევებლად შერეული აქვს მსხვილი ქვიშა, კეცის სისქე—1, 01 სმ (ტაბ. 1a—5,6).

კოლექციაში არის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებსაც დაბალი ან „წერტილისებური“ კოპები აქვთ:

---

[1] მოპოვებულ მასალაში არ არის არც ერთი მთელი ჭურჭელი, ამიტომ მათი ფორმების შესახებ ვერაფერს ვამბობთ

პირმოყრილი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი მუქი წაბლისფერი, ნაპრიალები, შიდაპირი ლეგა, მოგლუვებული. ფრაგმენტს პირს ცოტა ქვემოთ დაბალი, კონუსური კოპი აქვს მიძერწილი. კეცის სისქე 0,06 სმ (ტაბ. 1a—7).

თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, შემორჩენილი აქვს ყელის მცირე ნაწილი, დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი მოწითალო-მოყვითალო, უსწორმასწორო. შიდაპირი მონაცრისფრო, მოგლუვებული. მხარზე ნახევარრკალურად განლაგებულია ერთმანეთისაგან 1,5 სმ დაშორებული „წერტილის“ მსგავსი კოპები (ტაბ. 1a—8).

თიხის ჭურჭლის ნატეხი, ზედაპირი ღია წაბლისფერი, ნაპრიალები. შიდაპირი უფრო მოყვითალო, უსწორმასწორო. ფრაგმენტს სამკუთხედისებურად მიძერწილი აქვს სამი კოპი. კოპები დაბალი და ბრტყელია (ტაბ. Ia—9).

II ჯგუფის კერამიკაში სულ ორი ფრაგმენტია. ერთი წარმოადგენს პირფართე ჭურჭლის პირის ნატეხს. დამზადებულია ხვინჭანარევი თიხისაგან. ზედაპირი მოწითალო-მონაცრისფრო, ხელით მოგლუვებული, შიდაპირი შავი. პირზე ზევიდან შემოუყვება ერთმანეთისაგან 0,03 სმ დაშორებული ჭდეები. კეცის სისქე—1, 7 სმ (ტაბ. 1a—13).

მას პარალელები მოეპოვება სოფ. ოდიშში (7, გვ. 56. ტაბ. XXXV—14), შულავერის გორის III—I, იმირის გორის VII—VI ჰორიზონტებსა და გადაჭრილ გორაზე (3, გვ. 113—114).

თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი, პირდაჭდეული, ზედაპირი და შიდაპირი მუქი წაბლისფერი, სუსტად ნაპრიალები, კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი. კეცის სისქე—0,9 სმ (ტაბ. 1a—10).

III ჯგუფში გავაერთიანეთ თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტები, რომლებსაც პირს ქვემოთ ნახვრეტები შემოუყვებათ. ნაწილი ფრაგმენტებისა სქელკეციანია, ნაწილი კი უფრო თხელი.

სქელკეციანი ნატეხები, პირი სწორი, ზედაპირი აგურისფერი, ზოგი მოლურჯო, უხეშად მოგლუვებული, ხაოიანი, უსწორმასწორო. შიდაპირი მოლურჯო-მონაცრისფრო, ზოგი აგურისფერი, კარგად მოგლუვებული. პირს ქემოთ შემოუყვებათ 0,03-დან 0,06 სმ დიამეტრის მქონე ძაბრისებრი ნახვრეტები. გახვრეტა უწარმოებიათ შიგნიდან. კეცი ქვიშანარევი, სისქე—1 სმ (ტაბ. 1a—12, 14, 15, 16, 17).

დანარჩენი ფრაგმენტებისათვის (7 ც.) დამახასიათებელია თხელი კეცი.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. ზედაპირი ლეგა-მოწითალო, მოგლუვებული, ხაოიანია. შიდაპირი მოლურჯო-მონაცრისფრო, სუსტად ნაპრიალები. პირს ქვემოთ 0,3 სმ დიამეტრის მქონე ნახვრეტი აქვს. კეცი ქვიშანარევი, სისქე—0,5 სმ (ტაბ. 1a—18).

თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი. ზედაპირი შავი, მოგლუვებული, ხაოიანი, შიდაპირი მოწაბლისფრო-მოწითალო, ნაპრიალები. პირს ქვემოთ 0,5 სმ დიამეტრის მქონე სამი ნახვრეტი აქვს. გახვრეტა უწარმოებიათ შიგნიდან. კეცი ქვიშანარევი, სისქე 0,6 სმ (ტაბ. 1a—19).

თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი. ზედაპირი მოშავო-მოწითალო, მოგლუვებული, უსწორმასწორო, ხაოიანი. შიდაპირი მოწაბლისფრო, მოგლუვებული, უს-

წორმასწორო. პირს ქვემოთ ნახვრეტი აქვს. კეცი ქვიშანარევი. კეცის სისქე—0,6 სმ (ტაბ. 1a—20).

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტები. ზედაპირი შავი, სველი ხელით მოგლუვებული, ხაოიანი. შიდაპირი წაბლისფერი, ნაპრიალები. პირს ქვემოთ ერთი მთელი და ერთიც ნახევრად შემორჩენილი ნახვრეტით. კეცი ქვიშანარევი, სისქე —0,7 სმ (ტაბ. 1a—21).

განსაკუთრებით აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. მას ძირის მცირე ნაწილი აქვს შემორჩენილი, რომლის მიხედვით ჭურჭელს ტაფისებური ფორმა უნდა ჰქონოდა. ზედაპირი შავი, უსწორმასწორო, ხაოიანი. შიდაპირი მოწითალო-მოწაბლისფრო, ნაპრიალები. პირს ქვემოთ შემოუყვება ერთმანეთისაგან 1,7 სმ დაშორებული ოთხი ნახვრეტი. გახვრეტა უწარმოებიათ შიგნიდან. კეცი ქვიშანარევი, სისქე — 1 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირს ქვემოთ ერთმანეთისაგან 3,02 სმ დაშორებული 0,03 დმ მქონე ნახვრეტები შემოუყვება. ზედაპირი და შიდაპირი აგურისფერი. ზედაპირზე არსებული ხაზები ქსოვილის ანაბეჭდის შთაბეჭდილებას ქმნის. შიდაპირი კარგად მოგლუვებული. კეცი ქვიშანარევი, სისქე — 0,08 სმ.

ზედაპირზე ასეთივე ხაზები აქვს თიხის ჭურჭლის მეორე ნატეხს, რომელსაც პირთან ნახვრეტები აქვს. ზედაპირი შავი, უსწორმასწორო, შიდაპირიც შავი, მოგლუვებული. კეცი მუქი წაბლისფერი, ქვიშანარევი, სისქე —1 სმ.

მსგავსი კერამიკა დამოწმებულია სამშვილდის (8, გვ. 22. ტაბ. VII, სურ. 6), ილტოს (9, გვ. 52, სურ. 12) ნამოსახლარზე და სხვა.

IV ჯგუფის თიხის ნაწარმი წარმოდგენილია სწორპირა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით. ნაწილი ფრაგმენტებისათვის დამახასიათებელია სქელი კეცი. როგორც ჩანს, ისინი პირფართე ჭურჭლებს ეკუთვნიან. ორ ნატეხს ზედაპირი ლეგა აქვს, შიდაპირი მოლურჯო-მოწითალო, ხოლო ორს კი როგორც ზედაპირი ისე შიდაპირი მოყვითალო. მათთვის დამახასიათებელია სუსტი გაპრიალება. კეცი ქვიშანარევი, სისქე—1,2 სმ (ტაბ. 1S—4, 5, 8, 11).

ზოგისთვის კი დამახასიათებელია სქელი კეცი და თხელი პირი. ასეთი სულ ოთხი ფრაგმენტია. ორს ზედაპირი და შიდაპირი ლეგა აქვთ, ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი მოგლუვებული. კეცი სქელი, ხვინჭანარევი, სისქე—1,1 სმ (ტაბ. 1b—1,10). მესამე ფრაგმენტი პირველი ორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო-მოწითალო ფერისაა და შედარებით უკეთაა ნაპრიალები (ტაბ. 1b—2). მეოთხე ნატეხის ზედაპირი ჩალისფერია, უსწორმასწორო, ხაოიანი, შიდაპირი შავი, ხაოიანი, კეცი ქვიშანარევი, სისქე—0,9 (ტაბ. 1b—3).

ნაწილისათვის დამახასიათებელია თხელი კეცი. ზოგ ფრაგმენტს ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო აქვს და ნაპრიალები. კეცი სილანარევი, სისქე—0,7 სმ (ტაბ. 1b—9, 14, 15, 16). ზოგის ზედაპირი ლეგაა და ნაპრიალები. შიდაპირი მოწითალო-მონაცრისფრო, სუსტად ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, სისქე—0,8 სმ (ტაბ. 1b—6, 13). თიხის ჭურჭლის პირისა და ყელის ფრაგმენტს ზედაპირი წაბლისფერი აქვს და კარგადაა გაპრიალებული. შიდაპირი ხელით მოგლუვებული, უსწორმასწორო, კეცი ქვიშანარევი, სისქე—0,8 სმ (ტაბ. 1b—20).

თიხის ჭურჭლის პირისა და ყელის ფრაგმენტები (3 ც.). ორ მათგანს ზედაპირი და შიდაპირი მუქი წაბლისფერი აქვთ და კარგადაა ნაპრიალები, ხოლო მესამეს ჩალისფერი, ნაპრიალები ზედაპირი და კარგად მოგლუვებული მონაცრისფრო შიდაპირი აქვს. სამივეს პირი გარეთაა გაზიდული: კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, სისქე—0,6 სმ-დან 0,8 სმ-მდე (ტაბ. 1b—19, 21).

აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (3 ც), რომლებიც სხვადასხვა ჭურჭელს ეკუთვნიან. სამივეს კარგად ეტყობათ, რომ მათი კედლები მეორედაა შელესილი, რაზედაც მიუთითებს კედლის ორივე მხარეზე ამძვრალი შელესილობა. ორი ნატეხის როგორც ზედაპირი, ისე შიდაპირი რუხი ფერისაა და უხეშადაა ნაძერწი. მესამე ფრაგმენტის ზედაპირი მუქი წაბლისფერია და კარგადაა ნაპრიალები. შიდაპირი შავი, მოგლუვებული. კეცი ქვიშანარევი, სისქე—0,5 სმ-დან 0,7 სმ-მდე (ტაბ. 1b—12, 18).

ცალკე უნდა აღინიშნოს თიხის ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი. პირი ლილვისებური, ყელი დაბალი, შიგნით შეწეული, როგორც ზედაპირი, ისე შიდაპირი მონაცრისფრო-მოლურჯო. სველი ხელით კარგად მოგლუვებული. კეცი მოლურჯო ქვიშანარევი, სისქე—0,9 სმ (ტაბ. 1b—13).

მსგავსი ფორმის კერამიკა დამახასიათებელია სამშვილდის სამაროვნისათვის. გ. მირცხულავა მას პირველ ჯგუფში (ბადიები) ათავსებს (8, გვ. 46 b. ტაბ. XLI. სურ. 1).

V ჯგუფში გავაერთიანეთ თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც რელიეფური ხაზებითაა შემკული. ასეთია ფრაგმენტი, რომელსაც მხარზე ვერტიკალურად დატანილი აქვს სამი 1-დან 1,5 სმ-მდე მანძილით დაშორებული ჭდეებიანი რელიეფური ხაზები. ჭდეებს შორის მანძილი 0,6 სმ-ია. თვით ჭურჭელი, როგორც ჩანს, ფართო მოცულობის ყოფილა. ზედაპირი მოწითალო-მოწაბლისფრო, სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი ამძვრალი აქვს, რაც მის უხარისხო გამოწვაზე უნდა მიუთითებდეს. კეცი მოლურჯო და ხვინჭანარევია (ტაბ. 1b—26).

ზუსტად ასეთივე ორნამენტითაა შემკული თიხის ჭურჭლის მეორე ფრაგმენტი, რომელსაც რელიეფური ხაზი ჭდეებით ყელს გარშემო შემოუყვება.

თიხის ჭურჭლის მხრის (?) ფრაგმენტი. დატანილი აქვს ორი ურთიერთმკვეთი რელიეფური ხაზი: ზედაპირი მოლურჯო-მონაცრისფრო, კარგად მოგლუვებული. შიდაპირი მონაცრისფრო, უსწორმასწორო, ხაოიანი. კეცი მოლურჯო, ხვინჭანარევი, სისქე—0,6 სმ (ტაბ. 1b—25).

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. დატანილი აქვს ორი ურთიერთმკვეთი რელიეფური ხაზი, რომლებიც კვეთაში მართკუთხედს ქმნიან. ზედაპირი აგურისფერი, სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი მოლურჯო-მონაცრისფრო. ხელით მოგლუვებული. კეცი ქვიშანარევი, სისქე — 0,6 სმ.

V ჯგუფის კერამიკას პარალელები მოეპოვება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასეთებია: იმირის გორა (4, სურ. 43: 4, 44:13, 59:9, 6:5:16), ამირანის გორა (2, სურ. 21:11), იანიკ-თეფე (2, სურ. 17:9), ბაბა-დერვიში II (2, სურ. 28:26), კაიაკენტი (6, გვ. 78, სურ. 21, გვ. 86, სურ 22:1:3:4), ველიკენტი და მამაიკუტანი (6, ტაბ. VII).

ყურადღებას იპყრობს მომდევნო VI ჯგუფის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ჯგუფში სულ სამი ნატეხია. მათი ზედაპირი და შიდაპირი წითელია და კარგად გაპრიალებული. კეცი ერთ შემთხვევაში სილანარევია, ხოლო და-

ნარჩენი ორი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, სისქე —0,5 სმ-დან 0,7 სმ-მდე. ასეთ კერამიკას პარალელები მოეძებნება იმირის გორაზე [4, გვ. 73], ხრამის დიდ გორაზე [10, გვ. 37], არუხლოზე [2, გვ. 24], წოფში [2, გვ. 32], შომუთეფეზე [11, გვ. 98], ჭიულ-თეფე I [11, გვ. 102].

ცალკე უნდა აღინიშნოს ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ძირები. ზოგიერთს მკვეთრად გამოყვანილი ჭუსლი აქვთ (ტაბ. IIa—1,5), მათ პარალელები მოეძებნებათ იმირის გორაზე (4, სურ. 44:7. 48:3:8:14), არუხლოზე (2, გვ. 26. სურ. 4—:12:15:17:21). ზოგს კი უფრო სუსტად გამოყოფილი ჭუსლი, მათი ზედაპირიც ნაპრიალებია (ტაბ. IIa—7—8). სამ ფრაგმენტს ძირისა და გვერდის შეერთება მომრგვალებული აქვთ. ზედაპირი მოგლუვებული, ხოლო შიდაპირი ნაპრიალები (ტაბ. IIa—9, 11,12,). ორი ნატეხი კი დანარჩენებისაგან იმით განსხვავდება, რომ მათი შიდაპირი და ძირი კარგადაა ნაპრიალები: კეცი ხვინჭანარევი, კარგად გამომწვარი (ტაბ. IIa—10,13).

განსაკუთრებით საინტერესოა ძირის ფრაგმენტები, რომლებსაც ძირზე კარგად ეტყობათ ჭილოფის ანაბეჭდები: ფრაგმენტებს ან სუსტად გამოყვანილი ჭუსლი აქვთ, ან ძირისა და გვერდის შეერთება მომრგვალებული. შიდაპირი ყველას მოგლუვებული და უსწორმასწორო, კეცი ხვინჭანარევი (ტაბ. IIa—14, 18).

მას პარალელები მოეპოვება ილტოს ნამოსახლარზე (9, გვ. 52, სურ. 12:4), II თელუთაზე (ტეხუტა) (12, გვ. 99, სურ. 18:1) და სხვა.

ნამოსახლარზე მოპოვებული ქვის მასალის უმეტესობას ობსიდიანი წარმოადგენს. თითო-ოროლა კაჟი ან რიყის ქვა. ამიტომ მასალის აღწერის დროს ხშირი გამეორების თავიდან აცილების მიზნით აღვნიშნავთ მხოლოდ კაჟს და რიყის ქვას. დანარჩენ შემთხვევაში იგულისხმება ობსიდიანი.

ნუკლეუსები — 7 ცალი. ორი ერთფუძიანია. ერთი მათგანს კარგად ეტყობა ფუძეზე ნაპირების შესწორება, რომელიც უცდიათ თხელი ფირფიტების ატკეცის გზით. ზურგზე კი რამდენიმე არათანაბარი ფირფიტა აქვს ატკეცილი. მეორე ნუკლეუსს მხოლოდ ფუძეზე აქვს ორი ფირფიტა ატკეცილი, მესამე წარმოადგენს ნუკლეუსის ნალევს, სამი კი ანატკეცს, რომელიც შემდეგ უქცევიათ ნუკლეუსებად. მეშვიდე პირამიდულს უფრო უახლოვდება. მისთვის ყველა მხრიდან აუტკეციათ არათანაბარი ფირფიტები. ზოგან წიბოები დაჩეჩქვილი აქვს.

ანატკეცები — 278 ცალი, ყველა დაუმუშავებელი.

ანამტვრევები — 185 ცალი, ყველა გამოუყენებელი.

სახოკები — 9 ცალი, ნაკეთები მასიურ ანატკეცზე.

ერთ სახოკს სამუშაო პირი ჩამოუყალიბებელი აქვს დაბალი რეტუშით (ტაბ. IIb—12).

მეორე სახოკს ერთი გვერდი დამუშავებული აქვს ციცაბო, ხოლო დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარე ფაქიზი რეტუშით. დამუშავება უწარმოებიათ ზურგის მხრიდან ტაბ. (IIb—16).

მესამე სახოკს ერთი გვერდი დამუშავებული აქვს საფეხურებიანი რეტუშით ზურგის მხრიდან, ხოლო მეორე გვერდი დამაბლაგვებელი რეტუშით (ტაბ. IIb—14).

ზურგის მხრიდან ორივე გვერდი ფაქიზი რეტუშით აქვს დამუშავებული

მეოთხე სახოკს, დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარე კი დამაბლაგვებელი რეტუშით დაუმუშავებიათ მუცლის მხრიდან.

ზურგის მხრიდან ციცაბო, დაკბილული რეტუშით აქვს დამუშავებული დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარე მომდევნო, მეხუთე სახოკს. ერთი გვერდი კი მუცლის მხრიდან ფაქიზი რეტუშით დაუმუშავებიათ (ტაბ. IIb—9).

მომდევნო ოთხი სახოკი პირველი ხუთისაგან იმით განსხვავდება, რომ მათთვის დამახასიათებელია მაღალი ზურგი.

ასეთია მეექვსე სახოკი ირგვლივ რეტუშირებული. რეტუში მცოცავია და გაკეთებული აქვს მუცლის მხრიდან (ტაბ. IIb—8).

მეშვიდე სახოკს დამუშავებული აქვს ერთი გვერდი და დარტყმის მოედნის მოპირდაპირე მხარე. მათი შეერთება ქმნის მართკუთხედს. გამოყოლილი აქვს კაჭრის კანი. რეტუში მცოცავია და უწარმოებიათ მუცლის მხრიდან (ტაბ. IIb—10).

ფაქიზი რეტუშითაა დამუშავებული ზურგის მხრიდან მერვე სახოკი, მისი ზურგის დათხელება უცდიათ თხელი ფირფიტების ატკეცის გზით. ასეთივე თხელი ფირფიტები აუტკეციათ მუცლის მხრიდან (ტაბ. IIb—11).

მეცხრე სახოკი ჩამოყალიბებულია მოგრძო, მაღალი ზურგის მქონე ანატკეცზე. იარაღს ზურგზე გასდევს ქედი. მისი ორივე გვერდი და ბოლო (ზურგის მხრიან) დამუშავებულია ფაქიზი რეტუშით, თუმცა ადგილ-ადგილ მუცლის მხრიდანაც შეუსწორებიათ (ტაბ. II—13).

საფხეკები კოლექციაში ყველაზე მეტია, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოგვეცა მათი ჯგუფური აღწერილობა. ჯგუფები გამოვყავით მათი დამუშავების მიხედვით.

ირგვლივრეტუშირებული (7 ც). აქედან ორი მოლურჯო ფერის კაჟზეა ჩამოყალიბებული და გამოყოლილი აქვს კაჭრის კანი, დამუშავებულია ციცაბო, დამაბლაგვებელი რეტუშით. დანარჩენი ხუთი (ობსიდიანის) დამუშავებულია ფაქიზი ან მცოცავი რეტუშით. (ტაბ. IIIa—16—20).

ორგვერდრეტუშირებული (21 ც) თითქმის ყველა დამუშავებულია ფაქიზი რეტუშით ზურგის, იშვიათად მუცლის მხრიდან (ტაბ. IVa—20—40).

რეტუში მხოლოდ ერთ გვერდზე აქვთ ჩამოყალიბებული (75 ც). რეტუში ხშირ შემთხვევაში ფაქიზია, მაგრამ არის საფეხურიანიც, იშვიათად მცოცავი, დამუშავებული მუცლის მხრიდან (ტაბ. IIIb—1,32, IIIa—12—34).

ამოღარულსამუშაოპირიანი საფხეკები (9 ც) ყველა დამუშავებულია ფაქიზი რეტუშით (ტაბ. IIIa—1—8).

ხოწი—12 ც. (ტაბ. IVa—1—11).

საჭრისი—2 ც. ორივე ლამელაზეა ნაკეთები. ერთი თავგადამტვრეული ირიბია, ხოლო მეორე წარმოადგენს კუთხისას, რომელიც ბოლომოტეხილ ლამელაზეა ჩამოყალიბებული (ტაბ. IIb—1,2).

დანისებური ლამელა ერთადერთია კოლექციაში. ერთი გვერდი მუცლის მხრიდან აქვს დამუშავებული დაკბილული რეტუშით. სიგრძე —9,6 სმ, სიგანე—2,9 სმ (ტაბ. IVb—7).

დანარჩენი ლამელები პატარა ზომისაა და მათი რაოდენობა 21 ცალს აღწევს. რეტუშირებული აქვს ერთი ან ორივე გვერდი. რეტუში ფაქიზია და დამაბლაგვებელი. ერთ შემთხვევაში კი მცოცავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობას

ან თავი აქვთ მოტეხილი, ან ბოლო. მათი სიგრძე მერყეობს 2,5 სმ-დან 4,8 სმ-მდე. სიგანე— 1 სმ-დან 2,8 სმ-მდე (ტაბ. IVb — 1—3, 8—19).

სახვრეტი —6 ცალი. ორს გვერდები და წვერი ზურგის მხრიდან აქვთ დამუშავებული ფაქიზი რეტუშით (ტაბ. IIIa—12, 13).

მესამე სახვრეტიც ზურგის მხრიდანაა დამუშავებული. რეტუში ერთ გვერდზე ფაქიზი აქვს, ხოლო მეორეზე ციცაბო და ამასთანავე მცოცავი (ტაბ. IIIa—15).

მეოთხე სახვრეტი დამუშავებულია ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით (ტაბ. IIIa—9).

ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე ფაქიზი რეტუშითაა დამუშავებული მეხუთე და მეექვსე სახვრეტიც (ტაბ. IIIa—10, 14).

ბურღი. მისი წვეტი ჩამოყალიბებულია ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე რეტუშით. წვეტის გარდა იარაღს დამუშავებული აქვს ორივე გვერდი და ფუძე (ტაბ. IIIa—11).

ისრისპირი, ჩამოყალიბებულია მოყვითალო ფერის კაჟზე. ის წარმოადგენს ტოლფერდა სამკუთხედს. მისი კუთხე და ორივე გვერდი, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე დამუშავებულია ფაქიზი, მცოცავი რეტუშით, სიგრძე 1,6 სმ, სიგანე ფუძესთან —1,2 სმ (ტაბ. IIb—4).

ისრისპირი —წვერმოტეხილი ნაკეთებია ობსიდიანის თხელ ანატკეცზე. ესეც ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ყოფილა. დამუშავებულია მცოცავი რეტუშით. სიგრძე —2,3 სმ, სიგანე ფუძესთან 2,2 სმ (ტაბ. IIb—3).

კოლექციაში არის აგრეთვე რიყის ქვის იარაღები: შუაზე გატეხილი რიყის ქვა, ნაცრისფერი, თავთან მის ორივე მხარეს ამოტეხილი აქვს. სიგრძე—9 სმ, სიგანე—2,5 სმ (ტაბ. Va—3).

მრგვალი, შავი ფერის ქვა. ორივე გვერდი ოდნავ ამოზნექილი. კიდეები ატეხილი აქვს. დიამეტრი —6,3 სმ.

ცული —მონაცრისფრო, ყუადაჩეჩქვილი. მას ოვალური მოყვანილობის სამუშაო პირი აქვს და ორივე მხრიდან კარგადაა გახეხილი. სამუშაო პირის ერთი კუთხე ჩამოტეხილია, ხოლო დანარჩენი გამოყენების შედეგად დაჩეჩქვილი. სიგრძე—10,5 სმ, სამუშაო პირის სიგრძე—6 სმ (ტაბ. Va—5).

ცული —შავი ფერის, ერთ გვერდზე ყუის ქვემოთ თეთრი ლაქა აქვს, ყუა დაჩეჩქვილი. ორივე გვერდი გახეხილ-გაპრიალებული. სიგრძე —10,5 სმ, სამუშაო პირის სიგანე —5 სმ (ტაბ. Va—6).

ცული —მონაცრისფრო, ყუამოტეხილი, ორივე გვერდი გახეხილი აქვს, სიგრძე —6 სმ, სამუშაო პირის სიგრძე —3,6 სმ (ტაბ. Va—7).

ცული —მოლურჯო-მონაცრისფრო, რიყის ქვის ორივე გვერდი გახეხილი აქვს. ყუა დაჩეჩქვილი, სამუშაო პირი ჩამოტეხილი. სიგრძე 8 სმ (ტაბ. Va—2).

ცული —მოლურჯო, ყუადაჩეჩქვილი, ორივე გვერდი გახეხილ-გაპრიალებული. სამუშაო პირზე ორი პატარა ჩამონატეხი. სიგრძე —9,7 სმ, პირის სიგრძე —3,5 სმ (ტაბ. Va—4).

ცული —მოლურჯო-მონაცრისფრო, დაჩეჩქვილი აქვს ყუა და სამუშაო პირი. მისი ორივე გვერდი გახეხილია. სიგრძე—8,5 სმ, პირის სიგრძე— 5 სმ (ტაბ. Va—1).

ხელსაფქვავი — ნავისებური ფორმის. როგორც ეტყობა, მას დიდხანს იყენებდნენ, რაზედაც მიუთითებს მისი სამუშაო ზედაპირი. ხელსაფქვავს თავთან ორი დიდი და ერთი შედარებით პატარა ანამტვრევი აქვს. ზურგზე, როგორც თავსა და ბოლოში, ისე ორივე გვერდიდან ისეა ატკეცილი, რომ შუაში

იქმნება ქედი, რომლის სიმაღლე ცენტრში სამუშაო ზედაპირიდან 7 სმ, სიგრძე — 73 სმ, სიგანე — 40 სმ.

ხელსაფქვავის ნატეხი, პატარა ზომის, სიგრძე 22 სმ, სიგანე — 17 სმ.

ძვლის იარაღები წარმოდგენილია: ერთი ეშვით. მისი შიდა მხარე გახეხილია. (ტაბ. Vb—10) 17 სადგისით, რომელთა უმეტესობას ან წვერი აქვს მოტეხილი ან ბოლო (ტაბ. Vb—1,9,11—17), ერთი საპრიალებლით და ერთი კოვზის ფრაგმენტებით.

ნამოსახლარზე გორასამარხის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა აგრეთვე ლითონი: ერთი ოთხწახნაგა სადგისი, წვერგაღუნული, სიგრძე — 10,3 სმ, მეორე თავბოლო მოტეხილი, 4,5 სმ სიგრძისა და 0,3 სმ დიამეტრის მქონე მრგვალი ფორმის ნივთი, მესამე ბეჭედი.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად რაზმი სისტემატურ დაზვერვებს აწარმოებდა სოფ. ულიანოვკის მინდვრებში, რის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა ორი ნამოსახლარი. მწერლების მიწა და ნამოსახლარი № 4.

მწერლების მიწა, რომელსაც უმნიშვნელო შემაღლება აქვს, სოფ. ულიანოვკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და სოფლიდან დაშორებულია 7 კმ-ზე. ნამოსახლარის 1/3 ნაწილზე (ჩრდილო-აღმოსავლეთით) გაშენებულია აკაციის ნარგავები, ხოლო სამხრეთ და დასავლეთ ნაწილს იყენებენ სასამთროს დასარგავად.

1977 წელს აქ გაიჭრა ოთხი სადაზვერვო თხრილი. საინტერესო აღმოჩნდა № 3 თხრილი (5×3), რომელიც ნამოსახლარის დასავლეთ ნაწილში გაკეთდა. კულტურული ფენის სიმძლავრემ 1,10 მ მიაღწია. ზედაფენები წარმოდგენილია ადრე, შუა, გვიანბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის მასალებით. სულ ქვედა ფენაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელსაც კონუსური კოპი აქვს, ზუსტად ისეთი, როგორიც ეს დამახასიათებელია წითელგორების № 3 ნამოსახლარის მასალისათვის.

წითელგორების № 3 ნამოსახლარის დასავლეთით 1 კმ-ის დაშორებით აღმოჩნდა კიდევ ერთი ნამოსახლარი № 4. იგი 40-50 მ დიამეტრისა და 1—1,5 მ სიმაღლის მქონე ბორცვია. აღნიშნული ბორცვი გადაჭრილია სადრენაჟო არხით. ზედაპირზე და არხის ფლატეში აიკრიფა მცირე რაოდენობის მასალა. კოლექციაში მოგვიანო პერიოდის (ადრე, შუა და გვიან-ბრინჯაოს ხანა) მასალასთან ერთად გვხვდება № 3 ნამოსახლარის იდენტური თიხის ჭურჭლის ნაწარმი (ტაბ. VI—4).

კიდევ უფრო ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 0,5 კმ-ის დაშორებით, ყორღანულ ველზე, ნაპოვნი იქნა ქვის ცულის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ქვის ცული აღმოჩნდა აგრეთვე უფრო აღმოსავლეთით, ყორღანული ველიდან 0,5 კმ-ზე (ტაბ. VI—37,39).

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, კონუსური კოპით და ობსიდიანის რამდენიმე ანატკეცი ზედაპირულად ნაპოვნი იქნა ზემო მაჩხაანის მინდვრებში, გვირაბების ხევის მარცხენა ნაპირზე, აღნიშნული სოფლის მეცხოველეობის ფერმის მოპირდაპირედ.

ორმხრივ გახეხილ-გაპრიალებული ქვის ცული (ყუა მოტეხილი აქვს) აღმოჩნდა სოფ. ზიართან, მდ. ლაკბის მარცხენა მხარეზე (ტაბ. VI—38).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წითელგორების გორასამარხების ველზე ნაპოვნი იქნა ქვის ცულისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნივთები აიკრიფა ერთ-

ერთი გორასამარხის, ე. წ. „დამწვარი გორის“ სიახლოვეს. ის წარმოადგენდა 40-ოდე მეტრის დიამეტრისა და 1 მ სიმაღლის გორასამარხის ტიპის ბორცვს. შემაღლება წარმოქმნილია სხვადასხვა ზომის წითლად დამწვარი და დაწიდავებული მოლესილობის ნამტვრევებისაგან. ამიტომაც იყო, რომ მისი წითელი ფერი შორი მანძილიდანაც კი შეიმჩნეოდა. ბორცვი სოფ. ულიანოვკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე მდებარეობს.

„დამწვარი გორა“ აღმოჩენილი იქნა 1977 წ. იმავე წელს გაკეთდა ტოპოგეგმა და მოიხსნა ყრილის 1/4 ნაწილი.

1978 წელს დავიწყეთ ბორცვის გათხრა. მოვხსენით შლაკი და მოვასწორეთ. მასში გვხვდებოდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც დამახასიათებელია ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის. რადგან აღებულ ფართობზე (14 × 7, რომელიც მოიცავდა ბორცვის ცენტრს და გადიოდა მის სამხრეთ ნაწილში) დასაკრძალავი დარბაზის კიდეები არ ჩანდა, ძველი ველის დონე ჩავჭერით 0,20—0,25მ სიღრმეზე. ამ სამუშაოს შესრულების დროს გვხვდებოდა ობსიდიანის ანატკეცი არაღები და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელიც ძალიან გავდა № 3 ნამოსახლარის მასალას. ძეგლის ხასიათის გასარკვევად თხრილის დასავლეთ ნაწილში გავაკეთეთ ჭრილი (14 × 1). ჭრილში დადასტურდა: ზედა— ძველი ჰუმუსოვანი ფენა, რომელიც შეიცავდა კულტურულ ნაშთებს (0,25—0,30 მ სიმძლავრის) და ქვედა მომწვანო-მოყვითალო ფერის თიხა, რომელშიც ჩაჭრილი იყო სამეურნეო დანიშნულების ორმოები. მასალის სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩეოდა № 1 ორმო, რომელიც ჭრილის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა.

მიწურის მოტკეპნილ(?) იატაკზე მიმოფანტული იყო საქონლის ძვლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ნაწილობრივ რესტავრირებულ იქნა ორი ჭურჭელი. ერთი ტაფისებურია. პირის ქვემოთ ნახვრეტები შემოუყვება. ზედაპირი და შიდაპირი მოწითალო-მოყვითალო. შიდაპირი გაპრიალებული. ჭურჭელი ქუსლიანია. ძირზე კარგად ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდი. კეცი ნაცრისფერი, ხვინჭანარევი, სისქე —1,5 სმ (ტაბ. VI—7).

მეორე კასრისებურია. პირი გარეთ გადმოკეცილი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილზე მიძერწილი აქვს ნახევარსფერული ყური. ზედაპირი მოწითალო-მოყვითალო, მხრის ქვემოთ ნაცრისფერი, ხელით კარგად მოგლუვებული. შიდაპირი ღია ვარდისფერი, ხელით მოგლუვებული. კეცი ნაცრისფერი, ხვინჭანარევი, სისქე—1,3 სმ (ტაბ. VI—1). ყურის მცირე ნაწილი შემორჩენილი აქვს თიხის ჭურჭლის მეორე ფრაგმენტს.

მიწურში აღმოჩნდა აგრეთვე სამი სხვადასხვა ჭურჭლის პირის ნატეხი, რომლებსაც პირს ქვემოთ ნახვრეტები შემოუყვებათ (ტაბ. VI—2,3) და რამდენიმე ძირისა და გვერდის ფრაგმენტი. მათ მასიური, გამოყვანილი ქუსლი აქვთ. ძირზე ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდი. მათი ზედაპირი მოწითალო-მოყვითალოა, ხელით მოგლუვებული. შიდაპირი უფრო მოწაბლისფროა. ნაპრიალები. კეცი-ნაცრისფერი, ხვინჭანარევი (ტაბ. Vb—5, 6, 8, 9).

ზემოთ აღწერილი მასალა ყველა თავისი ნიშან-თვისებით (ზედაპირისა და შიდაპირის მოგლუვება ან გაპრიალება, პირის ფორმები, პირს ქვემოთ ნახვრეტები, მასიური ქუსლი, ძირზე ჭილოფის ანაბეჭდი, ფერი, კეცის სტრუქტურული შემადგენლობა, გამოწვის ტექნიკა) დიდ მსგავსებას იჩენს წითელგორების № 3 ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალასთან.

ქვის მასალაში ჭარბობს ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები (60 ერთე-

ული). მათ მეორადი დამუშავება არ ეტყობათ. მცირე რაოდენობითაა საფხეკები (6 ერთეული) და რეტუშირებული ლამელები (2 ერთეული).

მნიშვნელოვანი მასალა აიკრიფა ადგილ ნადიკარზე. ნადიკარი მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფ. დარჩეთის ტერიტორიაზე, ჯიმითის ხევის მარცხენა ნაპირზე, ხევის დონიდან 30—40 მ სიმაღლეზე. ჩრდილო-დასავლეთით ჩამოუდის ასიოდე მეტრის სიგრძის ღიჭის წყალი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით გუდაანთ წყალი. ადგილი წარმოადგენს ფერდობს, რომელიც სიგრძივ დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით და მთავრდება ზემოთ აღნიშნულ ხევთან. ფერდობი განიცდის ძლიერ ეროზიას. აქ გადის მრავალი საცალფეხო ბილიკი, რაც კიდევ უფრო აადვილებს მის დახრამვას და გადარეცხვას. ნადიკარზე 1974—1975 წლებში ჩვენს მიერ აკრეფილ იქნა ზედაპირული მასალა, რომლის საერთო რაოდენობამ 130 ერთეულს მიაღწია. მასში არის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის იარაღ-ანატკეცები, კაჟისა და რიყის ქვის იარაღები. კოლექციაში თიხის ჭურჭლის 50 ფრაგმენტია. ყველა ისინი მცირე ზომისაა და ამდენად ჭურჭლის ფორმის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, დამუშავებისა და შემკულობის მიხედვით მათში სამი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება. ქვემოთ ვიძლევით თითოეული ჯგუფის აღწერილობას. ცალკე გამოვყოფთ პირისა და ძირის ფრაგმენტებს (ტაბ. VI—22—29).

I ჯგუფში 15 ფრაგმენტია. მათთვის დამახასიათებელია უხეში ზედაპირი, მოშავო ან მოყვითალო-მოწითალო ზედაპირი. შიდაპირი გაპრიალებული, კეცი ქვიშანარევი.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი სწორი. პირს ქვემოთ ორი, 0,5 სმ დიამეტრის მჭონე ნახვრეტი. გახვრეტა უწარმოებიათ შიგნიდან. ზედაპირი მოშავო, მოგლუვებული, უსწორმასწორო, ხაოიანი. შიდაპირი — ნაპრიალები, მოწაბლისფრო-მოწითალო. კეცი მოლურჯო, ქვიშანარევი, სისქე 0,8 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი სწორი, პირს ქვემოთ სამი 0,4 სმ დიამეტრის მჭონე ნახვრეტი. ზედაპირი შავი, უსწორმასწორო, ხაოიანი. შიდაპირი მოწაბლისფრო, ნაპრიალები. კეცი-მოლურჯო, ქვიშანარევი, სისქე — 0,6 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი სწორი, პირს ქვემოთ ორი ნახვრეტი. ზედაპირი მოყვითალო, უსწორმასწორო, ხაოიანი. შიდაპირი მოყვითალო-მოწითალო, ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, სისქე — 1 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი გადაშლილი. პირს ქვემოთ ორი ნახევრად შემორჩენილი ნახვრეტი. გახვრეტა უწარმოებიათ შიგნიდან. ზედაპირი მოყვითალო-მოწაბლისფრო, უხეშად დამუშავებული, ხაოიანი. შიდაპირი ნაპრიალები. კეცი მოყვითალო-მოლურჯო, ქვიშანარევი, სისქე — 1,12 სმ.

პირმოყრილი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირს ქვემოთ ორი ნახევრად შემორჩენილი ნახვრეტი. ერთი მხარე მოყვითალო, ნაპრიალები, ხოლო მეორე რუხი, ნაპრიალები. კეცი შავი, ქვიშანარევი, სისქე — 0,8 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი სწორი. ზედაპირი მოყვითალო, ზოგან მოლურჯო ლაქებით, მოგლუვებული. შიდაპირი მოყვითალო, ნაპრიალები. კეცი მოლურჯო, ქვიშანარევი. სისქე — 1 სმ.

I ჯგუფის თიხის ნაწარმი ყველა ნიშან-თვისებით დიდ მსგავსებას იჩენს როგორც წითელგორების № 3 ნამოსახლარის III ჯგუფის კერამიკასთან, ისე დამწვარი გორის მასალასთან. მსგავსება იმდენად დიდია, რომ თუ არა ტერიტორიული დაშორება, შეიძლება ის ერთი ადამიანის ნახელავადაც კი მიგვეჩნია.

მსგავსი კერამიკა აღმოჩენილია ილტოს ნამოსახლარზე. აქ IV და III ფენებში იგი სერიებადაა წარმოდგენილი (9, გვ. 49—54, ნახ. 9, 11). ასეთ ჭურჭლებს ძეგლის გამთხრელი შ. დედაბრიშვილი I ჯგუფში აქცევს და მათ ტაფისებურს უწოდებს. მართლაც, წითელგორების № 3 ნამოსახლარზე და ნადიკარზე აღმოჩენილ ამ ტიპის ფრაგმენტებს ზედაპირზე კარგად ეტყობა ბოლისა და მურის კვალი.

პირგახვრეტილი ჭურჭლის ნატეხები, რომლებსაც ზედაპირი უხეში აქვთ და შიდაპირი გაპრიალებული, დამოწმებულია ხიზანაანთგორის E დონეზე (საინვ. № 4816). ი. კიკვიძე მას ტაფისებურ ჭურჭელს უწოდებს (18, გვ. 37). მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია აგრეთვე სამხრეთ (19. ტაბ. XXXIX—2,5) და ჩრდილო კავკასიაში (20, გვ. 57, 60, ნახ. 19—12).

I ჯგუფის კერამიკაში ყურადღებას იქცევს პირგადაშლილი ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი, რომელსაც პირს ქვემოთ ნახვრეტები შემოუყვება. ნადიკარზე იგი ერთადერთია. ასეთივე ფრაგმენტი ზედაპირულად მოპოვებულია წითელგორების № 4 ნამოსახლარზე.ასეთი პირი მხოლოდ ნახვრეტების გარეშე დამახასიათებელია ხიზანაანთ გორის C და B დონეებისათვის. (18, გვ. 70, ტაბ. XX—2, XXI—2, 3, XXIII—4, 7, 9). ისინი ქმნიან ტოლჩების, ჭოთნების, ჭილებისა და ბადიების სერიებს. მათთვის დამახასიათებელია ორი ან ერთი ყური, თუმცა C დონეზე უყურო ჭილებიცაა დამოწმებული. ერთი ასეთი ჭილა აღმოჩნდა C_3 ფენაში, საცხოვრებელ მოედანზე (18, გვ. 71, ტაბ. XXV—3, სურ. 18—3). ორი კი, მე-8 შენობაში (18, გვ. 71. ტაბ. XXII—5, XXIII—8, სურ. 18—1,2).

ანალოგიური ჭურჭლები დამოწმებულია ქვაცხელებზე (21, გვ. 30, ტაბ. 4) და ქულბაქებზე (II, გვ. 124, სურ. 24—8).

II ჯგუფში 25 ფრაგმენტია. პირმოყრილი ჭურჭლის პირის ნატეხი. ზედაპირი და შიდაპირი მოწაბლისფრო. ორივე მხარე ნაპრიალები. კეცი მოლურჯო ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, სისქე—0,8 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი სწორი, ზედაპირი მოყვითალო-მოლურჯო, ნაპრიალები. შიდაპირი მოწაბლისფრო, ნაპრიალები. კეცი მოლურჯო, ქვიშანარევი, სისქე — 0,8 სმ.

თიხის ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი სწორი. ზედაპირი და შიდაპირი მოლურჯო-მოშავო, ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი. სისქე — 0,7 სმ.

ჭურჭლის პირის ფრაგმენტი. პირი ოდნავ გადაშლილი. ზედაპირი და შიდაპირი მოლურჯო-მონაცრისფრო, ნაპრიალები. კეცი შავი, სისქე — 0,8 სმ.

ჭურჭლის მხრის (?) ფრაგმენტი. შემორჩენილი აქვს ყელის მცირე ნაწილი. ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილი მომრგვალებული. ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო-მოლურჯო. ნაპრიალები. კეცი მოლურჯო, ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი. სისქე — 0,8 სმ.

II ჯგუფის კერამიკა უფრო ფრაგმენტულია, ვიდრე პირველი. კოლექციაში რაოდენობრივად სწორედ ეს ჯგუფი ჭარბობს. როგორც აღწერიდან ჩანს, მათთვის დამახასიათებელია ზედაპირისა და შიდაპირის გაპრიალება. ფერი უმეტეს შემთხვევაში მოწითალო-მოყვითალოა.

აღნიშნული ჯგუფი დიდ მსგავსებას პოულობს წითელგორების მასალასთან როგორც პირის ფორმის, ისე კეცის სტრუქტურული შემადგენლობით. პირის ფორმის მიხედვით მსგავსებას იჩენს აგრეთვე ილტოს III ფენის კერამიკასთან (9, გვ. 49, სურ. 10—4,5) და ქვაცხელების ცალყურიან ჯამებთან (11, გვ. 158 სურ. 20).

III ჯგუფში თიხის ჭურჭლის 12 ფრაგმენტია. მათი ზედაპირი მოწითალო-მოყვითალოა, ან მოლურჯო-მონაცრისფრო. ნაწილი მოგლუვებულია, ნაწილი კი ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, სქელი. 1,5 სმ-დან 2 სმ-მდე, ამ ჯგუფში აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი, რომელსაც პირი ოდნავ განზე აქვს გაზიდული. მისი ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო-მოწითალოა, სველი ხელით მოგლუვებული. კეცი—სქელი, გასამჭლევებლად შერეული აქვს ქვიშა და ნამჯა. კეცის სისქე—2 სმ.

ცალკე დგას გაურკვეველი ფორმის ნივთი, რომელიც დამზადებულია განლექილი თიხისაგან. მოგლუვებულ ზედაპირზე უწესრიგოდაა განლაგებული 12-მდე ნახვრეტი. გახვრეტა სწორედ ამ მხრიდან უწარმოებიათ. მეორე მხარე უსწორმასწოროა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს მოლესილობა უნდა ყოფილიყო. მისი სისქეა 2,1 სმ (ტაბ. VI—21).

კოლექციაში თიხის ჭურჭლის ძირის ექვსი ფრაგმენტია (ტაბ. VI—17—20).

თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, ჭუსლიანი. შემორჩენილი აქვს გვერდის ნაწილი. ზედაპირი მოშავო, უსწორმასწორო. შიდაპირი მოწაბლისფრო. ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი. სისქე — 1,1 სმ.

ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი. ჭუსლიანი. ზედაპირი მოშავო. შიდაპირი მოწაბლისფრო-მონაცრისფრო, ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, სისქე—1,1 სმ.

ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, ჭუსლიანი.—სუსტად გამოყვანილი. გვერდისა და ძირის გადასვლა მომრგვალებული. ზედაპირი და შიდაპირი მოყვითალო, ზოგან მოლურჯო-მონაცრისფრო ლაქები, სუსტად ნაპრიალები. კეცი ხვინჭანარევი, სისქე — 1,2 სმ.

თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი. სუსტი ჭუსლით. ზედაპირი და შიდაპირი მოწაბლისფრო, ლურჯი ლაქებით. ორივე მხრიდან ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, სისქე — 1,3 სმ.

თიხის ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი. გვერდისა და ძირის შეერთების ადგილი ოდნავ გარეთ გაწეული და მომრგვალებული. ზედაპირი მონაცრისფრო-მოლურჯო. ნაპრიალები, შიდაპირი მოშავო, ნაპრიალები. კეცი ქვიშანარევი, სისქე 1 სმ.

ნადიკარზე მოპოვებული ქვის მასალა 75 ერთეულს ითვლის. აქედან ერთი რიყის ქვისაა, დანარჩენი კი ობსიდიანის. ამიტომ მასალის აღწერის დროს ვიხმართ მხოლოდ კაჟს ან რიყის ქვას, დანარჩენ შემთხვევაში იგულისხმება ობსიდიანი.

კოლექციაში 4 ნუკლეუსია. ისინი ფორმადაკარგულ ნალევებს წარმოადგენენ. ანამტვრევები 20 ერთეული. ზოგიერთზე შეიმჩნევა გამოყენების კვალი.

შედარებით დიდი, მასიური ანატკეცები. ერთი მონაცრისფრო-მოლურჯო კაჟის, გამოყოლილი აქვს კაჭრის კანი. სამი კი ობსიდიანის.

სახოკი სულ ორი ცალია. ერთი ირგვლივრეტუშირებულია, ოთხკუთხა

ფორმის, ზურგი მაღალი. დამუშავებულია დამაბლაგვებელი რეტუშით. მარჯვენა გვერდი ქვედა სიბრტყესთან შესწორებული აქვს ქერცლისებური ანატკეცების ათლის გზით.

მეორე სახოკი დამზადებულია თავწამტვრეულ ლამელაზე. დამუშავებულია ურთიერთსაწინააღმდეგო სიბრტყეზე მდებარე დაკბილული რეტუშით (ტაბ. VI—32).

საფხეკი, ჩამოყალიბებულია ანატკეცზე. მისი მარცხენა გვერდის შუა ნაწილი ამომტვრეულია, მარჯვენა კი, მორკალული. სწორედ ეს ნაწილია დამუშავებული ფაქიზი რეტუშით. იარაღს ზურგზე გამოყოლილი აქვს კაჭრის კანი. საფხეკი ნაკეთებია ანამტვრევზე. რეტუში ჯერ ზურგის მხრიდან აქვს გაკეთებული, ხოლო შემდეგ მუცლის მხრიდანაც შეუსწორებიათ.

ლამელა, დანა, გამჭვირვალე ობსიდიანისა. იარაღი დამზადებულია ორფერდა ლამელაზე, რომლის ორივე გვერდი რეტუშირებულია.

ლამელა, დანა სამფერდა, ობსიდიანისა. იარაღს ორივე გვერდი მთელ სიგრძეზე დამუშავებული აქვს ფაქიზი რეტუშით. ლამელა ხასიათდება სწორი მოყვანილობით. თავი და ბოლო განზრახ აქვს წამტვრეული. შეიძლება აღნიშნული იარაღი გამოიყენებოდა როგორც ჩასართი.

თავმოტეხილი ლამელა. მისი მარჯვენა გვერდის გაგრძელება ქმნის წვეტს. როგორც წვერი, ისე მისი ორივე გვერდი დამაბლაგვებელი რეტუშითაა დამუშავებული, შესაძლებელია, იარაღი სახვრეტადაც გამოიყენებოდა (ტაბ. VI—31).

ლამელა, თავმოტეხილი, ორფერდა. ორივე გვერდი ზურგის მხრიდან დამუშავებული აქვს ფაქიზი რატუშით. ბოლო მომრგვალებული და ისიც ასევე დამუშავებული (ტაბ. VI—34).

დანა (?) მონაცრისფრო-მოშავო კაჟის. იარაღის ტალღისებური ზურგი დაბლაგვებულია და დარტყმის მოედნის მიმართულებით მომრგვალებული. მეორე გვერდი დაკბილულია სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე რეტუშით ისე, რომ ქმნის ხერხისებურ სამუშაო პირს (ტაბ. VI—35).

დანა, მოთეთრო-მოლურჯო კაჟის. მისი ერთი გვერდი დაბლაგვებულია, ხოლო მეორე გვერდი ზურგის მხრიდან დამუშავებული. იარაღს გამოყოლილი აქვს კაჭრის კანი.

გაურკვეველი დანიშნულების იარაღი, დამზადებულია ობსიდიანის სამფერდა ანატკეცზე. მისი ერთი გვერდი დაბლაგვებულია. ასევე დამაბლაგვებელი რეტუშითაა დამუშავებული მისი მეორე მხარეც.

მიკროლამელა, მისი ერთი გვერდის ორივე მხარე დამუშავებულია დამაბლაგვებელი რეტუშით, ხოლო მეორე გვერდის ბოლოზე სასაჭრისე ჩამონატეხი აქვს.

კოლექციაში არის აგრეთვე ორი თავბოლომოტეხილი ლამელა. მათზე გამოყენების კვალი არ შეიმჩნევა.

საჭრისი, მონაცრისფრო კაჟისა, თავრეტუშირებული, ირიბი. დარტყმის მოედნის მხრიდან, ანატკეცის მარჯვენა გვერდზე, გაკეთებული აქვს ანკოში და სწორედ ამ ადგილზეა გაკეთებული საჭრისზე ჩამონატეხი.

ბურღი, ნაკეთები ირგვლივრეტუშირებულ ლამელაზე. წვეტი გამოყვანილი აქვს სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარე რეტუშით.

გახეხილ-გაპრიალებული რიყის ქვის ცულის ფრაგმენტი. კარგად ეტყობა ორმხრივი ლესილობა და მის ზედა ნაწილზე მოკოდვის კვალი (ტაბ. VI—36).

როგორც მასალის აღწერიდან ირკვევა (წითელგორები № 3, „დამწვარი გორა“, ნადიკარი), კოლექციაში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა როგორც ქვის მასალა, ისე თიხის ნაწარმი. ერთი კი შეიმჩნევა, რომ ქვის მასალაში არ არის გეომეტრიული მიკროლითები და დანისებური ლამელები.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ძეგლებზე მიკროლითური ტექნიკა გვიანი ნეოლითიდან უკვე დაღმავალი გზით მიდის და ადრეული ლითონის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა არუხლო I, სამელე კლდე, დარკვეთის I, II, III ფენები, წოფი და სხვა, მათი რაოდენობა საგრძნობლად მცირდება (13, გვ. 101). სამაგიეროდ ისახება მსხვილი ლამელების ტექნიკა, რომელიც ლითონის მომატებასთან ერთად თანდათან ქრება (13. იქვე).

მაგრამ სულ სხვა სურათი ჩანს ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ძეგლებზე (შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, იმირის გორა, დანგრეული გორა, ხრამის დიდი გორა). აქ მიკროლითური ტექნიკა პირველ სამ საფეხურზე [3, გვ. 109, იხ. სქემა] საერთოდ არ ჩანს. მხოლოდ იმირის გორის ზედა ჰორიზონტში — IV საფეხურზე ჩნდება ერთი ტრაპეცია. ასევე ერთეული ტრაპეციები და სეგმენტებია დამოწმებული V საფეხურზე [3, გვ. 117]. მსგავსი მაგალითები ჩანს წინა აზიის ადრეულ ძეგლებზე, სადაც გავრცელებულია „მიკროლამელები“ და არ არის გეომეტრიული მიკროლითები. ასეთებია; უბეიდა, იერიქონის უკერამიკო ნეოლითში, ჩაიონუ-თეფესი სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, დეჰლურანის ძეგლები ირანში და სხვა [3, გვ. 118].

ჩვენს მასალაში დანისებური ლამელა ერთადერთია (წითელგორის ნამოსახლარი № 3). დანარჩენი ლამელები უფრო პატარა ზომისაა და მცირერიცხოვანიც, მაშინ, როცა ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლების (შულავერისა და იმირის გორის ყველა სამშენებლო ჰორიზონტი, გადაჭრილი გორა, ჭიულ-თეფე) ქვის მასალაში უმეტესობას დანისებური ლამელები წარმოადგენენ. ყურადღებას იქცევს გარეთვე ორი ისრისპირი. ორივე სწორფუძიანი და სამკუთხედის ფორმის (ობსიდიანის ისრისპირს წვერი მოტეხილი აქვს). მსგავსი ფორმის ისრისპირები აღმოჩენილია კიკეთში [14, გვ. 68], სამელე კლდეში [2, გვ. 47, სურ. 18, 19], აღსატაფაჩაის როგორც ზედაპირულ, ისე კულტურულ ფენაში [15, გვ. 155, ტაბ. 3—10].

საინტერესოა ორივე მხრიდან გახეხილ-გაპრიალებული ცულები. როგორც ცნობილია, ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულები და სათლელ-სატეხები დროის დიდ მანძილზე არსებობენ და საკმაოდ მრავალრიცხოვანია ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ყველა ნამოსახლარზე. ქვემო ქართლის ძეგლებზე (4), დასავლეთ საქართველოში: ანასეული I, ოდიში, გურიანთა, კისტრიკი (7), აზერბაიჯანში: შომუ-თეფე [16, გვ. 49], თოირა-თეფე (17) და სხვა.

ამრიგად, წითელგორების № 3 ნამოსახლარზე, დამწვარ გორაზე და ნადიკარზე მოპოვებული მასალის თითქმის ყველა ნიშან-თვისება უნდა მიუთითებდეს ძეგლის გვიანდელობაზე, ვიდრე ეს შულავერი და შომუ-თეფეა, მაგრამ წინ უნდა უსწრებდეს „მტკვარ-არაქსს“ (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, ილტო, ამირანის გორა, ჭიულ-თეფე II და სხვა), რადგან ზოგიერთი ნიშანი, რომელიც მომდევნო პერიოდში ვითარდება, აქ მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომა-

რეობაშია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ მომავალში ძეგლის თარიღი დაახლოებით ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით უნდა განისაზღვროს.

იორ-ალაზნის აუზში აღმოჩენილი ნამოსახლარების შემდგომი შესწავლა, ცხადია, საშუალებას მოგვცემს მათ კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ საქართველოს და ამიერკავკასიის ენეოლითურ ძეგლებში.

В. В. ВАРАЗАШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ СЕРЕДИНЫ IV ТЫСЯЧЕЛЕТИЯ ДО Н. Э. ИЗ ИОРО-АЛАЗАНСКОГО БАССЕЙНА

(Таблицы I—VI)

Резюме

В 1974—1978 гг. Кахетская археологическая экспедиция обнаружила несколько памятников раннеземледельческого периода в районе Иоро-Алазанского бассейна.

Особого интереса заслуживает группа Цителгореби, найденная около села Ульяновка, Лагодехского района. В группе объединены четыре пункта, расположенные на левом берегу реки Алазани и на правом берегу реки Квириасцкали. В 1977 году была раскопана часть поселения № 3. Было отпрепарировано несколько хозяйственных ям, но не обнаружено никаких следов жилого помещения. По формам и характеру декора в коллекции добытых глиняных сосудов было выделено шесть групп. Сосуды изготовлены из глины с примесью песка. Наружная и внутренняя поверхность этих сосудов желтовато-красная, иногда бурая. Часто обе поверхности отполированы. На некоторых фрагментах у венчиков налеплен горизонтальный выступ или шишка конусной формы. У сковородообразных сосудов имеются дырочки чуть ниже венчика, вокруг него. Встречаются также фрагменты, украшенные штампованными или в редких случаях рельефными линиями. Для донышек характерен слабо выделенный поддон с отпечатком рогожи.

Среди каменного инвентаря встречаются топоры из галечного камня, обсидиановые инструменты разных видов и наконечники стрел с плоскими основаниями. В инструментах из кости преобладают проколки.

Аналогичный материал был добыт на Дамцвари Гора. Здесь, на полу одной из землянок, среди обнаруженных глиняных изделий встречаются и сосуды с ушком. Это ушко является примитивным предшественником куро-аракских ушек.

Подобный материал был добыт и на многослойном поселении Мцерлебис Мица и на поселении № 4.

В Надикари (Гурджаанский район) на поверхности земли был найден материал, проявляющий большое сходство с коллекцией № 3 поселения Цителгореби. Этого же периода должен быть фрагмент каменного топора, найденного на левом берегу реки Лакбе в селе Знари (Гурджаанский район), отшлифованный и отполированный с обеих сторон, а также фрагмент глиняного сосуда, найденный на левом берегу Мцаре Цкали (Сигнахский район).

На поселениях, обнаруженных в Иоро-Алазанском бассейне, добытый материал почти по всем приметам должен быть более позднего периода, чем Шулавери и Шому-Тепе, но опережает памятники Куро-Аракской культуры, так как некоторые характерные черты этой культуры здесь появляются лишь только в их зародышевом состоянии.

Судя по этим данным, мы думаем, что в будущем вышеуказанные памятники должны быть датированы концом первой половины IV тыс. до н. э.

ლიტერატურა

1. ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.
2. К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили. Древные культуры южного Кавказа, Л. 1970.
3. თ. კიღურაძე. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976.
4. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.) თბ., 1975.
5. გ. ჯავახიშვილი. ნეოლითური მასალა ლაგოდეხის რაიონიდან (მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის) I, თბ., 1966.
6. Р. М. Мунчаев. Древнейшая культура северо-восточного Кавказа. М., 1961.
7. ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.
8. გ. მირცხულავა. სამშვილდე, თბ., 1975.
9. Труды Кахетской археологической экспедиции I, 1972.
10. ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 1972-1973 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, I, V, თბ., 1975.
11. Р. М. Мунчаев. Кавказ на заре бронзового века, М., 1975.
12. Р. М. Тороспян. Раннеземледельческое поселение Техута, Ер. 1976.
13. ლ. ნებიერიძე. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლებში, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 3. 1975.
14. გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
15. И. Г. Нариманов, Г. Н. Исмайлов, Акстафачайское поселение близ г. Казаха. СА, № 4, М., 1962.
16. Археологические исследования в Азербайджане, сб. статей, Баку, 1965.
17. Д. Рустамов, И. Нариманов, Археологические исследования Тоирепе. Материалы сессии посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 года в СССР тезисы докладов. Баку, 1965.
18. ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.
19. С. А. Сардарян. Первобытное общества в Армении, Ер., 1967.
20. М. Г. Гаджиев, Новые данные о южных связях Дагестана в III тысячилетиях до н. э. КСИА, 108.
21. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962.
22. გ. გობეჯიშვილი. თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.
23. ს. გოგიტიძე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1977.

მ. კაკაბაძე

აკაკიანთ ხევის შუა ბრინჯაოს ხანის № 1 გორასამარხი

(ტაბულა VII)

1977 წელს კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აწ განსვენებული არქეოლოგის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის შ. დედაბრიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო არქეოლოგიური დაზვერვები და გათხრები მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, კერძოდ, სოფ. ზემო მაჩხაანის მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმის № 1 ბრიგადის საძოვრებზე.

აღნიშნული ფერმა მდებარეობს სამი ხევის შესაყარზე, რომელთაგან ორი მშრალია (მწყარე წყლისა და კოდისხევის), ხოლო მესამე — ოლე ჩამოუდის ჩრდილო-დასავლეთით. ფერმის წინ სამივე ხევი ერთდება. ფერმის აღმოსავლეთით სუბუთნოს სერებია, რომლის ჩრდილო ნაწილში, ფლატეებში ხელოვნური გამოქვაბულებია (ქვაბები). სუბუთნოს სერზე გვიანი ბრინჯაოს ხანის თავდაცვითი მიწაყრილიანი ნამოსახლარი აღმოჩნდა, ხოლო მის ქვევით, დაბლობში ნაპოვნი თიხის ჭურჭლის კოპიანი ფრაგმენტი და ობსიდიანის უსახო ანატკეცები, სავარაუდოა, შუა ბრინჯაოს ხანისა იყოს. იქვე, ფერმების უკან, კოდისხევის მარცხენა ნაპირზე ოდნავ დაფერდებული ადგილია, სადაც შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი აღმოჩნდა. ფერმის სამხრეთით, ხუთიოდე კილომეტრზე, ორი ღელე ჩამოდის. მათი შეერთების ადგილას ტაფობია, რომელსაც ფურცელწყალს უწოდებენ. აქაც შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გამოვლინდა. იქვე, წყლისაგან ჩახრამულ ადგილზე ნაცრისა და ნახშირის შრეები ჩანს, რაც ამ ადგილზე ჩამონარეცხი და დალექილია. ფურცელწყლის ნამოსახლარის სამხრეთით, დაახლოებით, ერთ კმ-ზე, ყველაზე მაღალ გორაზე გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ჩანს, რომელსაც კარგად ემჩნევა თავდაცვითი თხრილი. ფერმის სამხრეთ-დასავლეთით არის კიდევ ერთი ხევი, რომელსაც აკაკიანთ ხევს უწოდებენ[1]. იგი ფურცელწყლიდან დაცილებულია 3—4 კმ-ით. ხევის ზემო წელზე, მარცხენა ნაპირის ტერასაზე აღმოჩნდა კიდევ ერთი შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. როგორც კოდისხევის, ისე აკაკიანთ ხევის ნამოსახლარები წარმოდგენილია უძრავი კულტურული ფენით. აკაკიანთ ხევის გაღმა, ოთხასიოდე მეტრით დაშორებულ ბორცვზე გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდებარეობს.

---

[1] დასახელებულ ადგილთა სახელწოდებები მოგვაწოდა ზემო მაჩხაანელმა ბაიდო ილიას ძე ყოჩიაშვილმა.

ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები აკაკიანთ ხევის დასავლეთით, საჯოგის ხევში, რომლის მარჯვენა ტერასაზე აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის, დაახლოებით 200 მ სიგრძისა და 80—100 მ სიგანის ნამოსახლარი, ხოლო ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით, მაღალ სერზე — გვიანი ბრინჯაოს ხანის ყელგადაჭრილი ნამოსახლარი ბორცვი.

1977 წლის 9—16 ნოემბერს გაკეთდა რამდენიმე შურფი აკაკიანთ ხევის შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე[2]. ტერასა (ნამოსახლარითურთ) მორკალულია ხევის გასწვრივ და ზედაპირის ძლიერი დაქანების გამო ინტენსიურად ირეცხება. ნამოსახლარის ზედაპირზე შეგროვილ იქნა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატკეცები და გამომწვარი თიხის ბორბლის მოდელი.

1978 წლის მაისში განახლდა საველე სამუშაოები აკაკიანთ ხევის ნამოსახლარზე. იგი, როგორც უკვე აღინიშნა, ხევის მარცხენა ტერასაზეა, რომლის სიმაღლე, დაახლოებით, 10—12 მეტრია. სტრატიგრაფიული ჭრილისათვის შეირჩა ნამოსახლარის შუა აღგილი, ფლატის პირზე. ჭრილის ზომებია 7×3 მ. კულტურული ფენის სიმძლავრემ მიაღწია 2,65 მ. ჭრილმა თერთმეტი სამშენებლო დონე გამოავლინა. I დონეზე არსებულ მოლესილობას ზემოდან ედო 0,30 მ სისქის ფერდობიდან ჩამორეცხილი ნაცარნარევი მიწა (დონეები დანომრილია ზევიდან ქვევით). II დონე 0, 55 მ სიღრმეზეა და ნაცრითაა მოლესილი. III დონეზე შავი დამწვარი ფენა და მოლესილი იატაკი აღმოჩნდა. IV დონეზე იატაკი ორჯერ იყო განახლებული, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანდა მის ჩრდილო ნაწილში. აქვე იყო 20 სმ დიამეტრის მქონე ფოსო (ბოძის?). V დონესაც ჰქონდა მოლესილობა და აქაც სარის ორი ფოსო იყო—ცენტრში და ნაპირთან. VI დონე მოტკეპნილი ჩანდა. აქ იწყებოდა 0,50 სმ დიამეტრის მქონე ორმო, რომელიც ჩადიოდა VIII სამშენებლო დონეში. ორმოს სიღრმე 0,30 მ. მასში რიყის რამდენიმე ქვა და დამწვარი მიწა იყო. VIII დონეზე მოტკეპნილობა მხოლოდ შუა ნაწილზეა შემორჩენილი. IX დონე სამხრეთ ნაწილში იყო მოტკეპნილი. X დონე საკმაოდ ღრმა იყო. მისი მოტკეპნილი იატაკი შუაზე იყო გაწყვეტილი ვიწრო, 10—12 სმ. სიგანის ზოლით, რომელიც ამოვსებული იყო ფხვიერი, დამწვარი მიწით. აქ მხოლოდ 0,6 სმ დიამეტრის მქონე სარის ერთი ფოსო გაიწმინდა. XI დონე დედაქანია — მოსწორებული და მოტკეპნილი. აქაც საკმაო რაოდენობით გამოვლინდა სარის ფოსოები. მათ ისეთი განლაგება ჰქონდათ, თითქოს კუთხეს ქმნიდნენ. დონეებზე მოპოვებულ მასალაში სჭარბობს ობსიდიანი: ნუკლეუსები, სახოკები, საფხეკები, ლამელები, სხვადასხვა სახის ანატკეც-ანამტვრევები. აქვე (I დონეზე) აღმოჩნდა კაჟის დაუსრულებელი ნამგლისპირი (?). თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს შორის არის როგორც შავპრიალა, ისე უხეშკეციანი და ქსოვილის ანაბეჭდიანი ნიმუშები (პირგადაშლილი ჭურჭლის ძირის, გვერდის ფრაგმენტები). საკმაო რაოდენობითაა ცხოველთა ძვლებიც, როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლისა, თუმცა, მსხვილფეხასი უფრო სჭარბობს. საერთოდ კი, მასალა მცირე რაოდენობითაა, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა V-დან XI დონემდე.

აკაკიანთ ხევის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს აქვს სამაროვანი, რომელიც მის მოპირდაპირე მხარეს, ხევის მარჯვენა ნაპირის სერებზეა განლაგებული, ნამოსახლარისაგან სამასი-ოთხასი მეტრის მოშორებით. იგი ქვამიწაყრილიანი,

---

[2] ადმინისტრაციულად ეს ადგილი ეკუთვნის სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის კოლმეურნეობას და გამოყენებულია ზამთრის საძოვრად.

მცირე გორასამარხებითაა წარმოდგენილი. 1978 წ. აქ გაითხარა № 1 გორასამარხი, რომელიც სხვებისაგან განცალკევებითაა და მათგან სიდიდითაც გამოირჩევა. იგი ქვამიწაყრილიანია და წარმოადგენს ოდნავ შემაღლებულ ბორცვს. გორასამარხის ყრილის დიამეტრი 10,3 მ, სიმაღლე — 0,60 მ, ორმოს სიღრმე ველის დონიდან — 2,40 მ, სიგრძე — 2,10 მ, სიგანე — 1,80 მ. მას აქვს შესასვლელი (თუ საფეხური?), რომელიც ორმოს ძირიდან 0,50—0,60 მ სიმაღლეზე წყდება. შესასვლელი დასაწყისში ვიწროა და სამარხისაკენ თანდათან ფართოვდება. საფეხურის სიგრძე 2 მ, სიგანე — 1,20 მ, სიმაღლე — 1,20 მ. ორმო კუთხეებმომრგვალებულია და ჩაჭრილია ქვიშა-ქვიან დედაქანში. ადამიანის ჩონჩხი სამარხში არ აღმოჩნდა. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ეწყო მსხვილფეხა საქონლის ძვლები. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში — სამარხის შესასვლელის ორივე მხარეს საქონლის თავებია. იქვე (სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში) თავთან იდო მსხვილფეხა საქონლის ფეხის ძვალი. სამარხის ცენტრალურ ნაწილშიც საქონლის ძვლებია — ფეხის, ნეკნის და სხვა. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ორმოს კედელთან აღმოჩნდა № 1 თიხის ჭურჭელი. მისგან ცოტა მოშორებით № 2 ჭურჭელი და მის ქვეშ ცხვრის ძვლები. ორმოს მთელ სიგრძეზე, ერთმანეთის მიყოლებით ჩადგმული იყო თიხის ხუთი ჭურჭელი. სამარხის ცენტრში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი, თიხის ოთხი ჭურჭელი იდგა. ორმოს დასავლეთ ნაწილში, საქონლის ნეკნებზე იდო ბრინჯაოს ყუნწგახვრეტილი სატევარი. სარდიონის, პასტის და გიშრის მძივები აღმოჩნდა სამარხის ცენტრის დასავლეთ ნაწილში, საქონლის ნეკნებს შორის. № 2 თიხის ჭურჭლის ქვეშ, ცხვრის ჩონჩხის ყელთან იდო ობსიდიანის „დანა“. № 9 ჭურჭელში აღმოჩნდა სამარილე — № 10 ჭურჭელი.

როგორც შევნიშნეთ, სამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩენილა. ასეთივე შემთხვევაა დადასტურებული როგორც პროფ. ბ კუფტინის, ისე პროფ. ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილ მრავალ სამარხში. როგორც პროფ. ბ. კუფტინი ფიქრობდა, სამარხში მიცვალებულის ფერფლს ათავსებდნენ. საფიქრებელია, იგივე შემთხვევას ჰქონდეს ადგილი აკაკიანთ ხევის № 1 სამარხშიც, ანდა, შესაძლოა, ეს სამარხი კენოტაფი იყოს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სამარხის შესასვლელთან იყო მსხვილფეხა საქონლის ორი თავის ქალა და კიდურები. გარდა ამისა, № 2 ჭურჭლის ქვეშ იყო ცხვრის ჩონჩხი, რომლის ყელთანაც აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცი — „დანა“. ცხოველის ყელთან ობსიდიანის „დანის“ არსებობა დადასტურებულია ზემო ბოდბის გორასამარხებში, მეტეხთან და კასპის ცემენტის ქარხანასთან მრავალ გორასამარხში (5, გვ. 83). საინტერესოა, რომ ზ. შატბერაშვილს ობსიდიანის სარიტუალო „დანით“ ცხვრის დაკვლის ფაქტი დამოწმებული აქვს ეთნოგრაფიულ ყოფაში. სამარხში ჭურჭლის ფრაგმენტით (№ 2) დაფარული იყო ცხვრის ჩონჩხი. მსგავსი შემთხვევა დადასტურებულია ზემო ბოდბის № 1 და № 2 სამარხებში (5, გვ. 83). არსებითია, რომ ამ ფაქტის პარალელი შუა ბრინჯაოს ხანის სამარხში დადასტურდა.

06/312,1 თიხის ჭურჭლის ყელისა და მხრის ფრაგმენტი (აღდგენილი). ზედაპირი შავპრიალა, ოდნავ მჭრქალი. შიდაპირი მონაცრისფრო-მოწაბლისფრო, გლუვი. კეცი მსხვილ ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, გადანატეხში შავი, თხელი წაბლისფერი სარჩულით. სისქე 0,5—0,6 სმ. ჭურჭელი «მსხლის» ფორმის ჭილა უნდა ყოფილიყო. ბაკო მრგვალად გადმოდის ყელზე და მასთან შეერთების ადგილას ქმნის ვიწრო ღარს. ზევიდან ბაკო ბრტყელია. ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას აქვს ოდნავ შესამჩნევი ღარი (თითქოს, ყელისა და მხრის საზღვრად). აღდგენილი ნაწილის სიმაღლე 15,2 სმ, პირის დიამეტრი— 12 სმ (ტაბ. VII—1).

06/312,2 ბადია. ზედაპირი მოვარდისფრო, გლუვი, შიდაპირი მოვარდისფრო-მონაცრისფრო. კეცი წმინდა ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, გადანატეხში მოვარდისფრო-მონაცრისფრო. სისქე 0,4—0,7 სმ. პირი შიგნით აქვს გადახრილი და გარედან ვიწრო ღარი შემოუყვება. პირის ცოტა ქვევით მიძერწილი აქვს ლენტისებური, მრგვალი ყური. სიმაღლე 11 სმ, პირის დიამეტრი 20სმ, ძირისა 10,8 სმ, ყურის სიმაღლე 3,5 სმ, დიამეტრი 2 სმ, სიგანე 1 სმ (აღდგენილი) (ტაბ. VII, 2).

06/312,3 თიხის ჭურჭლის პირისა და ძირის ფრაგმენტები (ჯამი? ფიალა? კოჭობი?), ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი წაბლისფერი, გლუვი. კეცი მსხვილქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, გადანატეხში მოშავო, წაბლისფერი სარჩულით, სისქე 0,7—0,8 სმ.

06/312,4 ჭილა. ზედაპირი შავპრიალა, ოდნავ მჭრქალი. შიდაპირი მონაცრისფრო-მოწაბლისფრო, გლუვი. კეცი მსხვილ ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, ფორმებიანი, გადანატეხში წაბლისფერი, ასეთივე ფერის სარჩულით. სისქე 0,9—1 სმ. ჭურჭელი «მსხლის» ფორმისაა. ბაკო მრგვალად გადმოდის ყელზე და ქმნის შეერთების ადგილას ვიწრო ღარს. ზევიდან მომრგვალებულია. სიმაღლე 33 სმ, პირის დიამეტრი 14 სმ, მუცლისა 27,5 სმ, ძირისა 11,4 სმ (აღდგენილი) (ტაბ. VII, 4).

06/312,5 ჭილა. ზედაპირი შავპრიალა. შიდაპირი მონაცრისფრო-მოწაბლისფრო. კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, ფორებიანი. გადანატეხში მოშავო, მოწაბლისფრო სარჩულით. სისქე 0,8—0,9 სმ. ჭურჭელი (აღდგენილია), «მსხლის» ფორმისაა. ბაკო მრგვალად გადმოდის ყელზე და შეერთებისას ქმნის ღარს. ზევიდან ბრტყელია. მხარზე ორი რელიეფური ზოლი შემოუყვება. ზოლებზე და მათ შორის სივრცეზე დატანილია წერტილოვანი ორნამენტი. სიმაღლე 31,5 სმ. პირის დიამეტრი 15 სმ, მუცლისა 27 სმ, ძირისა 11,8 სმ (ტაბ. VII,5).

06/312,6 ქოთანი.ზედაპირი ლეგა-მონაცრისფრო. შიდაპირი მოწაბლისფრო ორივე ზედაპირი გლუვია. კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, გადანატეხში მონაცრისფრო-მოწითალო. სისქე—0,7 სმ. ჭურჭელი (აღდგენილია) პირმოყრილია. პირთან გარედან აქვს ვიწრო ღარი. სიმაღლე 12,4 სმ, პირის დიამეტრი —11 სმ, მუცლის დიამეტრი—16,4 სმ, ძირის დიამეტრი—9 სმ (ტაბ. VII, 6).

06/312,7 ჭილა. ზედაპირი მონაცრისფრო-მოწაბლისფრო, უსწორმასწორო, გლუვი. შიდაპირი მოწაბლისფრო, უსწორმასწორო, გლუვი. კეცი მსხვილ ქვიშანარევი, ცუდად გამომწვარი, გადანატეხში მონაცრისფრო, მოწაბლისფრო სარჩულით. სისქე 0,7—0,8 სმ. ჭურჭელს (აღდგენილია) პირი ოდნავ გადაშლილი,

სწორი, ზევიდან მომრგვალებული აქვს. სიმაღლე 15,3 სმ. პირის დიამეტრი—13,2 სმ, მუცლისა—15,5 სმ. ძირისა—10,5 სმ (ტაბ. VII, 7).

06/312,8 ქილა. ზედაპირი შავპრიალა, შიდაპირი მონაცრისფრო-მოწაბლისფრო, გლუვი. კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, გადანატეხში შავი, მოწაბლისფრო სარჩულით. სისქე ყელთან—1,2 სმ, გვერდისა—0,5 სმ. ჭურჭელი (აღდგენილია) «მსხლისს» ფორმისაა. სიმაღლე—33 სმ. პირის დიამეტრი—15,4 სმ, მუცლისა—30,8 სმ, ძირისა—11,3 სმ (ტაბ. VII,8).

06/312,9 დერგი. ზედაპირი შავპრიალა. შიდაპირი მოშავო-მოწაბლისფრო, გლუვი. კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი, გადანატეხში მონაცრისფრო, წაბლისფერი სარჩულით. სისქე-1 სმ. ჭურჭელი (აღდგენილია) «მსხლის» ფორმისაა. ბაკო მრგვალად გადმოდის ყელზე და შეერთებისას ქმნის ღარს. ზევიდან ბრტყელია. სიმაღლე—43 სმ. პირის დიამეტრი—15 სმ. მუცლისა—36,4 სმ, ძირისა—13,5 სმ (ტაბ. VII,9).

06/312,10 სამარილე. (იყო № 9 ჭურჭელში). ზედაპირი მოწაბლისფრო-მონაცრისფრო, უსწორმასწორო, ხაოიანი (ემჩნევა ნათითურები). შიდაპირი მოწაბლისფრო-მოშავო. კეცი ქვიშანარევი, კარგად გამომწვარი. სიმაღლე—4სმ. პირის დიამეტრი 4,4 სმ, ძირისა—3,8 სმ, მუცლისა—5 სმ (ტაბ. VII,10).

06/312,11 სატევარი. ბრინჯაოსი, წვერმოტეხილი, დაჭანებული, კუთხიანი მხრებით (ერთი გვერდი დაზიანებული აქვს), ღეროზე ნახვრეტით. საერთო სიგრძე—11,4 სმ. ღეროს სიგრძე—2 სმ. ნახვრეტის დიამეტრი—0,2 სმ. უდიდესი სიგანე 3,3 სმ (ტაბ. VII,11).

06/312,12 «დანა» ობსიდიანის უსახო ანატკეცი (ტაბ. VII,12).

06/312,13 მძივები—მინისებური პასტისა (3 ცალი). ერთი დაბალი, სფერული, კოპებიანი, მეორე ცილინდრული, კოპებიანი. მესამე—დაბალი, სფერული, სადა (ტაბ. VII, 13).

06/312,14 მძივები გიშრის (4 ცალი) ერთი წაკვეთილი, ბიკონუსური ფორმის დაზიანებული. სიგრძე—1 სმ. ნახვრეტის დიამეტრი—0,2 სმ. სამი—დაბალი, სფერული, დაზიანებული (ტაბ. VII,14).

06/312,15 მძივები სარდიონის. (4 ცალი) ერთი—მოწითალო, გამჭვირვალე, სფერული, სიგრძე—0,8 სმ. ნახვრეტის დიამეტრი—0,1 სმ. მეორე—მოწაბლისფრო, ბიკონუსური. მესამე—დაბალი, სფერული, თეთრი ზოლებით. მეოთხე—სფერული, მოწითალო (ტაბ. VII, 15).

06/312,16 საქონლის ძვლები. ხარისა (?) და ცხვრისა.

სტატიაში განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ იმაში, რომ კახეთი შედის ე. წ. თრიალეთური კულტურის გავრცელების ფარგლებში და კიდევ მეტიც, ამ კულტურის ჩასახვა-განვითარების ძირითადი ტერიტორიაა.

აკაკიანთ ხევის № 1 გორასამარხში აღმოჩენილი შავპრიალა თიხის ჭურჭელი ფორმითა და შესრულების მანერით ძალზე ჰგავს თრიალეთის სამარხების კერამიკას. სამარხებში შავპრიალა ჭურჭლის გვერდით არის უხეში, ღია ფერის ჭურჭლები (ტაბ. VII, 6, 8, 10).

შავპრიალა თიხის ჭურჭლის პირდაპირი პარალელები არის როგორც პროფ. ბ. კუფტინის მიერ გათხრილ თრიალეთის მრავალ სამარხში (V, XV, XVI, XVII, XX, XXXIV, XXXVI, XLV), ისე ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილ საბიდ-ახჩას V სამარხში აღმოჩენილ № 1 ჭურჭელთან. ზოგი არქეოლოგი მათ «პითოსებს», ანდა,

«ამფორებს» უწოდებს. (7), ნაწილი—ქილას (4, გვ. 14), ხოლო სხვანი კი «მსხლის» ფორმის ჭურჭელს (1, გვ. 70). ჩვენს მიერ გათხრილ სამარხში ასეთი ოთხი ჭურჭელია (ამათგან, ერთი (ტაბ. VII,9) ყველაზე დიდია და დერგი უფრო ეთქმის) და ერთიც ყელისა და მხრის ფრაგმენტი. სამი ჭურჭელი (ტაბ. VII, 4, 5, 8) ზომებითაც კი თითქმის ტოლია ზემოთ ნახსენები პარალელებისა. № 4 ჭურჭელი შავპრიალაა და უორნამენტო (ტაბ. VII, 4). რაც შეეხება № 8 და № 9 ჭურჭლებს (№ 9 როგორც ვთქვით, დერგია) (ტაბ. VII, 8, 9) მათზე შეიძლება თითქმის იგივე ითქვას, რაც № 1 ჭურჭელზე საბიდ-ახჩას V სამარხიდან [4, გვ. 26]. აქაც ჭურჭელს მხრის ქვემოთ ირგვლივ შემოსდევს ერთმანეთისაკენ მიმართული სამკუთხედები, ოთხკუთხედები, პარალელური, ტეხილი ხაზები და მეანდრები—ყველა მათგანი წერტილოვანი ორნამენტითაა ამოვსებული (1, გვ. 86, 70, 90, 91, 94, 104, 105, 106, 112, 4—ტაბ. XVII, XXI, XXII).

ო. ჯაფარიძე საბიდ-ახჩას V გორასამარხის № 1 ჭურჭელს თრიალეთური კერამიკის ბ. კუფტინისეულ I ჯგუფს (8, გვ. 84) უკავშირებს (4, გვ. 7, 26). მათ შესახებ პროფ. ბ. კუფტინი აღნიშნავს, რომ «ისინი მხოლოდ ორმოსამარხებში გვხვდება» (4, გვ. 26).

სამარხში აღმოჩენილ ცალყურა ბადიას (ტაბ. VII, 2)პარალელები აქვს ნულისა და ლაფანყურის სამარხებში (2), ხოლო ქილას (ტაბ. VII,7) კი, შულავერში გათხრილი სამარხის ინვენტართან (4, გვ. 138, ტაბ. XXVIII—2). რაც შეეხება აკაკიანთ ხევის № 1 გორასამარხში აღმოჩენილ სარდიონის პასტისა და გიშრის მძივებს, მათი ანალოგიური ნივთები საკმაო რაოდენობითაა თრიალეთის სამარხეულ მასალებში (1, გვ. 65, 66, 70, 82, 90, 98, 100), ნულის სამარხი (2, სამარხი № 3), ხოლო მინისებური პასტის კოპიან მძივებს პარალელები ეძებნება ლილოს № 6 სამარხში (8, გვ. 326; ტაბ. XXIV).

აკაკიანთ ხევის № 1 გორასამარხის ბრინჯაოს სატევრის (ტაბ. VII, 11) თითქმის მსგავსი იარაღი აღმოჩენილია ლილოს № 6 სამარხში. ამავე სამარხის ინვენტარში არის აკაკიანთ ხევის № 1 გორასამარხში ნაპოვნი სამარილის (ტაბ. VII,10) მსგავსი თიხის ჭურჭელი (8, გვ. 236; ტაბ. XXIV). გამთხრელი მას შუა ბრინჯაოს ხანით ათარიღებს (8, გვ. 236).

როგორც მოშველიებული პარალელური მასალიდან ჩანს, აკაკიანთ ხევის № 1 გორასამარხი, მხოლოდ ზოგადად, შუა ბრინჯაოს ხანით, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

М. Т. КАПАНАДЗЕ

КУРГАН № 1 ЭПОХИ СРЕДНЕЙ БРОНЗЫ ИЗ АКАКИАНТ-ХЕВИ

(таблица VII)

Резюме

В 1978 году сотрудниками Кахетской археологической экспедиции на левом берегу реки Иори, в ущелье Акакиант-Хеви, на курганном поле среднебронзовой эпохи был раскопан курган № 1. Это погребение отличается от других своими размерами и расположено отдельно.

Размеры погребения: диаметр перемешанной земляной и каменной насыпи — 10,3 м, высота — 0,60 м, глубина ямы — 2,40 м, длина — 2,10 м, ширина — 1,80 м. Погребение имеет вход (ступень?) на высоте 0,50—0,60 м от дна ямы. Длина ступеньки — 2 м, ширина — 1,20 м, высота — 1,20 м. Погребальная яма имела четырехугольное очертание с округлыми углами и вертикальные стенки. Человеческого скелета в яме не оказалось. В северо-западном углу лежали бычьи головы и астрагалы. Кости животных обнаружены в центральной части погребения. Инвентарь погребения состоит из девяти глиняных сосудов, расположенных двумя группами. В сосуде № 9 оказалась «солонка» (№ 10). В западной части, на ребрах животного лежал бронзовый кинжальчик с отверстием на черенке. Сердоликовые, пастовые и гагатовые бусы оказались в западной части погребения, между бычьими ребрами. Под вторым сосудом был обнаружен овечий скелет, у горла которого лежал обсидиановый «нож».

Часть сосудов, обнаруженных в погребении (№№ 4, 5, 8, 9), тщательно вылепленные, чернолощенные, хорошего обжига. На плечиках сосудов № 8 и № 9 нанесен точечный орнамент. Это треугольники, ломанные и параллельные линии, четырехугрольники, меандры. Рядом с такими сосудами в погребении оказались и грубовылепленные сосуды светлого обжига (№№ 6, 7, 10).

Аналогичные погребения и погребальный инвентарь имеются в Триалети (погребения Сабид-Ахча), Нули, Квасатали, Зуртакети, Лило. Вышеуказанные погребения рядом исследователей датированы первой половиной II тыс. до н. э. Поэтому приблизительно этим же периодом нужно датировать курган № 1 на Акакиант-Хеви.

ლიტერატურა

1. Л. Г. Жоржикашвили, Э. М. Гогадзе. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1974.

2. ნულის სამარხი № 6, თ. ჭ. № 1, ინახება საქ. სახ. მუზეუმში. ინვ. № 29—61:245. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია ლაფანყურში, მაგრამ მას ყურზე ღარი აქვს. ინახება თელავის ისტ. ეთნ. მუზეუმში, ინვ. № 302—4.

3. ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1960.

4. ო. ჯაფარიძე. ბრინჯაოს ხანის ყორღანები (ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1965-1971 წწ.) თბ., 1975.

5. კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973.

6. ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

7. Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

8. Э. М. Гогадзе. Курганные погребения Лило, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXXII—B თბ., 1976.

შ. დედაბრიშვილი, რ. რუსიშვილი

ზემო ალვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი

(ტაბულები VIII—IX)

1972 წელს ზემო ალვანში მცხოვრებმა არჩილ ქააძემ თავის საკარმიდამო ნაკვეთში დააზიანა შუაბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი სამარხი და გამოვლენილი მასალა გადასცა ზემო ალვანის საშუალო სკოლის მუზეუმს.

სამარხში აღმოჩნდა თიხის რვა დერგი, ხელადა, კათხა, მცირე ზომის ორი სასმისი, დერგებისა და ჯამების ფრაგმენტები და ბრინჯაოს სატევარი. ჭურჭლები ჩარხზეა დამზადებული. მათ, ერთი წითლად გამომწვარი დერგის გარდა (ტაბ. IX, 1), შავპრიალა ზედაპირი აქვთ. დერგების, ხელადის, კათხის, ჯამების შიდაპირი და კეცი მოყავისფრო ან მოყავისფრო-მორუხო ფერისაა. სასმისების შიდაპირი და კეცი კი შავად არის გამომწვარი. ყველა ჭურჭელს მკვრივი კეცი აქვს, რომელიც შეიცავს წმინდა ქვიშას და წვრილ, თეთრ მინარევებს.

დერგებს ფართო, გადაშლილი პირი, საშუალო სიმაღლის გამოყვანილი ყელი, ზედა ნაწილში გამობერილი, ხოლო ძირისაკენ თანდათან შევიწროებული კედლები აქვთ.

ზოგიერთი დერგის ყელი მხრისაგან დაბალი რელიეფური საფეხურით არის გამოყოფილი.

დერგების უმრავლესობას პირზე ერთი ან ორი ამოღარული კონცენტრული ხაზი შემოუყვება, ხოლო ყელის ძირზე და მხარეზე ამოღარული ხაზებით შესრულებული ორი სარტყელი და წვერით ქვემოთ მიმართული, სამ-სამად დაჯგუფებული თორმეტი სამკუთხედი შემოსდევს. სარტყლები ირიბი წერტილოვანი ხაზებით არის შევსებული, რომლებიც ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოდ არიან მიმართულნი, ხოლო სამკუთხედებს ავსებს შვეული წერტილოვანი ხაზები. ორ დერგზე და დერგის რამდენიმე ფრაგმენტზე ვხვდებით განსხვავებულ ორნამენტს. ერთ დერგს ორი სარტყლისა და სამკუთხედების გარდა მუცელზე შემოუყვება შიგნიდან ამოყვანილი სამ-სამი კოპი.

მეორე წითლად გამომწვარი დერგის მხარი, ამოკაწრული, ერთმანეთში ჩასმული სამკუთხა ქიმებით არის შემკული (ტაბ. IX, 1).

საყურადღებოა თიხის ჭურჭლის მხრის ფრაგმენტი, რომელსაც შემოუყვება ირიბი წერტილოვანი ხაზები, კონცენტრულ ხაზზე ფუძით მიბჯენილი, წვერით ქვევით დაშვებული და კიდეებით ერთმანეთზე მიერთებული სამკუთხედები და სარტყელი. სამკუთხედებს და სარტყელს ირიბი წერლიტოვანი ხაზები ავსებს.

გვხვდება აგრეთვე ორი ან სამი მსგავსი სარტყელით შემკული დერგის ფრაგმენტებიც.

აღსანიშნავია, რომ დერგებზე ორნამენტი ზოგჯერ ფაქიზად, ზოგჯერ კი უხეშად არის შესრულებული. დიდი ოსტატობით არის დატანილი ორნამენტი ორ ჭურჭელზე, ხელადასა და კათხაზე. ხელადას გადაშლილი პირი, მაღალი, პირთან და მხართან ფართო, შუისაკენ ოდნავ შევიწროებული და ბიკონუსური ტანი აქვს. მის ყელსა და მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მას ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს. ხელადას ამკობს ირიბი, წერტილოვანი ხაზებით შევსებული ჰორიზონტალური და ტეხილი ხაზები (ტაბ. IX,3).

კათხა ფართო, ოდნავ გადაშლილი პირით, ქვედა ნაწილში წიბოიანი ტანით და წიბოს ქვემოთ ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული კედლებით ხასიათდება. მას ტანის ზედა ნაწილში მიძერწ-ლი ჰქონია მრგვალგანივკვეთიანი ყური, რომელიც არ შემორჩენილა. კათხის ტანზე ამოკაწრული და ირიბი წერტილოვანი ხაზებით მეანდრია გამოსახული (ტაბ. IX ,4).

აღსანიშნავია, რომ კათხას ტანის მოყვანილობით ჰგავს აქვე აღმოჩენილი მცირე ზომის ორი სასმისი (ტაბ. IX, 5—6).

ამ ჭურჭლებსაც მაღალი, წიბოიანი ტანი და ძირისაკენ შევიწროებული კალთები აქვთ. მათი პირი ფართოა და გადაშლილი. სასმისებზე ორნამენტი არა გვხვდება.

როგორც აღვნიშნავდით, სამარხში მოპოვებულია ჯამების ფრაგმენტებიც. სამი ჯამის მხოლოდ პირისა და გვერდის მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი. მათ სწორი პირი და ოდნავ შიგნითა მხარეს დაქანებული ბაკო აქვთ. მათი გვერდი სუსტად არის გამობერილი.

გვაქვს აგრეთვე ორი ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი და ყურები (ტაბ. IX, 7). ჯამებს სწორი პირი, ზედა ნაწილში მკვეთრად გამობერილი, ხოლო ძირისაკენ უცბად შევიწროებული კედლები აქვთ. მათ პირზე და გვერდზე მიძერწილია მრავალი ლენტური ყური. ერთ მათგანს ზემოდან ღრმა ღარი გასდევს (ტაბ. IX,7), მეორე შუა ადგილას ჩაზნექილია.

სამ ჯამზე გვხვდება პირს ქვემოთ შემოვლებული ერთი ამოღარული ხაზი. ერთ ჯამს ორი ასეთი ხაზი ამკობს.

კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს სატევარი ფოთლისებური მოყვანილობისაა და აქვს სამი ნახვრეტი, ერთი—მოკლე ყუნწის ბოლოზე, ორი—მხართან. პირზე მას დაბალი ქედი დაუყვება (ტაბ. IX,8). იგი ფორმით უახლოვდება ნულის №4 სამარხში აღმოჩენილ ფოთლისებურ სატევარს[1].

ზემო ალვანის სამარხის კერამიკა ემსგავსება როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოს და ცენტრალური ამიერკავკასიის სხვა შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებზე მოპოვებულ თიხის ჭურჭელს.

კახეთში შვინდიანის სამაროვანზე გამოვლენილია ზემო ალვანის ანალოგიური დერგები (1, გვ. 26. ტაბ. IV—3) და მსგავსი ფორმის კათხა (1, გვ. 27, ტაბ. III[13]). აღნიშნული ძეგლი ძვ. წ. XVIII—XVII სს. თარიღდება (2 გვ. 15). ანალოგიური დერგები გვხვდება აგრეთვე აღჩიას ყორღანულ მასალებში[2] (3, გვ.

[1] საქ. მუზ. ინვ. 29—61: 186.

[2] საქ. მუზ. ინვ. 82—973/28.

51). აქვეა აღმოჩენილი ჩვენი კათხის[3] და ჯამების მსგავსი ჭურჭლები. მათ ვხვდებით წაღვლის[4] სამარხებშიც, რომელებიც მათი შემცველი მასალების საფუძველზე შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა მიეკუთვნონ. რამდენიმე მსგავსი ჯამი ცნობილია სტალინირის სატყეო კომბინატის კომპლექსებიდან[5].

დიდ ახალსოფელში, კულტურულ ფენაში, მოპოვებულია წერტილოვანი ირიბი ხაზებით შევსებული სარტყელებით და სამკუთხედებით შემკული შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები (4, გვ. 28. სურ. 4).

ანალოგიური ორნამენტით შემკული ფრაგმენტები მოპოვებულია აგრეთვე ნულის კულტურულ ფენებში[6]. ნულის სამაროვანზე დიდი რაოდენობით გვხვდება ჩვენი ჯამების ანალოგიური ჭურჭლები[7] (5, სურ. 117—8) და წელში გამოყვანილი მცირე ზომის სასმისები[8] (5, სურ. 11[5]). აღნიშნული კერამიკა ცნობილია აგრეთვე ქვასათალის (6, გვ. 68) სამაროვნიდან. ერთი, მცირე ზომის სასმისი აღმოჩენილია მეტეხის სამარხშიც (7, გვ. 96). აქვეა გამოვლენილი ჩვენი ხელადის ფორმის ჭურჭელი[9]. ორი პატარა სასმისი გვხვდება წაღვლის № 3 და № 15 სამარხებშიც[10]. ჩვენი სასმისებისაგან განსხვავებით მათ სწორი პირი და ცილინდრული მოყვანილობის ზედა ტანი აქვთ. სასმისები გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც, მელი-ღელე I სამლოცველოს ტერიტორიაზე, რომელიც თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით (8, გვ. 116. ტაბ. XXVI) და შილდის სამლოცველოზე[11].

ე. გოგაძე სტალინირის სატყეო კომბინატის სამარხების, დიდი ახალ-სოფლის, ნულის, ქვასათალისა და მეტეხის შუაბრინჯაოს მასალებს თრიალეთის III ჯგუფის თანადროულად მიიჩნევს და მათ შუაბრინჯაოს დასასრულ პერიოდს მიაკუთვნებს (6, გვ. 68).

ჩვენს წითლად გამომწვარ დერგზე მოცემული ორნამენტი—ერთმანეთში ჩასმული სამკუთხა ქიმები—გვხვდება წალკის პლატოს VIII ყორღანში გამოვლენილ თიხის ჭურჭლის ერთ ფრაგმენტზე (7, სურ. 53), XVIII ყორღანში მოპოვებულ ორ შავპრიალა დერგზე (6, ტაბ. 25, 24, 29, 32) და რამდენიმე სხვა ფრაგმენტზე. აღნიშნული ყორღანები ძვ. წ. XX—XVIII სს. თარიღდებიან [6, გვ. 104]. ანალოგიური ორნამენტი გვხვდება სტალინირის სატყეო კომბინატის სამარხებში [7, ტაბ. XXVI, 1—2] და არიჭის № 9 [9, სურ. 50] და № 50 [9, სურ. 64] სამარხებში აღმოჩენილ დერგებზე. პირველი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით [9, გვ. 101], მეორე—ძვ. წ. XVIII—XVII სს.[9, გვ. 111].

---

[3] საქ. მუზ. ინვ. 82—973, 126, 245, 83.

[4] მასალა ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის. კათხების: სამარხი № 3, ინვ. 76—33. სამარხი № 8, ინვ. 77—60. სამარხი № 9, ინვ. 77—67. სამარხი № 10, ინვ. 77—76. სამარხი № 15, ინვ. 77—109, ჯამები: სამარხი № 9, ინვ. 77—70. სამარხი № 15. ინვ. 77 — 102, 103, 104, 105, 106.

[5] საქ. მუზ. ინვ. სამარხი № 2, ინვ. 28—61; 15/253, 28—61; 16/2541.

[6] საქ. მუზ. ინვ. 29—61:6,8.

[7] საქ. მუზ. ინვ. 29—61; 54, 57, 58, 171, 243, 244, 245, 246, 250, 151, 252.

[8] საქ. მუზ. ინვ. 26—61:51, 52, 53, 253, 254.

[9] ცნობა მოგვაწოდა ზ. შატბერაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

[10] ინახება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაში ინვ. წ. 77— 94 წ. 77—118.

[11] ცნობა მოგვაწოდა ბ. მაისურაძემ რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

როგორც აღვნიშნავდით, ზემო ალვანის სამარხში მოპოვებულია ერთი დერგი, რომელსაც, წერტილოვანი ორნამენტის გარდა, ამკობს მუცელზე შემოვლებული, შიგნიდან ამოყვანილი კოპები. ასეთი ტექნიკით შესრულებული კოპებით შემკული დერგები მოპოვებულია სტალინირის სატყეო კომბინატის სამარხებში[12], შვინდიანის სამაროვანზე [1, გვ. 28. ტაბ. 4_4] და ლაფანყურის[13] სამარხში, მაგრამ ამ დერგებს ჩვენისაგან განსხვავებით კოპები მხარზე შემოუყვებათ.

როგორც ვხედავთ, ზემო ალვანის სამარხის მასალა განსაკუთრებით ემსგავსება შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის (ნულის და ქვასათალის სამაროვნები, სტალინირის სატყეო კომბინატის, მეტეხის და წაღვლის სამარხები) მასალებს, რაც გვაძლევს საფუძველს ზემო ალვანის სამარხეული მასალა ამ ძეგლების მსგავსად შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით დავათარიღოთ.

Ш. ДЕДАБРИШВИЛИ, Р. РУСИШВИЛИ

ПОГРЕБЕНИЕ ПЕРИОДА СРЕДНЕЙ БРОНЗЫ ИЗ ЗЕМО АЛВАНИ

(таблицы VIII—IX)

Резюме

В 1972 году житель села Земо Алвани Арчил Каадзе на своем приусадебном участке повредил погребение периода средней бронзы с каменной насыпью и выявленный материал передал музею Земоалванской средней школы.

В погребении обнаружили шесть кувшинов, одноручный кувшин и кружку, два маленьких кубка, фрагменты кувшинов и мисок, а также бронзовый кинжал (табл. VIII—IX).

Вся посуда, кроме выжженного в красный цвет кувшина (табл. IX, 1), имеет черную блесящую поверхность. Внутренняя поверхность и черепок в изломе коричневого или серовато-коричневого цвета. Черепок твердый, и содержит песок и мелкую белую примесь.

Большую часть посуды украшает точечный орнамент (табл. VIII—IX, 2—3—4), встречается также посуда с выцарапанным орнаментом и посуда, украшенная шишками.

Керамика погребения из Земо Алвани похожа на керамику, выявленную на среднебронзовых памятниках как в Восточной, так и в Южной части Закавказья. Особенно близко она стоит к Нульским и Квасатальским могильным комплексам, а также к материалам, выявленным на территории сталинирского лесокомбината, поэтому Земоалванское погребение, как и эти могильники, можно датировать концом периода средней бронзы.

ლიტერატურა

1. რ. რუსიშვილი, შვინდიანის სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის კერამიკა, არქეოლოგიური ძიებანი. თბ., 1977.

2. შ. დედაბრიშვილი, შვინდიანის სამაროვანი (1969-1970 წწ. გათხრები). ხელნაწერი.

[12] სამარხი № 2, საქ. მუზ. ინვ. 28—61: 20 /258, 22/260, 24/261).

[13] მასალა ინახება თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ინვ. 303: 3.

3. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974.

4. ო. ჯაფარიძე და ტ. ჩუბინიშვილი, ახლად აღმოჩენილი ენეოლითური და ბრინჯაოს ხანის კულტურული კერა ქართლში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XV-B თბ., 1943.

5. Б. А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в юго-Осетию и Имеретию. Тб., 1948.

6. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.

7. ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969.

8. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს). თბ., 1969.

9. Т. С. Хачатрян, Древная культура Ширака. Ер., 1975.

გ. აბდუშელიშვილი

ფევრების სამაროვნის რამდენიმე ორმოსამარხის დათარიღებისათვის

(ტაბულები X—XIII) .

1977 წლის აპრილში კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა მიხეილ უზუნაშვილმა შეატყობინა, რომ გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანის მინდვრების ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების დროს დაზიანდა მრავალი ორმოსამარხი. ძეგლის გადარჩენის მიზნით, კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაუყოვნებლივ დაიწყო საველე სამუშაოები, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა.

ფევრების სამაროვანი[1] მდებარეობს თბილისი-გურჯაანის გზატკეცილის ხელმარცხნივ, დაახლოებით 96-ე კმ-ზე. გზის პირს ღრმა ღელე ჩამოუყვება, რის შემდეგაც იწყება შემაღლება 150—200 მ-ის მანძილზე და მდ. ლაკბის მარცხენა ნაპირთან წყდება. ადგილობრივი ხელმძღვანელობის მითითებით, სახნავ-სათესი ფართობის მომატების მიზნით, კოლმეურნეობამ დაიწყო ამ შემაღლების გადასწორება. შემაღლებას ბულდოზერით მოაცილეს ორი მეტრის სიმაღლის მიწა, რის შედეგადაც დაზიანდა მრავალი ორმოსამარხი. გადანაყარ მიწაში აიკრიფა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სარდიონის მძივები, ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი, ბრინჯაოსივე ღილები, რგოლები და სხვა.

1977 წელს ექვსი თვის განმავლობაში ფევრების სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ექსპედიციამ გამოავლინა 69 სამარხი. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქ სამარხთა ერთი ნაწილის იარუსებად განლაგებაა დადასტურებული (ტაბ. X). ეს ფაქტი მით უფრო არსებითი ჩანს, რომ აქ სტრატიგრაფიულ განფენაში გვაქვს ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების სამარხები, რაც სხვა სამაროვნებზე ჯერჯერობით არ დადასტურებულა. კიდევ მეტი, აქ, პირველად ცენტრალურ ამიერკავკასიაში, მეტად საინტერესო არქეოლოგიურ ინვენტართან ერთად, აღმოჩნდა ხის ვარგისი ნიმუშები გვიან-

[1] ფართობს, სადაც არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა, ადგილობრივი მოსახლეობა „შარიჭირებს ან ფევრებს“ უწოდებს. ჩვენმა „ფევრების სამაროვნის“ სახელწოდება მიიღეთ, რომლის ინდექსია 06—610.

ბრინჯაოს ხანის მასალების რადიოკარბონული მეთოდით განსაზღვრისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნული ცენტრალური ამიერკავკასიის ამ ხანის ძეგლთა ქრონოლოგია-პერიოდიზაციის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. ეს საკითხები კი, როგორც ცნობილია, ბოლო დროს ფართო დისკუსიის საგნად იქცა.

ამჟამად ძეგლის სრული პუბლიკაცია ნაადრევად მიგვაჩნია, ვინაიდან როგორც აღნიშნული იყო, ზედა იარუსის სამარხები გათხრილ ფართობზე განადგურებული დაგვხვდა და ამ მეტად საინტერესო სამაროვანზე ჩატარებული კვლევა-ძიება ძეგლის არსის შესახებ სრულ სურათს არ გვიქმნის. სამაროვნის დაზიანებული და ჩვენს მიერ შესწავლილი ფართობი, როგორც ჩანს, მისი დასავლეთი პეროფერიაა, ხოლო სამაროვნის ცენტრალური ნაწილი, რომელიც უფრო აღმოსავლეთითაა საძიებელი, უკეთ უნდა იყოს დაცული. ამდენად, დასახელებულ ძეგლზე შესწავლილი სამარხების სრული პუბლიკაცია მხოლოდ მომავალი საველე სამუშაოების შემდგომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, როდესაც სამაროვნის ყველა იარუსი იქნება უკლებლივ წარმოდგენილი.

ამჟამად კი ყურადღებას ვამახვილებთ აქ გათხრილ მხოლოდ რამდენიმე სამარხეულ კომპლექსზე, რომლებიც არსებითი დასკვნების საშუალებას იძლევა დისკუსიის საგნად ქცეულ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისათვის.

სამარხი № 6 აღმოჩნდა № 5 გორასამარხის ყრილის დასავლეთ (ტაბ. X) ნაწილში. სამარხი ორმოს ზედა ნაწილი წვრილი ღორღით იყო დაფარული. იგი ფერდზე მდებარეობდა და ბულდოზერით გადაწმენდილ ფართობზე მიწის ზედაპირიდან ათიოდე სანტიმეტრის სიღრმეზე გამოვლინდა. რადგანაც ამ სამარხის გამართვის დროს ჩაუჭრიათ № 5 გორასამარხიდან ამონაყარი ყვითელი თიხნარი, ამდენად № 6 სამარხი აშკარად გორასამარხზე გვიან პერიოდს განეკუთვნება.

№ 6 სამარხი ორმოსამარხია, რომელიც სიგრძივ დამხრობილია NS ხაზზე, ოდნავი გადახრით OW-საკენ. მისი სიგრძე—1,70 მ, სიგანე 1,30 მ-ია.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ზუსტად N მიმართულებით. ძვლების ანატომიური წესრიგი დარღვეული იყო, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მიცვალებული ხის სარეცელზე უნდა ყოფილიყო დაკრძალული და მისი ჩაქცევის შემდეგ მოიყოლია ქვეშ დაწყობილი თიხის ჭურჭლები. მიცვალებულის თავის ქალასთან ახლოს ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი იდო, ხოლო სატევრის ვადის ორივე მხარეს, როგორც ჩანს, ტყავის ქამრის ბრინჯაოს ორი ბალთა (აღმოჩენის ადგილის მიხედვით), სატევრის პირის გასწვრივ—ბრინჯაოს საკინძი გვერდზე ყულფით, ბრინჯაოს ჯაჭვის ორი რგოლი და ბრინჯაოსივე მსხლისებური საკიდი. ამ ინვენტარის გარდა ორმოსამარხში 22 თიხის ჭურჭელი გამოვლინდა (ტაბ. XIa).

1. დერგი (ძლიერ ნაკლული) დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი გადანატეხში რუხი. ზედაპირი ხაოიანი, რუხი, ძირთან მოშავო ლაქებით.

ჭურჭელს ჰქონია ვიწრო გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი, დაქანებული მხრები გადადის გამობერილ მუცელში, რომელიც ძირისკენ თანდა-

თან ვიწროვდება და მთავრდება ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით. მხარს გარშემოუყვება ოდნავ შესამჩნევი ორი ამოღარული კონცენტრული ხაზი. მუცელზე ურთიერთსაპირისპიროდ მიძერწილი აქვს ორი ლენტური ყური.

h—28,7 სმ, მუცლის d—21 სმ, ძირის d—7,8 სმ (ტაბ. XIa).

2. ქ ო ც ო დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი რუხი, ზოგან ორფენიანი. გარეპირი — მოშავო, შიდა — რუხი. ზედაპირი ჭურჭლისა უხეში და ხაოიანია. ზედა მხარე რუხია, მუცლისა და ძირისკენ მოშავო. ეტყობა ცეცხლზე ხმარების კვალი.

აქვს ფართო გადაშლილი პირი ლილვაკისებური ბაკოთი. მხარი პირდაპირ გადადის ძლიერად გამობერილ მუცელში, რომელიც ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება. ძირი ოდნავ ამობურცული და ვიწროა. მხარზე გარშემოუყვება ორი ამოღარული კონცენტრული ღარი. მთლიანად კორპუსი დასერილია ოდნავ შესამჩნევი ჩარხისეული კონცენტრული ხაზებით, ძირი კი შემკულია ამოღარული სპირალით.

h—31 სმ, პირის d—14,5 სმ, მუცლის d—30,1 სმ, ძირის d—9 სმ (ტაბ. XI a_2).

3. კ ა თ ხ ა ცალყურა. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გადანატეხში ორფენიანია; გარეპირის თხელი ფენა შავი, შიდა — რუხი, ზედაპირი შავი, რუხი ლაქებით, კარგად მოგლუვებული შერჩენილი აქვს ნაპრიალები ზედაპირი.

ჭურჭელს აქვს ფართო გადაშლილი პირი, რომელიც ვიწროვდება და ქმნის წელს, შემდეგ ფართოვდება და გადადის დაბალ, წიბოიან მუცელში. ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება და მთავრდება ამობურცული ვიწრო ძირით.

პირისა და მუცლის წიბოზე დაძერწილია ბრტყელგანივკვეთიანი ყური. პირის ძირს შემოუყვება რელიეფური სარტყელი.

h—11,8 სმ, პირის d—14,2 სმ, წელის d—9,6 სმ, ძირის d—5 სმ (ტაბ. XI a_3).

4. გაურკვეველი სახის ჭურჭლის ფრაგმენტები. დამზადებულია განლექილი თიხისაგან. კეცი გადანატეხში სამფენიანი; გარე და შიდაპირის თხელი ფენა შავი, შუაგული ყავისფერი.

შემორჩენილი ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი შემკულია წიწვოვანი ორნამენტით.

5. ლ ა ნ გ ა რ ი (შემორჩენილია ჭურჭლის ნაწილი) დამზადებულია განლექილი თიხისაგან წმინდა თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი გადანატეხში რუხი, ზედაპირი შავი.

ჭურჭელს აქვს ფართო პირი დაბრტყელებული ბაკოთი. სწორი მხრები ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება (ტაბ. XI a_5).

6. კ ა თ ხ ა ცალყურა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი და მბზინავი მინარევებით. კეცი — რუხი, ზედაპირი — შავი. აქვს ფართო გადაშლილი პირი, ოდნავ გამოყვანილი წელი, რომელიც ძირისკენ თანდათან ფართოვდება და გადადის ფართო ბრტყელ ძირში.

პირს შემოსდევს ორი განიერი კონცენტრული ღარი, რომელიც გოფრირებულის შთაბეჭდილებას ქმნის, პირსა და წელზე მიძერწილი აქვს დაკუთხული ყური.

h—11,5 სმ, პირის d—12 სმ, წელის d—7,8 სმ, ძირის d—10 სმ. (ტაბ. XI a 6).

7. ს ა ს მ ი ს ი (მცირე ზომის) პირთან ნაკლული. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი რუხი. ზედაპირი რუხი, მოშავო ლაქებით. აქვს გადაშლილი პირი, მაღალი კონუსური ყელი, ბიკონუსური ტანი, ვიწრო ძირი.

ყელის ძირზე შემოსდევს ამოღარული კონცენტრული ღარები. h—10 სმ, პირის d—6,3 სმ, ყელის d—4,5 სმ, მუცლის d—8 სმ, ძირის d—2,8 სმ (ტაბ. XIa 7).

8. ქ ო თ ა ნ ი (ნაკლული) დამზადებულია განლექილი თიხისაგან ქვიშის იშვიათი ჩანართებით. კეცი გადანატეხში შავი, ზედაპირი შავი, ხაოიანი.

ჭურჭელს ფართო გადაშლილი პირი აქვს ლილვაკისებური ბაკოთი. დაბალი ყელი. გამობერილი მუცელი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო. ჭურჭლის ზედა ნაწილი დაფარულია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ყელის ძირს გარშემოუყვება ღრმა მოკლე ფრჩხილისებური ნაჭდევების ერთი რიგი, ხოლო ძირის კიდეს ირიბი ნაჭდევები.

h—15,9 სმ, პირის d—16,2 სმ, მუცლის d დაახლოებით 19 სმ-ია, ძირის d—6 სმ. (ტაბ. XIa 8).

9. ლ ა ნ გ რ ი ს ფრაგმენტები დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან თეთრი მბზინავი მინარევებით. კეცი მკვრივი. ზედაპირის თხელი ფენა რუხი, ზოგან შავი ლაქებით, შიდაპირი — წაბლისფერი.

ჭურჭელს ჰქონია მოყრილი პირი ზემოდან ერთი განიერი ღარით, რომელიც შემკულია ირიბი ჭდეებით. აქვს გამოყვანილი ქუსლიანი ძირი წიწვოვანი ორნამენტით.

ძირის d—10,4 სმ (ტაბ. XIa 9).

10. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები მასიური დაკუთხული ჰორიზონტალური და მრგვალნახვრეტიანი ორი ყურით. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი ძირთან ორფენიანი: გარეპირი შავი, შიდა — რუხი, ზედაპირი შავი, ნაცრისფერი ლაქებით.

ჭურჭელს გადაშლილი პირი უნდა ჰქონოდა ლილვაკისებური ბაკოთი და დაბალი ყელით.

11. ტ ო ლ ჩ ა ცალყურა. დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი მკვრივი, გადანატეხში რუხი. ზედაპირი შავი, ზოგან მონაცრისფრო ლაქებით.

აქვს ვიწრო გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, დაქანებული მხრები ძირისკენ ფართოვდება და გადადის განიერ ძირში, რომელიც შუაგულში ოდნავ გამობერილია. ყელსა და მუცელზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ყური. მხრებს გარშემოუყვება ამოღარული კონცენტრული ხაზები.

h—17, 6 სმ, პირის d—7,8 სმ, მუცლის d—13 სმ, ძირის d—11,5 სმ. (ტაბ. XIa 11).

12. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა (ნაკლული) დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი გადანატეხში ნაცრისფრად, ზედაპირიც ნაცრისფრად, ზოგან შავი ლაქებით.

ჭურჭელს გადაშლილი პირი აქვს ლილვაკისებური ბაკოთი. პირს შიდა

მხრიდან გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი, ყელი დაბალია, მხრები პირდაპირ გადადის გამობერილ მუცელში. ძირი ვიწრო და ოდნავ ამობურცულია.

მხარს ორ რიგად გარშემოუყვება ღრმა ფრჩხილისებური ნაჭდევები, რომელთა შორის არე შევსებულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. ძირის კიდე შემკულია ირიბი ნაჭდევებით.

h—19,3 სმ. პირის d—18 სმ, მუცლის d—22 სმ, ძირის d—7,5 სმ (ტაბ. XIa 12).

13. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა (ფრაგმენტირებული) დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი გადანატეხში რუხი, ზოგან ორფენიანი. გარეპირი — შავი, შიდა — რუხი. ზედაპირი — ხაოიანი და უხეში.

ჰურჭელს პირი გადაშლილი აქვს დაკუთხული ბაკოთი. შიდა მხრიდან განიერი ღარი გასდევს. ყელი ძალზე დაბალია, მხრები დაქანებული. მხარს გარშემოუყვება ღრმა ფრჩხილისებური ნაჭდევების ერთი რიგი, მას მოსდევს ამოღარული კონცენტრული ხაზები და რელიეფური სარტყელი ღრმა ირიბი ნაჭდევებით. ასევე ძირის კიდეც შემკულია ღრმა ირიბი ნაჭდევებით.

პირის d—21,7 სმ (ტაბ. XIa 13).

14. ტ ო ლ ჩ ა ცალყურა დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. წმინდა თეთრი მბზინავი მინარევებით. ზედაპირი შავი ნაპრიალები. ჰურჭელს აქვს ფართო პირი, ოდნავ შესამჩნევად გამოყვანილი წელი. დაბალი წიბოიანი მუცელი სწრაფად ვიწროვდება და მთავრდება ვიწრო ამობურცული ძირით. ძირსა და მუცლის წიბოს შორის მიძერწილია ლენტური ყური, რომელსაც ზურგზე დაუყვება ერთი ღრმა ღარი. პირთან გარშემოუყვება სამი განიერი ღარი, რომელიც რელიეფური ზოლის შთაბეჭდილებას ქმნის.

h—12,5 სმ, პირის d—13 სმ, წელის d—12,3 სმ, მუცლის d—13,6 სმ, ძირის d—5,4 სმ (ტაბ. XIa 14).

15. კ ა თ ხ ა (მცირე ზომის) ნაკლული. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი გადანატეხში ღია ყავისფერი. ზედაპირის თხელი ფენა რუხი. აქვს გადაშლილი პირი, ოდნავ გამოყვანილი წელი, დაბალი წიბოიანი მუცელი.

პირსა და წიბოზე მიძერწილი აქვს ოვალურგანივკვეთიანი ყური. პირს გარშემოუყვება ორი განიერი ღარი, რომელიც რელიეფურ ზოლს ქმნის.

h—5,7 სმ, პირის d—6,8 სმ (ტაბ. XIa 15).

16. ფ ი ა ლ ა ფრაგმენტირებული. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი გადანატეხში ღია ყავისფერი, ზედაპირი ყავისფერი, ზოგან შავი ლაქებით.

ჰურჭელს ფართო პირი უნდა ჰქონოდა ლილვაკისებური ბაკოთი, სწორი მხრებით, მუცელთან გადასვლის ადგილას გარშემოუყვება ერთი ამოღარული კონცენტრული ღარი, ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება და მთავრდება ოდნავ ამობურცული ვიწრო ძირით.

პირის d—11 სმ, ძირის d—4,5 სმ (ტაბ. XIa16).

17. თ ი ხ ი ს ჰ ურ ჭ ე ლ ი ფრაგმენტირებული. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი გადანატეხში — გარეპირის თხელი ფენა შავი, შიდა მოწაბლისფერო-რუხი, ზედაპირი — მოშავო-ნაცრისფერი, ძირისკენ შავი, ხაოიანი.

ჭურჭლის პირი ვიწრო და გადაშლილია, ლილვაკისებური ბაკოთი. მხრები დაქანებული. გამობერილი მუცელი ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ამობურცულია.

მხრებს გარშემოუყვება ორი რელიეფური ზოლი.

პირის d—10 სმ, ძირის d—8,5 სმ (ტაბ. XIa 17).

18. ს ა ს მ ი ს ი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზედაპირი ღია ყავისფერი, ერთ ადგილზე მოშავო ლაქებით.

აქვს ვიწრო გადაშლილი პირი, მაღალი კონუსური ყელი, ოდნავ შესამჩნევი წიბოთი, ამობურცული ვიწრო ძირი. ყელის ძირზე გარშემოუყვება ერთი განიერი ღარი.

h—14 სმ, პირის d—7,5 სმ, მუცლის d—11 სმ, ძირის d—5 სმ (ტაბ. XIa 18).

19. თიხის ჭურჭლის (ქვაბქოთანა) ფრაგმენტები. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. კეცი გადანატეხში — გარე და შიდა პირის თხელი ფენა შავი, შუაგული — მოშავო, რუხი.

ზედაპირი შავი და ხორკლიანია. ჭურჭელი შემკული ყოფილა ღრმა ფრჩხილისებური ნაჭდევებით.

20. ს ა ს მ ი ს ი (ძლიერ ფრაგმენტირებული) დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი მინარევებით. კეცი გადანატეხში ორფენიანი. გარე პირის თხელი ფენა შავი, ზედაპირი — წაბლისფერი, ზედაპირი შავი, კარგად მოგლუვებული.

21. ს ა ს მ ი ს ი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ზედაპირი ნაცრისფერი, ზოგან შავი.

აქვს ვიწრო გადაშლილი პირი, მაღალი კონუსური ყელი, დაქანებული მხრები ოდნავ შესამჩნევი წიბოთი. ვიწრო, ოდნავ ამობურცული ძირი.

ყელის ძირზე გარშემოუყვება ორი კონცენტრული ღარი.

h—12 სმ, პირის d—6 სმ, მუცლის d—9 სმ, ძირის d—4,3 სმ (ტაბ. XIa 21).

22. ს ა ს მ ი ს ი ძლიერ ფრაგმენტირებული. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, უწმინდესი, თეთრი მინარევებით. კეცი გადანატეხში შავი.

ჭურჭელს ჰქონია მაღალი კონუსური ყელი. ყელის ძირზე ორი განიერი ღარით. დაქანებული წიბოიანი მუცელი მთავრდება ბრტყელი ვიწრო ძირით (ტაბ. XI a 22).

23. ბრინჯაოს შედგენილტარიანი ს ა ტ ე ვ ა რ ი. ტარის ჭუდი დაფანჯრულია ტოლფერდა სამკუთხედებათ, რომელთა ნაწილი ზემოთ არის მიმართული, ნაწილი კი — ქვემოთ. ჭუდს აქვს მრგვალი ფანჯარა, ტიხარით გაყოფილი.

ტარის ყელი მრგვალგანივკვეთიანია, სატევრის მხრები ჰორიზონტალური. პირი წარმოადგენს ტოლფერდა სამკუთხედს, რომელსაც ორივე მხარეზე ჩამოსხმის დროს დატანილი აქვს მარაოსებური, სამკამაროვანი ორნამენტი.

სატევრის მთლიანი სიგრძე—32,5 სმ-ია, ტარის სიგრძე—11,3 სმ, სიგანე ვადასთან—6,2 სმ (ტაბ. XIa 23).

24. ბრინჯაოს ს ა კ ი ნ ძ ი ყუნწით, მრავალგანივკვეთიანი ღეროსი. მოგრძო-შინდისებური თავი გოფრირებულია. სიგრძე—11,5 სმ (ტაბ. XIa 24).

25. მძივსაკიდი ბრინჯაოსი, მსხლისებური ფორმის ყუნწით. დაფან-

ჯრულია სამკუთხედებად, საიდანაც მოჩანს სამსხმელო თიხა. წიბოზე გარშემოუყვება წიწვოვანი ორნამენტი (ტაბ. XIa 25).

26. ბრინჯაოს ორი ღ ი ლ ი კონუსური ფორმის, თავზე კოპით, შიდა მხარეს ბრტყელღეროიანი ყუნწით. ზედაპირი შემკული აქვთ. ერთს ამოღარული კონცენტრული ხაზებით, კიდეზე რელიეფური წერტილები შემოსდევს, მეორეს ზედაპირი რელიეფური ზოლებით—კიდეზე ირიბი ნაჭდევები (ტაბ. XIa 26,27).

27. მ ძ ი ვ ი ვერცხლის მრგვალი (ძლიერ დაზიანებულია). მისი d—1,6 სმ-ია.

28. ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი, დაზიანებული კიდეთი. გარშემოუყვება ორი რელიეფური ზოლი. შუაში ოთხ ადგილზე სამკუთხედებში ჩასმულია ერთმანეთზე გადაბმული სპირალები. d—6,6 სმ (ტაბ. XIa 28).

29. ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი. ზედაპირი შემკულია ოთხი დედალი დუგმის გამოსახულებით. კიდე რელიეფური წერტილებით არის შემოფარგლული, შიდა მხარეს აქვს ყუნწი ამოღარული ხაზით. d—7 სმ (ტაბ. XIa 29).

30. ბ ა ლ თ ა ბრინჯაოსი. ზედაპირი შემკული აქვს ერთმანეთზე გადაბმული სპირალებით, რომელნიც ჩასმულია რელიეფურ სარტყელში. კიდეზე გარშემოუყვება რელიეფური წერტილები. კიდესთან ახლოს ორ ურთიერთსაპირისპირო ადგილას გახვრეტილია. შიდა მხარეს აქვს ყუნწი, რომელსაც ამოღარული ხაზები დასდევს. მისი d—6,8 სმ (ტაბ. XIa 30).

31. ბრინჯაოს ძ ე წ კ ვ ი ს ფრაგმენტი სამი ოვალურად მომრგვალებული რგოლებისაგან შემდგარი. (ტაბ. XIa 31).

32. ღ ი ლ ი ს ფრაგმენტი ბრინჯაოსი. სფერული, შიგნით ბრტყელი ყუნწით, რომელსაც ამოღარული ხაზები გაუყვება (ტაბ. XIa 32).

ს ა მ ა რ ხ ი № 15, ორმოს კონტურები კარგად გამოიკვეთა გადამხურავი ძელების ნაშთების მიხედვით. სამარხი სიგრძივ ყოფილა მორებით გადახურული. ორმოს N კედლის ჭრილში პირიდან 0,60 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა უფრო ძველი, სამარხის ორმოდან ამონაყარი მოთეთრო თიხნარი, რომელიც ამ სამარხს ჩაუჭრია. ამგვარად, ირკვევა, რომ ჯერ გაუმართიათ ჩვენთვის უცნობი სამარხი, რომლის ყრილშიც ჩაუჭრიათ № 15 სამარხი, ხოლო შემდეგ გაუმართიათ № 14 სამარხი, რომელიც № 15 სამარხის SW კუთხეს ადევს ზემოდან.

სამარხი № 15 ორმოსამარხს წარმოადგენს და სიგრძივ ოდნავ NO—SW ხაზზე აქვს დახრა. ორმოს სიგრძე—2,10 მ-ია, სიგანე—1,70 მ, ხოლო h—1,15 მ-ს უტოლდება.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში მიცვალებული დაკრძალული იყო პირდაპირ ორმოს იატაკზე, მარჯვენა გვერდზე მწოლიარე, მოხრილი კიდურებით (სამარხში სარეცლის კვალი არ შეიმჩნევა), თავით № მიმართულებით.

მიცვალებულთან ახლოს მიმობნეული იყო სარდიონის ნახეთქი მძივები, ხოლო სამარხის N კედლის გასწვრივ გამოვლინდა თიხის 9 ჭურჭელი (ტაბ. XIb).

1. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა დამზადებული მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი გადანატეხში რუხი. ზედაპირი გლუვი.

ჭურჭელს გადაშლილი პირი აქვს კუთხოვანი ბაკოთი. შიდა მხრიდან გარშემოუყვება მსუბუქი ამოღარული კონცენტრული ზოლი. ყელი დაბალია, მხრები გადადის გამობერილ მუცელში, რომელიც ძირისკენ თანდათან ვიწ-

როვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს ორ რიგად გარშემოუყვება ორი მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზი, ხოლო მხრის მუცელთან გადასვლის ადგილზე ღრმა ამონაჭდევები. ძირის კიდე შემკულია ირიბი ნაჭდევებით. h——23,6 სმ, პირის d—17,8 სმ, ყელის d—16 სმ, მუცლის d—24 სმ, ძირის d—10,2 სმ (ტაბ. XIb 1).

2. დ ე რ გ ი. მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. კეცი გადანატეხში მკვრივი. წვრილი თეთრი მბზინავი მინარევებით.

ჭურჭელს პირი ფართო და გადაშლილი აქვს, ლილვაკისებური ბაკოთი. მუცელი მხარში გაზიდული, ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

მხარიდან მუცელზე გადასვლის ადგილას გარშემოუყვება ორი რელიეფური ზოლი. მხარი მოხატულია თეთრი ანგობით შესრულებული მეანდრით. h—26,2 სმ. პირის d—16,3 სმ. მუცლის d-30 სმ. ძირის d—9,6 სმ (ტაბ. XI b 2).

3. ს ა ს მ ი ს ი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, უწმინდესი თეთრი მინარევებით. ჭურჭლის ქვედა ნაწილი გამომწვარია მოშავოდ, ზედა — მოყავისფროდ. ზედაპირი ნაპრიალები, გლუვი. აქვს გადაშლილი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, ბიკონუსური ტანი, ძირი ვიწრო.

ყელის ძირზე შემოსდევს სამი ამოღარული კონცენტრული ღარი.

h—16,8 სმ, პირის d—8 სმ, ყელის d—6,3 სმ, მუცლის d—18,2 სმ. ძირის d—6,2 სმ (ტაბ. XIb 3).

4. ს ა ს მ ი ს ი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი მინარევებით. გამომწვარია მოყავისფროდ, ქვედა ტანი შავი ლაქებით. ზედაპირი ნაპრიალები და გლუვი.

ჭურჭლის პირი ვიწრო და გადაშლილი, მაღალი კონუსური ყელით. აქვს ბიკონუსური ტანი. ძირი გამოყვანილი და ვიწრო.

მხარი შემკულია ამოღარული ტალღური და კონცენტრული ხაზებით.

h—25 სმ, პირის d—8,96 სმ, ყელის d—6, 5 სმ, მუცლის d—15,2 სმ, ძირის d—6,3 სმ (ტაბ. XIb 4).

5. ფ ი ა ლ ა დამზადებულია განლექილი სილანარევი თიხისაგან. წმინდა თეთრი და მბზინავი მინარევებით. გამომწვარია მოყავისფროდ, ზოგ ადგილზე მოშავო ლაქებით. ზედაპირი მოგლუვებული, ეტყობა პრიალის კვალი.

ჭურჭელი ფართოპირიანია, სწორი მხრებით. წიბოიანი მუცელი ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება და მთავრდება გამოყვანილი ვიწრო ძირით.

მხარს გარშემოუყვება ორი ამოღარული კონცენტრული ღარი. ძირი შემკულია კონცენტრული წრეებით, ხოლო კიდეს გარშემოუყვება წიწვოვანი ორნამენტის ზოლი.

h—6,5 სმ, პირის d—11,2 სმ, მუცლის d—11,6 სმ, ძირის d—5,2 სმ (ტაბ. XIb 5).

6. ჭ ო თ ა ნ ი ორყურა, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. უწმინდესი მბზინავი მინარევებით. გამომწვარია შავად, ზედაპირი მოგლუვებული, ემჩნევა პრიალის კვალი.

აქვს გადაშლილი პირი, დაბალი ყელით. მხარზე მიძერწილია ორი მასიური განივკვეთიანი ყური. მხრები დაჭანებულია, მუცელი გამობერილი, ძირი ვიწრო, ოდნავ ამობურცული.

მხარს გარშემოუყვება ერთი ტალღისებური და მრავალი ამოღარული კონცენტრული ხაზი.

h—20 სმ, ყელის d—9,5 სმ, ძირის d—8,4 სმ, პირის d—11,2 სმ, მუცლის d—20,3 სმ (ტაბ. XIb. 6).

7. ჯამი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოყავისფროდ, ზედაპირი გლუვი.

ჭურჭლის პირი ფართო და გადაშლილია. მუცელი გამობერილი, ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ბრტყელი. მხარზე გარშემოუყვება ერთი ღრმა კონცენტრული ზოლი.

h—9,3 სმ, პირის d—17,2 სმ, მუცლის d—18,6 სმ, ძირის d—8,4 სმ (ტაბ. XIb. 7).

8. ქილა. დამზადებულია განლექილი თიხისაგან წმინდა თეთრი და მბზინავი მინარევებით. ჭურჭლის ქვედა ტანი გამომწვარია მოშავოდ, ზედა-ყავისფრად. ზედაპირი გლუვია და ეტყობა პრიალის კვალი.

ჭურჭლის პირი გადაშლილია, კუთხოვანი ბაკოთი. ყელი მაღალი, კონუსური ფორმის, მხრები დაჭანებული. მუცელი ძლიერ გამობერილი, თანდათან ვიწროვდება ძირისკენ. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

ყელის ძირსა და მუცელს ტალღური ამოღარული ხაზი შემოსდევს. მხარს ორფონცენტრულ ამოღარულ ხაზს შორის მოქცეული გეომეტრიული სახეების სარტყელი ამკობს. გეომეტრიული ორნამენტი ნაჭდევი და ნაკაწრი ხაზებითაა გამოსახული. აქ გვხვდება ორ ირიბ პარალელურ ხაზს შორის მოქცეული ჰორიზონტალური ხაზები, წვერებით ერთიმეორეზე დაყრდნობილი სამკუთხედები, რომლებიც შევსებულია წერტილებით ან კუთხოვანი ნაჭდევებით: კვადრატით ბადისებური ორნამენტით და სხვა.

მხარზე მიძერწილია მასიური ბრტყელი ყური, რომლის ზედა მხარზე დაფარულია ორ რიგი წიწვისებური ღრმა ნაჭდევებით.

h—29,7 სმ, პირის d—12,6 სმ, ყელის d—10,6 სმ, მუცლის d—25,7 სმ, ძირის d—9,5 (ტაბ. XIb. 8).

9. ქვაბქოთანა მცირე ზომის. დამზადებულია ქვიშანარევი უხეში თიხისაგან, თეთრი მინარევებით. გამომწვარია მოშავო-მოყავისფროდ, ზედაპირი ხაოიანი, შავი, ზოგ ადგილას მოყავისფრო ლაქებით. ჭურჭელს პირი გადაშლილი აქვს, მუცელი სფერული, ძირი ვიწრო და ბრტყელი. პირის შიდა მხარეს შემოსდევს ერთი განიერი ამოღარული კონცენტრული ზოლი. მხარს ორ რიგად გარშემოუყვება ფრჩხილისებური ღრმა ნაჭდევების სარტყელი. ძირის კიდე შემკულია ირიბი ნაჭდევებით, ძირი ამოღარული სპირალური ორნამენტებითაა დაფარული.

h—12,6 სმ. პირის d—12,5 სმ, მუცლის d—16,2 სმ. ძირის d—6,8 სმ (ტაბ. XIb. 9).

10. სარდიონის ნახეთქი მძივები 21 ც. (ტაბ. XIb. 10).

სამარხი № 21, რომელიც № 20 სამარხის ქვეშ არის მოქცეული (ტაბ. XIIa), ორმოსამარხს წარმოადგენს და სიგრძივ დამხრობილია ზუსტად N—S

ხაზზე. მისი კონტურები გამოიკვეთა გადამხურავი ძელების ნაშთების მიხედვით. ორმოს სიღრმე მიწის ზედაპირიდან გაურკვეველია, რადგან ბულდოზერის მიერ მოცილებულია მიწის დიდი ფენა, ხოლო გადამხურავი ძელების ნაშთებიდან ორმოს პირის გასწვრივ სიღრმე 1 მ-ია, სიგრძე — 1,90 მ, სიგანე კი — 1,30 მ.

სამარხის ფსკერზე ცენტრალურ ნაწილში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე მწოლარე. ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ზუსტად ჩრდილოეთით დამხრობილი.

სამარხის გაწმენდის შემდეგ მიცვალებულის თავთან და კედლებთან გამოვლინდა თიხის 9 ჭურჭელი.

1. დ ე რ გ ი, მორუხო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი გლუვი, შიდაპირი — ხაოიანი. კეცი გადანატეხში მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევებით.

პირი ფართო და გადაშლილი, ლილვაკისებური ბაკოთი. მუცელი სფერული, ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ვიწრო, შუა ადგილას ოდნავ შესამჩნევად გამობერილი. მხარიდან მუცელზე გადასვლის ადგილას გარშემოუყვება ორი რელიეფური ზოლი და მათ შორის მოთავსებული სამი ამოღარული ტალღური ხაზი.

h—30 სმ, პირის d—20,5 სმ, მუცლის d—30,2 სმ, ძირის d—10,5 სმ (ტაბ. XIIa 1).

2. ჯ ა მ ი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. წვრილი თეთრი მინარევებით, ზედაპირი რუხი, ალაგ-ალაგ ყავისფერი ლაქებით, შიდაპირი მოშავო-მორუხო.

ჯამს ბაკოზე ამოკაწრული კონცენტრული ხაზი შემოსდევს. ლანგრის შუაგული ჩაზნექილია. გვერდი შვეული, დაბალი. მას გარშემოუყვება ორი ამოღარული კონცენტრული ხაზი და მათ შორის მოთავსებული მკვეთრად ამოღარული ირიბი ჭდეები. გვერდის ერთ მხარეს დატანილია ორმხრივი 0,8 სმ დიამეტრის ნახვრეტი.

ჯამს ძირისაკენ ოდნავ შესამჩნევად დაჭანებული კალთები აქვს. ჭუსლი ძალიან დაბალი. ძირი ბრტყელი.

h—4,8 სმ, პირის d—19,3 სმ, ძირის d—8,7 სმ (ტაბ. XIIa 2).

3. ს ა ს მ ი ს ი რუხად გამომწვარი. სუსტად ნაპრიალები ზედაპირით. კეცი გადანატეხში მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევებით. პირი გადაშლილი, ყელი მაღალი და ვიწრო, მხართან ოდნავ ფართოვდება. მხარი მუცელში გაზიდული. მუცელი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება. ძირის შუაგული ოდნავ გამობერილია. ყელს ძირში ოდნავ ამოღარული ტალღური ხაზი შემოსდევს. მის ქვემოთ მხარზე ასევე ამოღარული ხშირი კონცენტრული ხაზებია დატანილი.

h—16,2 სმ, პირის d—8,5 სმ, ყელის d—6,7 სმ, მუცლის d—12,3 სმ, ძირის d—6,2 სმ (ტაბ. XIIa 3).

4. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი, სუსტად ნაპრიალები ზედაპირით. შიდაპირი ხაოიანი, კეცი გადანატეხში მოყავისფრო, მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით.

პირი მოყრილი, ბაკო ბრტყელი. უშუალოდ პირიდან გამოდის ორი პატარა ყური, რომელნიც მხარზეა დაძერწილი. მხარი დაჭანებული. მხრიდან მუ-

ცელზე გადასვლის ადგილს შემოსდევს რელიეფური, ზემოდან წიბოიანი ხაზი. მუცელი გამობერილი, ძირისკენ იგი თანდათან ვიწროვდება და მკვეთრად გამოყოფილი, განზე, შიგნით შეზნექილი ჭუსლით მთავრდება. ყურებს შორის ნახარზე სამ-სამად დაჯგუფებული ერთმანეთში ჩასმული კონცენტრული წრეებია დაჭდეული.

h—18,2 სმ, პირის d—14,5 სმ, მუცლის d—24,4 სმ, ჭუსლის d—2,7 სმ, ძირის d—12,4 სმ (ტაბ. XIIa 4).

5. პირმოყრილი ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. გამომწვარია მოშავო-მოყავისფროდ. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი ხაოიანი.

ჭურჭელს აქვს ფართო პირი. მუცელი მხარში გაზიდული, ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება, ძირი ბრტყელი, შუაში ოდნავ შეზნექილი. პირი შემკულია რელიეფური ხაზზე დატანილი ირიბი ჭდეების სამი ზოლით, რომელნიც მონაცვლეობენ ერთიმეორის შემდეგ კონცენტრულ რელიეფურ ხაზებთან. მხარზე მიძერწილი აქვს განიერი, ბრტყელი შვერილი, რომლის ზედაპირი და კიდე დაფარულია წვრილად ამოღარული ტალღური ორნამენტით, ხოლო მხარზე, შვერილის მიძერწვის ადგილზე, ჭურჭელს გარშემოუყვება კონცენტრული ოთხი ამოღარული ფართო ხაზი.

მუცელი მოხატულია თეთრი ანგობის ორი პარალელური ხაზით, რომლებიდანაც მორიგეობით მონაცვლეობენ ამ ხაზებიდან წამონაზარდი მოკლე ვერტიკალური ხაზები.

h—19,3 სმ, პირის d—20, 1 სმ, მუცლის d—30 სმ, ძირის d—9,4 სმ (ტაბ. XIIa. 5).

6. ო რ ყ უ რ ა ჭ უ რ ჭ ე ლ ი ზედაპირი მორუხო-მოყავისფრო, სუსტად გაპრიალებული, შიდაპირი და კეცი მოყავისფრო. შიდაპირი ხაოიანი, კეცი გადანატეხში მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევებით. სისქე პირთან 0,8 სმ. პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი, ტანი სუსტად გამოყვანილი, ძირი ფართო და ბრტყელი. უშუალოდ პირიდან გამოდის ორი მასიური ყური და მიძერწილია გვერდზე. გვერდს ზედა შუა და ქვედა ნაწილში შემოუყვება ოდნავ ამოღარული, ორ-ორი კონცენტრული ხაზი.

h—13,4 სმ, პირის d—16,5 სმ, ტანის d—14,5 სმ, ძირის d—15,7 სმ (ტაბ. XIIa. 6).

7. ს ა დ ღ ვ ე ბ ე ლ ი, მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი.

პირი ვიწრო, ყელი დაბალი, მუცელი მხარში გაზიდული. ძირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარიდან მუცელზე გადასვლის ადგილს შემოუყვება ოდნავ ამოღარული, უსწორმასწორო კონცენტრული ხაზები. ამ ორნამენტის ქვემოთ, მუცლის ერთ მხარეს 1 სმ დიამეტრის დაბალი მილი აქვს მიძერწილი.

h—29,2 სმ, პირის d—10,2 სმ, მუცლის d—29 სმ, ძირის d—9,2 სმ (ტაბ. XIIa . 7).

8. კაკლის ნაჭუჭის ფორმის პირის მქონე მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. კეცი გადანატეხში ყავისფერი. მკვრივი, წვრილი მბზინავი მინარევებით.

ჭურჭლის პირი ფართოა ბრტყელი ბაკოთი, რომელსაც ზემოდან ორი მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზი შემოსდევს. მხარი სწორი. მუცელი ოდნავ გამობერილი, ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება და მთავრდება გამოყვანილი ვიწრო ნაკლული ფეხით.

ჭურჭელს ორი გვერდი ურთიერთსაპირისპიროდ შიგნით აქვს შეზნექილი, რაც პირთან ქმნის წიბოს. ზემოდან წიბო შემკულია კონცენტრულ წრეში ჩასმული ღრმულით.

მხარი შემკულია ორ კონცენტრულ ხაზს შორის მოქცეული სარტყლით. სარტყლის შიდა არე შევსებულია ბადისებური ორნამენტით. სიმეტრიულად ოთხ ადგილზე კი პირამიდულადაა ნაჭდევი სამ-სამი ერთიმეორეში ჩასმული წრეები. ჭურჭლის ქვედა ტანი შემკულია ამოღარული ხაზების კონით, რომელნიც წვერით ქვევით მიმართულ სამკუთხედებს წარმოადგენენ.

შემორჩენილი h—12 სმ, პირის d—18,3 სმ, წიბოებს შორის d—13,8 სმ, მუცლის d—20,2 სმ, ფეხის d—8,8 სმ (ტაბ. XIIa. 8).

9. კ ო ჭ ო ბ ი მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. კეცი უხეში, მსხვილკენჭნარევი. პირი ფართო, გადაშლილი. ბაკოს ოდნავ შესამჩნევად ამოღარული კონცენტრული ხაზი შემოსდევს. მუცელი მხარში გაზიდული, ძირისკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს შემოუყვება ამოღარული ტალღური ხაზი. ხშირი კონცენტრული ხაზები და ირიბი ჭდეების ერთი რიგი. ძირის კიდეს ამკობს ირიბი ჭდეები.

h—16,5 სმ. პირის d—17,5 სმ, მუცლის d—25,5 სმ, ძირის d—8 სმ (ტაბ. XIIa. 9).

ს ა მ ა რ ხ ი № 25 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,30 მეტრის სიღრმეზე. იგი ორმოსამარხს წარმოადგენს, რომელიც სიგრძივ დამხრობილია NS ხაზზე. მისი სიგრძე—1,40 მ, სიგანე—1,10 მ. ორმოსამარხი კენოტაფია. ორმოს N ნაწილში ჯგუფად განლაგებული იყო თიხის 10 ჭურჭელი (ტაბ. XII b).

1. ქ ო თ ა ნ ი. ზედაპირი მორუხო-მოყავისფრო. შიდაპირი რუხი. კეცი გადანატეხში ყავისფერი, უხეში, მსხვილმარცვლოვანი ქვიშის და კენჭების მინარევით.

პირი ფართო, გადაშლილი. ბაკოს გარშემოუყვება მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზი. მუცელი მხარში გაზიდული. ძირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს გარშემოუყვება ამოღარული ჭდეების ორი რიგი. მათ შორის ხუთი კონცენტრული ხაზია. ძირს გარშემოუყვება ირიბი ჭდეები.

h—18,4 სმ, პირის d—16,2 სმ, მუცლის d—22,5 სმ, ძირის d—8 სმ (ტაბ. XIIb. 1).

2. თ ი ხ ი ს ჭურჭლის ფრაგმენტები. ზედა და შიდაპირი მორუხო-მოყავისფრო, ხაოიანი. კეცი გადანატეხში ყავისფერი, მკვრივი, სილის და წვრილი თეთრი მინარევით.

პირმოყრილი, ბრტყელბაკოიანი. მუცელი მხარში გაზიდული. ჭუსლი დაბალი, გამოყვანილი. ძირი შეზნექილი, მხარს შემოუყვება წვერით ზემოთ მიმართული, ერთმანეთში ჩასმული, ამოღარული სამკუთხედები. ძირში ამ ორნამენტს რელიეფური, ზემოდან წიბოიანი ხაზი შემოსდევს. ძირის d—12 სმ.

3. ფეხიანი ჭ უ რ ჭ ე ლ ი. ზედა და შიდაპირი რუხი. ზედაპირი სუსტად გაპრიალებული, შიდაპირი გლუვი, კეცი გადანატეხში ყავისფერი. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წვრილი, თეთრი მბზინავი მინარევით. სისქე პირთან 0,6 სმ, ქუსლთან 0,8 სმ.

პირი ფართო, გადაშლილი. მხარი დაქანებული, შემკული კონცენტრული ამოღარული ხაზებით. მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, თანდათან ვიწროვდება და გადადის ფეხის ყელში. ფეხი მაღალი, ღრუ, ძირთან ოდნავ ფართოვდება.

h—18 სმ, პირის d—17,6 სმ, მუცლის d—18,5 სმ, ქუსლის d—6,2 სმ (ტაბ. XIIb. 3).

ჭურჭელი დაშლილია. მუცლის ქვედა ნაწილზე შემორჩენილია წვერით ქვევით მიმართული სამკუთხედები, რომლებიც ამოღარული ხაზების კონითაა შესრულებული (ტაბ. XIIb.5).

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზუსტი, ანალოგიური ჭურჭელი გვხვდება № 21 სამარხში (ტაბ. XIIa. 8).

6. დ ე რ გ ი, რუხად გამომწვარი, ზედაპირი გლუვი. კეცი გადანატეხში ყავისფრად, მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით, სისქე პირთან 0,8 სმ.

პირი ვიწრო, გადმოკეცილი ბაკოთი. მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისკენ იგი მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს გარშემოუყვება მსუბუქად ამოღარული ტეხილი ხაზი და კონცენტრული ხაზები. ქვედა ხაზი ზედა ხაზებთან შედარებით ფართოა.

h—27, 3 სმ, პირის d—14,7 სმ, მუცლის d—32,5 სმ, ძირის d—10,3 სმ (ტაბ. XIIb. 6).

7. ს ა ს მ ი ს ი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევებით. ზედაპირი მოშავო-მორუხო, გადანატეხში მოყავისფრო.

აქვს ვიწრო, გადაშლილი პირი. ყელი საშუალო სიმაღლის, მხართან ოდნავ ფართოვდება. მხარი დაქანებული, მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

ყელს გარშემოუყვება ოდნავ შესამჩნევად ამოღარული ხაზები. მხარი შემკულია სამი ამოღარული კონცენტრული ხაზით.

h—14,5 სმ, პირის d—7,5 სმ, მუცლის d—13,5 სმ, ძირის d—5,7 სმ (ტაბ. XIIb. 7).

8. დ ე რ გ ი მოშავო-მორუხოდ გამომწვარი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი. კეცი გადანატეხში მკვრივი, წვრილი თეთრი მონარევებით. პირი ვიწრო, გადაშლილი, ყელი საშუალო სიმაღლის, მუცელი ზედა ნაწილში გაზიდული, ძირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

ჭურჭლის მხარეზე ამოღარვით შესრულებულია ჯიხვის (?) გამოსახულება, რომელიც დაფარულია მცირე ჭდეებით. მხარს ამკობს აგრეთვე თევზიფხური სახეები, რომელნიც ირგვლივ დაკუთხული ამოღარული ხაზითაა შემოფარგლული და პირამიდულად განლაგებული სამკუთხედები, რომელთაგან წვერით ზევით მიმართული სამკუთხედები წერტილოვანი ჭდეებითაა შევსებული.

ძირში ამ ორნამენტს შემოუყვება ორი ამოღარული ხაზისაგან შესრულებული სარტყელი და მის შუაგულში დატანილი ტალღური ხაზი.

h—33,5 სმ, პირის d—12 სმ, მუცლის d—28,5 სმ, ძირის d—9 სმ (ტაბ. XIIb. 8).

9. ს ა დ ღ ე ვ ე ბ ე ლ ი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი მკვრივი, წმინდა თეთრი მინარევებით. გამომწვარია ნაცრისფრად. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი გლუვი.

ჭურჭელს აქვს ვიწრო გადაშლილი პირი, ცილინდრული დაბალი ყელი, მხარი დაქანებული. მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი. ძირისკენ იგი თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

მხარი დაფარული აქვს ოდნავ შესამჩნევად ამოღარული კონცენტრული ხაზებით. მხარის მუცელთან გადასვლის ადგილზე აქვს დაბალი მილი.

h—38,5 სმ, პირის d—12 სმ, მუცლის d—31 სმ, ძირის d—9,5 სმ (ტაბ. XIIb. 9).

10. ს ა ს მ ი ს ი მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი. კეცი გადანატეხში ქვიშის და თეთრი მინარევით.

პირი ფართო, გადაშლილი. ყელი საშუალო სიმაღლის, მხართან ოდნავ ფართოვდება. მხარი დაქანებული. მუცელი შუა ადგილას გამობერილი. ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. კიდე მას წიბოიანი აქვს. მხარს გარშემოუყვება მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზი.

h—12,8 სმ, პირის d—8,8 სმ, მუცლის d—13,5 სმ, ძირის d—5 სმ (ტაბ. XII b.10).

ს ა მ ა რ ხ ი № 38 ორმოსამარხს წარმოადგენს. მისი კონტურები შეიმჩნეოდა გადამხურავი ძელების მიხედვით. ძელების ნაშთი რადიოკარბონული მეთოდით განსაზღვრისათვის საანალიზოდ იქნა აღებული.

სამარხი სიგრძივ დამხრობილი იყო NS ხაზზე. მისი სიღრმე მიწის ზედაპირიდან დაუდგენელია, ხოლო გადამხურავი ძელებიდან 0,90 მ-ს აღემატებოდა. ორმოს სიგრძე—1,80 მ, სიგანე—1,40 მ.

ორმოსამარხის ცენტრალურ ნაწილში მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით N მიმართულებით. სამარხში გამოვლინდა თიხის 6 ჭურჭელი (ტაბ. XIIIa).

1. ს ა ს მ ი ს ი — შავად გამომწვარი. ზედაპირი ნაპრიალები აქვს. კეცი გადანატეხში მკვრივი, თეთრი მბზინავი მინარევებით.

ჭურჭლის პირი გადაშლილია, მაღალი ყელი მხართან ოდნავ ფართოვდება. გამობერილი მუცელი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება.

მხარს შემოუყვება ოდნავ ამოღარული სამი ტალღური ზოლი, რომელთაც ასევე ამოღარული ხშირი კონცენტრული ხაზები მოსდევს.

h—15,5 სმ, პირის d—8 სმ, ყელის d—7 სმ. მუცლის d—13,2 სმ, ძირის d—6,5 სმ (ტაბ. XIIIa 1).

2. ქ ო ც ო — დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. წმინდა თეთრი მინარევებით. გამომწვარია წაბლისფრად ძირთან მოშავო ლაქებით. კეცი მკვრივია, ზედაპირი გლუვი, ეტყობა პრიალის კვალი.

ჭურჭელს აქვს ფართო პირი გადმოკეცილი ბაკთი. მხარი გაზიდული, გა-

მობერილი მუცელი ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ოდნავ ამობურცული.

მხარს გარშემოუყვება სამი რელიეფური ზოლი.

h—26 სმ, პირის d—16,5 სმ, მუცლის d—31,5 სმ, ძირის d—11 სმ (ტაბ. XIII a 2).

3. ქ ო თ ნ ი ს ფრაგმენტები. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი უხეში, ყავისფერი შავი ლაქებით. ჭურჭლის პირი დაკუთხულ ბაკოიანი. ბაკოს ზემოდან გარშემოუყვება ოდნავ შესამჩნევი, ამოღარული კონცენტრული ხაზი. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

მხარი შემკულია ირიბი ჭდეების ზოლში მოქცეული მსუბუქად ამოღარული ხშირი, კონცენტრული ხაზებით. ირიბი ჭდეების ერთი რიგი გარშემოუყვება ძირის კიდეს.

ძირის d—10,5 სმ (ტაბ. XIIIa 3).

4. ბ ა დ ი ა დამზადებული განლექილი თიხისაგან. გამომწვარია შავად. ზოგ ადგილზე ყავისფერი ლაქებით. ზედაპირი გლუვი და ნაპრიალები.

აქვს ფართო გადაშლილი პირი. ოდნავ გამობერილი მუცელი სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

ჭურჭელს პირს ქვემოთ მხარზე გარშემოუყვება ხშირი ამოღარული კონცენტრული ხაზები.

h—12 სმ, პირის d—18,5 სმ, მუცლის d—21 სმ, ძირის d—8,5 სმ. (ტაბ. XIIIa. 4).

5. ს ა ს მ ი ს ი მცირე ზომის, დამზადებული განლექილი თიხისაგან. ზედაპირი რუხი მოყავისფრო.

ჭურჭელს პირი გადაშლილი აქვს. ყელი მაღალი, მხარი დაქანებული. ოდნავ გამობერილი მუცელი მთავრდება ვიწრო ბრტყელი ძირით. მხარზე გარშემოუყვება ოდნავ ამოღარული კონეცნტრული ხაზები. ძირი დაფარულია წრიული კონცენტრული ხაზებით.

h—13,5 სმ, პირის d—7,4 სმ, ყელის d—6 სმ მუცლის d—11,3 სმ. ძირის დიამეტრი d—4,6 სმ (ტაბ. XIII a. 5).

6. ვიწრო და მაღალყელიანი დიდი ზომის ჭურჭელი დამზადებულია განლექილი თიხისაგან. გამომწვარია მოშავო-მოყავისფროდ. ზედაპირი ნაპრიალები.

პირი გადაშლილია ლილვაკისებური ბაკოთი. ყელი მაღალი, ფართო მუცელი ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

ყელს ძირს გარშემოუყვება ორ ამოღარულ კონცენტრულ ზოლს შორის მოთავსებული ამოღარული ტალღური ორნამენტი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილი შემკულია სამ რელიეფურ კონცენტრულ სარტყელში ჩასმული სამ-სამი სუსტად ამოღარული ტალღური ზოლით. მუცელი ირგვლივ თეთრი ანგობით მოხატულია სვასტიკის მსგავსი სახეებით.

h—34,6 სმ, პირის d—13,3 სმ, ყელის d—10,6 სმ, მუცლის d—31,5 სმ, ძირის d—8,5 სმ (ტაბ. XIIIa. 6).

ს ა მ ა რ ხ ი № 53 ორმოს პირი ბულდოზერით აღებულ ფართობზე მიწის ზედაპირზე გამოიკვეთა. ამავე დონეზე გამოჩნდა გადამხურავი ძელების

ნაშთი, საიდანაც ორმოს h—0,80 მ-ია. სამარხი მთლიანად მეზობლად მდებარე სამარხებიდან ამონაყარ მიწაში არის ჩაჭრილი, მის ქვემოთ კი ჰუმუსოვანი ფენა იწყება, რომელიც სამარხს 0,30 მ სიღრმეზე ჩაუჭრია. ორმოსამარხის სიგრძე—1,90 მ, სიგანე—1,40 მ. ორმო სიგრძივ NS ხაზზეა დამხრობილი.

სამარხის ცენტრალურ ნაწილში იატაკზე მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილოეთით. მიცვალებულთან მიმობნეული იყო სარდიონის ნახეთქი მძივები, ხოლო სამარხის W კედელთან განლაგებული იყო თიხის 13 ჭურჭელი.

1. ქ ო თ ა ნ ი — ზედაპირი შავი, მხართან და ყელთან ყავისფერი ლაქებით. შიდაპირი და კეცი მოშავო-მოყავისფრო. კეცი გადანატეხში უხეში-მსხვილმარცვლოვანი ქვიშის და კენჭების მინარევით.

პირი ფართო, გადაშლილი, ბაკოს გარშემოუყვება ოდნავ შესამჩნევად ამოღარული კონცენტრული ხაზი. მაღალი მუცელი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს გარშემოუყვება ამოღარული ტალღური ხაზი, ასევე ამოღარული კონცენტრული ხაზები და ირიბი ჭდეების ერთი რიგი. ირიბი ჭდეები ამკობს აგრეთვე ძირის კიდეს.

h—17,6 სმ, პირის d—16,6 სმ, მუცლის d—21 სმ, ძირის d—9,2 სმ (ტაბ. XIII b. 1).

2. ფ ი ა ლ ა — შავად გამომწვარი. ზედაპირი სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი გლუვი. კეცი გადანატეხში მკვრივი, ქვიშის და წვრილი თეთრი მინარევით.

პირი ფართო, გვერდი ოდნავ გამობერილი. ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. პირს გარედან ძირში შემოუყვება ოდნავ ამოღარული ტალღური ორნამენტი და კონცენტრული ხაზი.

h—5,5 სმ, პირის d—15,7 სმ, მუცლის d—16 სმ, ძირის d—7 სმ (ტაბ. XIII b. 2).

3. ფ ი ა ლ ა — ზედაპირი შავი, სუსტად ნაპრიალები, შიდაპირი მოშავო-მორუხო, გლუვი. კეცი გადანატეხში ყავისფერი. მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით.

პირი ფართო. ოდნავ გადაშლილი, გვერდი თითქმის სწორი, კალთა ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

გვერდს გარშემოუყვება სამი კონცენტრული ხაზი.

h—5,8 სმ, ტანის d—12 სმ, პირის d—11,6 სმ, ძირის d—4,7 სმ (ტაბ. XIII b. 3).

4. პირმოყრილი ჭურჭელი. ზედაპირი შავი, მორუხო-მოყავისფრო ლაქებით, გაპრიალებული. შიდაპირი რუხი, გლუვი. კეცი გადანატეხში მორუხო-მოყავისფრო. მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით. ბაკო ზემოდან ბრტყელი. მხარი მუცელში გაზიდული, ძირისკენ თანდათან ვიწროვდება და ღებულობს ცილინდრულ ფორმას ბრტყელი ძირით.

ბაკოს შემოუყვება ოდნავ ამოღარული ტალღური ორნამენტი. ტალღური ორნამენტი ამკობს აგრეთვე მუცელს. აქ იგი ორ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის არის მოთავსებული, მხარსა და მუცელზე დაძერწილია ბრტყელი შვერილი.

h—10 სმ, მუცლის d—27,5 სმ, ჭუსლის d—5,6 სმ, პირის d—18,5 სმ, ძირის d—13,5 სმ (ტაბ. XIII b. 4).

5. ქ ო თ ა ნ ი — მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გაპრიალებული. შიდაპირი გლუვი, პირი ფართო, ოდნავ გადაშლილი. ბაკო ბრტყელი. უშუალოდ ბაკოდან ურთიერთმოპირდაპირე მხარეს გამოდის ორი ბრტყელი, ჰორიზონტალური შვერილი, რომლებზედაც ორი 0,6 სმ დიამეტრის ნახვრეტია დატანილი. ყელი დაბალი, მხართან ოდნავ ფართოვდება. მხარი და მუცელი ოდნავ გაზიდული. მუცელი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ბრტყელი. ბოკოს შემოუყვება სუსტად ამოღარული ტალღური ორნამენტი. ასეთივე ორნამენტი ამკობს აგრეთვე მხარს. აქ იგი ორ ამოღარულ კონცენტრულ ხაზს შორის არის მოთავსებული, ძირი დაფარულია წრიული კონცენტრული ხაზებით.

h—17,3 სმ, პირის d—14,5 სმ, ყელის d—13 სმ, მუცლის d—16 სმ, ძირს d—7,6 სმ (ტაბ. XIII b. 5).

6. დ ა შ ლ ი ლ ი თიხის ჭურჭელი—წაბლისფრად გამომწვარი. ზედაპირი გაპრიალებული. შიდაპირი გლუვი. კეცი გადანატეხში ყავისფერი. მკვრივი ქვიშის და წვრილი თეთრი მინარევით. სისქე 0,6 სმ. პირი ვიწრო. გადაშლილი. ყელი საშუალო სიმაღლის, მხარი და მუცელი გაზიდული. მხარს შემოუყვება მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზები და ტალღური ხაზი პირის d—11 სმ (ტაბ. XIII b. 6).

7. ქ ი ლ ა — დამზადებულია განლექილი თიხისაგან. ზედაპირი მორუხო-მოყავისფრო, სუსტად ნაპრიალები. შიდაპირი რუხი, გლუვი. კეცი შეიცავს მსხვილმარცვლოვანი ქვიშის მინარევს.

პირი ვიწრო, ოდნავ გადაშლილი, ყელი დაბალი, მხარი დაჭანებული. მუცელი გამობერილი. ძირისაკენ იგი თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. კიდე წიბოიანი. მხარზე დაძერწილია ორი მასიური ყური. მხარს შემოუყვება სამი მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზი.

h—13, სმ პირის d—10 სმ, ყელის d—8,5 სმ, მუცლის d—16,5 სმ, ძირის d—7 სმ (ტაბ. XIII b. 7).

8. ო რ ყ უ რ ა თიხის ჭურჭელი, ზედაპირი მოშავო, ყავისფერი ლაქებით. გაპრიალებული, შიდაპირი რუხი, გლუვი, კეცი გადანატეხში მოყავისფრო, მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით.

პირი ვიწრო, გადაშლილი. ყელი ძალიან დაბალი. მუცელი მხარში გაზიდული, ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარზე დაძერწილია ორი მასიური ყური. მხარს შემოუყვება ოდნავ შესამჩნევად ამოღარული ორი კონცენტრული ხაზი და მათ შორის ჩასმული ტალღური ხაზი.

h—16,3 სმ, მუცლის d—17,5 სმ, პირის d—10,3 სმ, ძირის d—7,4 სმ (ტაბ. XIII b. 8).

9. ფ ი ა ლ ა — დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, წმინდა თეთრი მინარევებით. შავად გამომწვარი სუსტად ნაპრიალები ზედაპირით. პირი ფართო, ბაკო ბრტყელი; მას ორ რიგად ამოღარული მოკლე, ირიბი ჭდეები შემოუყვება. პირზე გარედან მიძერწილია პატარა, ბრტყელი, კიდეებმომრგვალებული შვერილი, რომელზეც 0,7 სმ დიამეტრის ნახვრეტია დატანილი. ნახვრეტის აქეთ-იქით შვერილზე ირიბი ჭდეებია მოცემული. პირს გარედან

შემოუყვება სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი. ჭურჭლის კედლები ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ბრტყელი.

h—5,7 სმ, პირის d—16 სმ, მუცლის d—14,5 სმ, ძირის d—7 სმ (ტაბ. XIII b. 9).

10. დ ე რ გ ი — ზედაპირი მოშავო-მოყავისფრო, პრიალა. შიდაპირი ყავისფერი, გლუვი. კეცი გადანატეხში მოყავისფრო, მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით. პირი ვიწრო. ბაკო მრგვალი, გადმოკეცილი, მუცელი მხარში გაზიდული, ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი.

პირს ქვემოთ მხარზე ოდნავ ამოღარული ტალღური ორნამენტია დატანილი. მხრიდან მუცელზე გადასვლის ადგილს ამკობს სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი.

h—25,5 სმ, პირის d—15 სმ, მუცლის d—29,5 სმ, ძირის d—8 სმ (ტაბ. XIIIb. 10).

11. ქ ო თ ა ნ ი — ორყურა. მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი გაპრიალებული. შიდაპირი გლუვი. კეცი გადანატეხში მკვრივი, წვრილი თეთრი მინარევით. პირმოყრილი. ბაკოს შემოუყვება ორი ოდნავ ამოღარული ხაზი. მხარი დაქანებული. მუცელი ზედა ნაწილში გამობერილი, ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარზე ერთიმეორის საპირისპიროდ დაძერწილია ორი ზოომორფული ყური. მხარი შემკულია ორი ამოღარული კონცენტრული ხაზით და მათ შორის ჩასმული ტალღური ორნამენტით.

h—11,2 სმ, პირის d—12,5 სმ, მუცლის d—21 სმ, ძირის d—8 სმ (ტაბ. XIII b. 11).

12. კ ო ჭ ო ბ ი — რუხად გამომწვარი, გლუვი ზედაპირით. კეცი გადანატეხში მკვრივი, ქვიშის და წვრილი თეთრი მინარევით. პირი ფართო, გადაშლილი, ყელი დაბალი. მხარი და მუცელი გამობერილი. მუცელი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება, ძირი ბრტყელი.

მხარი შემკულია ჰდეული, ფრჩხილისებური ორნამენტის ორი რიგით, რომელთა შორის მსუბუქად ამოღარული კონცენტრული ხაზებია დატანილი.

მუცელს ემჩნევა ოდნავ ამოღარული მოკლე შვეული ხაზები და მათ შორის აქა-იქ ჰორიზონტალური ხაზები. ძირის კიდეს შემოუყვება ირიბი ჰდეები. ძირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევად ამოღარული სხივისებური ორნამენტით.

h—18,2 სმ, მუცლის d—22,5 სმ, პირის d—17,3 სმ, ძირის d—9,1 სმ (ტაბ. XIII b. 12).

13. ს ა ს მ ი ს ი დამზადებული კარგად განლექილი თიხისაგან. კეცი მკვრივი, გამომწვარია შავად. ზედაპირი ნაპრიალები.

პირი ვიწრო, გადაშლილი, ყელი მაღალი, ოდნავ გამოყვანილი, მხარი დაქანებული, მუცელი გამობერილი ძირისკენ თანდათან ვიწროვდება, ძირი ბრტყელი.

მხარს გარშემოუყვება სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი.

h—15,6 სმ, პირის d—8,3 სმ, ყელის d—5,8 სმ, მუცლის d—12,5 სმ, ძირის d—6,12 სმ (ტაბ. XIII b.13).

14. ს ა რ დ ი ო ნ ი ს ნახეთქი მძივები—78 ც. (ტაბ. XIIIb.14).

სამარხთა აღნაგობის მხრივ ფევრების სამაროვანზე შესწავლილ ფართობზე დიდი სხვაობა არ შეიმჩნევა. აქ მხოლოდ ერთი სამარხი — № 5 უნდა მიეკუთვნოს ორმოიან გორასამარხთა ტიპს მიწაყრილით. სამარხი გაძარცულია და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების მიხედვით შუადან გვიანბრინჯაოს ხანას შორის გარდამავალ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. დანარჩენი სამარხები ორმოსამარხებს წარმოადგენენ მხოლოდ. ქვევიდან მეორე იარუსის სამარხები, რომლებსაც № 6 სამარხიც მიეკუთვნება, ორმოს კონტურის მიგნით, ორმოს პირზე წვრილი რიყის ქვით არიან მოკირწყლულნი. ქვედა ფენის არც ერთ სამარხზე მსგავსი დეტალი არ გვხვდება. ხშირად დიდი სხვაობაა სამარხების ორმოების სიღრმის თვალსაზრისითაც. არის სამარხთა ერთიმეორეზე განლაგების რამდენიმე შემთხვევაც. ზოგჯერ ქვედა სამარხის ნაწილი ზედა სამარხის გამართვისას თითქმის მთლიანადაა განადგურებული.

ყველა ფენის სამარხების ორმო სიგრძივ ძირითადად დახრილი NS ხაზზე ოშვიათი გადახრებით. არსებითია ისიც, რომ მიცვალებულის დაკრძალვის წესი ყველა ფენის სამარხებში ერთი და იგივეა — გვერდზე; მოხრილი კიდურებით, თავით უმეტესად ჩრდილოეთით.

ფევრების სამაროვანზე სავსებით ნათლადაა დადასტურებული მიცვალებულების ხის სარეცელზე დაკრძალვის წესი. სამარხის ფსკერზე პირველ რიგში ჩააწყობდნენ სამარხეულ ინვენტარს, მათ შორის შეწირულ მსხვილფეხა, ან წვრილფეხა საქონელს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩადგამდნენ ოთხ ფეხზე გამართულ ხის სარეცელს, რომელზედაც მოხრილ მდგომარეობაში დასვენებული იყო მიცვალებული [2, გვ. 43]. მსგავსი დამარხვის წესი დადასტურებულია კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი კოდისხევისა და ჩალიანხევის სამაროვნებზე. აგრეთვე ლჭაშენის და შუაბრინჯაოს ხანის კიროვაკანის [9; 10] მდიდრულ სამარხებში. სომხეთში ხის სარეცელიანი სამარხები გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ართიკის სამაროვნის სამარხებშიც [4, გვ. 95].

აქვე გვინდა შევნიშნოთ ერთი თავისებურებაც, მიცვალებულის სარეცელზე დაკრძალვა ფევრების სამაროვანზე ქვევიდან მეორე ფენის სამარხებში ჩნდება (შედგენილტარიანი სატევრების პერიოდი).

ჩვენ თავისებურ ნიშნად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ქვედა ფენის სამარხები ზედასაგან გამოირჩევა ინვენტარის სიმცირით. თიხის ჭურჭელიც მხოლოდ რამდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ზედა ფენის სამარხებში, როგორც თიხის ჭურჭელი, ასევე ბრინჯაოს სამკაული და სხვა ინვენტარი დიდი რაოდენობით ჩნდება. მეტად არსებითია ისიც, რომ ხის ნიმუშები რადიოკარბონული თარიღის დასადგენად მხოლოდ ქვედა ფენის სამარხების გადამხურავი ძელების ნარჩენებმა მოგვცა.

აღნიშნული ორი ფენის ინვენტარიც აშკარა სხვაობას ავლენს. ჩვენ სრულიად გამოვრიცხავთ სამაროვნის სართულების შესახებ საუბრისას ე. წ. გარდამავალი ხანის № 5 სამარხს, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია და ძლიერ ნაკლული ინვენტარითაა წარმოდგენილი. ბუნებრივია, ჩვენი მსჯელობისას ჯერ

ვერ გავითვალისწინებთ ვერც უფრო ზედა ფენის სამარხებს, რომლებიც ბულდოზერით მთლიანადაა განადგურებული. ამჟამად, ჩვენი ყურადღების სფეროში მოექცა ერთი ზედა ფენის სამარხი № 6, ხოლო ყველა დანარჩენი სამარხი ქვედა ფენის კუთვნილია.

ზედა ფენის № 6 სამარხი კ. ფიცხელაურის ქრონოლოგიური სქემის გვიანბრინჯაოს ხანის მეორე შუა საფეხურს უნდა მიეკუთვნოს (1, გვ. 160. ტაბ. LXXIX). იგი სტრატიგრაფიულად № 5 სამარხს ადევს ზევიდან, რაც ფაქტიურად ფევრების სამაროვნის სამარხთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დასადგენად არაფერს გვაძლევს, ვინაიდან № 5 და № 6 სამარხებს შორის ჩვენ ერთი იარუსის არსებობას კიდევ ვგულისხმობთ.

№ 6 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, როგორც კეცით, ისე ზედაპირის დამუშავებით, ფორმებითა და ორნამენტით კახეთის შედგენილტარიანი სატევრების პერიოდის კომპლექსებს უახლოვდება [2, გვ. 125—135]. თიხის ჭურჭელი ძირითადად დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, რომელთა ზედაპირი შავადაა ნაპრიალები და დაფარულია ამოღარული კონცენტრული ხაზებით. მხარს და ძირის კიდეს კი ირიბი, ღრმა ნაჭდევები გარშემოუყვება. კეცი ჩვეულებრივ ერთფრად, უფრო წაბლისფრად ან მოშავოდაა გამომწვარი და უსარჩულოა.

სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთები რელიეფური ორნამენტით, ერთიმეორეზე გადაბმული სპირალებით ფართოდაა გავრცელებული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (1, გვ. 190, ტაბ. X_{L_2}, LXVI_1), ისე სომხეთის ჩრდილო რაიონებში (4, გვ. 215—216, სურ. 128). აღნიშნულ სამარხში გამოვლენილი თავმსხვილი ბრინჯაოს საკინძი ზუსტ პარალელებს პოულობს ჩრდილო სომხეთში ართიკის სამაროვანზე (4, გვ. 184, სურ. 91 და გვ. 212. სურ. 125), სადაც ისინი ტ. ხაჩატრიანის მეორე ჯგუფის მასალებთანაა გაერთიანებული. სამარხში აღმოჩენილი შედგენილტარიანი სატევარი, როგორც კახეთის, ისე შიდა ქართლის მასალების მიხედვით. კ. ფიცხელაურს გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურის კუთვნილად მიაჩნია (1, გვ. 126) და რ. აბრამიშვილისაგან განსხვავებით, ქართლის ფოთლისებური სატევრისპირების თანადროულად თვლის. № 6 სამარხის თიხის ჭურჭლის ერთი ნაწილი (კათხები, ტაბ. XIი 3, 6, 14, 15) ძლიერ ემსგავსება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა თუ I ათასწლეულის დასაწყისის მასალებსაც (8, ტაბ. XXIX სამ. № 44, 28).

სტატიაში განხილული ქვედა ფენის სამარხებიდან შესაძლებელი გახდა აგვეღო ხის ვარგისი ნიმუშები რადიოკარბონული მეთოდით განსაზღვრისათვის, რომლებიც გამოსაკვლევად გადაეცათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის (C^{14}) ლაბორატორიას. ერთმა ნაწილმა, კერძოდ: ნიმუშის ნომერი—ТБ—247, სამარხი № 15 და ТБ—248, სამარხი № 38 მოგვცა თარიღი ძვ. წ. XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნე. მეორე ნაწილმა (ТБ—252 სამარხი № 53) კი ძვ. წ. X საუკუნე. პირველად ამ ფაქტმა გაუგებრობა გამოიწვია, ვინაიდან ყველა ამ სამარხში სრულიად იდენტური არქეოლოგიური ინვენტარი იყო გამოვლენილი, მაგრამ შემდეგ, რადესაც შემოწმდა გათხრის დოკუმენტაცია დღიურებითა და გენგეგმით, გა-

მოირკვა, რომ ის სამარხებია, რომლებმაც მოგვცა ძვ. წ. XIV საუკუნის მეორე ნახევარი. XIII საუკუნე გათხრის პერიოდში ღრმად მდებარეობდა, ის სამარხები კი, რომელთა ნიმუშებიც განისაზღვრა ძვ. წ. X საუკუნით, მიწის, ზედაპირთან ახლოს მდებარეობდა და გათხრების პერიოდში მოსულმა წვიმამ აღებული ხის ნიმუშების სტერილიზაცია დაარღვია. ამდენად, თითქოს უფრო სარწმუნოა ქვედა ფენის ნიმუშების ანალიზების შედეგები, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინიც კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს სამაროვნის დაუზიანებელი ნაწილის გათხრების დროს აღებული ხის ვარგისი ნიმუშების რადიოკარბონული მეთოდით განსაზღვრისას.

ფევრების სამაროვნის ქვედა ფენის სამარხებში მოპოვებული თიხის ჭურჭელი, კ. ფიცხელაურის შენიშვნით, მრავალ არქაულ ნიშან-თვისებას ატარებს. ისინი კეცის სტრუქტურით ძალიან ახლოს დგას შუაბრინჯაოსა და ე. წ. გარდამავალი ხანის ნაწარმთან [2, გვ. 119—124]. თიხის ჭურჭელი ძირითადად დამზადებულია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან კვარცის თეთრი, წვრილი მინარევებით. გამოწვა ხშირად ორფენოვანია და ქმნის სარჩულიან კეცს, შავი ზედა ფენითა და ღია ნაცრისფერი შიდაპირით. ზედაპირი ჩვეულებრივ შავია, კარგად ნაპრიალები ლითონის ბზინვარებით.

ორ შემთხვევაში ამ სამარხებში ე. წ. კაკლის ნაჭუჭისებური ფორმის ჭურჭლის მიმსგავსებული ნაკეთობებია აღმოჩენილი (ტაბ. XIIa 8, XIIв 5). ამ ფორმის ჭურჭელი ფართოდაა დამახასიათებელი სომხეთის ადრე და შუაბრინჯაოს ხანის კომპლექსებისათვის (12, გვ. 18 ტაბ. 4_{7-9}); (11, გვ. 97, სურ. 84, 85; 9. XXXIV), და გვხვდება გვიანბრინჯაოს სულ ადრეული საფეხურის (ლჭაშენი, ლორიბერდი) ძეგლებში (9, ტაბ. XXXIV_{XI}; XXXV_1). შემდგომი პერიოდიდან ჭურჭლის ეს ფორმა საერთოდ წყვეტს არსებობას. ამდენად, ბუნებრივია, ფევრების ქვედა ფენის სამარხებში აღმოჩენილი ამ ტიპის ჭურჭლებიც მათ ადრეულ თარიღზე მიუთითებს.

მეტად მნიშვნელოვანია ფევრების სამაროვანზე № 53 სამარხში აღმოჩენილი ერთი ჭურჭელიც (ტაბ. XIII в. 4). იგი ერთადერთ პარალელს პოულობს ო. ჯაფარიძის მიერ გათხრილ „დუმეილას“ № 1 ყორღანის მასალებში (7, გვ. 59, სურ. 8 ტაბ. IV), სადაც ტიპიურ შუაბრინჯაოს ხანის კერამიკასთან აღმოჩნდა ამ ტიპის წითელი შავად მოხატული ჭურჭელიც. ცხადია, ეს ფაქტიც ფევრების ამ კომპლექსის ადრეულობას უჭერს მხარს.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ფევრების სამაროვნის ქვედა ფენის სამარხებში ხშირად გვხვდება გამოწვის შემდეგ თეთრი ანგობით მოხატული შავპრიალა თიხის ჭურჭელი (ტაბ.; XIв. 2; XIIa 5; XIIIa 6). თიხის ჭურჭლის მოხატვა, როგორც ცნობილია, შუაბრინჯაოს ხანის მასალებისთვისაა დამახასიათებელი (8, გვ. 84—85, 100. ტაბ. I XXVI, I XXVII), გვიანბრინჯაოს ხანაში კი მხოლოდ მის ადრეულ საფეხურს ახასიათებს შემკობის ეს ტექნიკა. ლჭაშენის გორასამარხები (9), ლორიბერდის გორასამარხები (11), ართიკის სამარხები (3,4) და სხვ.

როგორც დავინახეთ, ფევრების სამაროვნის ქვედა ფენის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარიც მათ ადრეულ ხასიათს უსვამს ხაზს და მთლიანად ეფარდება მათთვის რადიოკარბონული მეთოდით მიღებულ თარიღებს.

М. А. АБДУШЕЛИШВИЛИ

К ДАТИРОВКЕ НЕСКОЛЬКИХ ПОГРЕБЕНИЙ ИЗ МОГИЛЬНИКА ПЕВРЭБИ

(Таблицы X—XIII)

Резюме

В апреле 1977 года, на территории угодий с. Мелаани Гурджаанского района при земляных работах было повреждено большое количество погребений.

Кахетская археологическая экспедиция в течение шести месяцев раскопала в этом районе 69 погребений и остатков от них, расположенных в несколько ярусов.

В настоящей статье нами рассмотрены несколько погребений, дающих значительную информацию для определения хронологических рамок ранней ступени эпохи поздней бронзы.

Все рассмотренные погребения (№№ 6, 15, 21, 25, 38, 53) были расположены в западной части могильника. Среди них только погребение № 6 принадлежит верхнему ярусу, все остальные как по глубине залегания, так и по инвентарю — более древнему времени. Погребение № 6 верхнего яруса датируется нами вторым, средним этапом эпохи поздней бронзы (по классификации К. Н. Пицхелаури), а погребения нижнего яруса (№№ 15, 21, 21, 38, 53) ранним первым этапом эпохи поздней бронзы.

Для датировки погребений нижнего яруса нам удалось взять деревянные образцы из перекрытия погребений. В радиокарбонной лаборатории Тбилисского государственного университета их дата определена второй половиной XIV и XIII веком до н. э.

На ранний характер этих погребений указывает и найденный в них керамический материал — структура черепка, обработка поверхности сосудов и их форма, выявляющие общего с инвентарем эпохи средней бронзы и переходного периода от эпохи средней к эпохе поздней бронзы.

ლიტერატურა

1. კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს). თბ., 1973.

2. К. Н. Пицхелаури. Восточная Грузия в конце бронзового века (Труды Кахетской археологической экспедиции, т. III) Тбилиси, 1979.

3. Т. С. Хачатрян, Материальная культура древнего Артика. Ереван, 1963

4. Т. С. Хачатрян. Древняя культура Ширака. Ереван, 1975.

5. რ. აბრამიშვილი. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), სსმმ, ტ. XXII-B, 1961.

6. რ. აბრამიშვილი სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. სსმმ. ტ. XIX—A და XXI—B, 1957.

7. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974—1975 წწ. მუშაობის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, ტ. V, თბ., 1977.

8. Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
9. А. А. Мартиросян. Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван. 1964.
10. А. А. Мартиросян. Раскопки в Кировакане и некоторые памятники ранне-урартского периода (IX—VIII вв. до н. э.), Известия АН АССР, IV⁹, 1956.
11. Э. В. Ханзадян. Гарни IV. Результаты раскопок 1949—1966 гг. (с ранней бронзы по урартский период включительно) Ереван. 1969.
12. С. А. Есаян. Древняя культура племен северо-восточной Армении. Ер., 1976.

ც. მენაბდე

გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხები კოდისხევიდან

(ტაბულები XVIa და XVIb)

წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების სამხრეთ-დასავლეთით ექვსიოდე კმ-ის მანძილზე, სოფ. არბოშიკის მინდვრებში, კოდისხევის წყალსაცავის მშენებლობისას ადგილ „შავ გუბეზე“ ხევის მარჯვენა ფერდობიდან ბულდოზერით მიწის ჩამოზვინვის დროს (ცაშხალის გასაკეთებლად) გამოვლინდა ორმოსამარხები.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოჩენის ადგილზე ჩაატარა მცირე მასშტაბის გადარჩენითი სამუშაოები. გაითხარა ყველა გამოვლენილი სამარხი. ზოგიერთი მთლიანად იყო განადგურებული, ზოგის მხოლოდ მცირე ნაშთი იყო გადარჩენილი, ზოგის ორმო კი ლაქად მოჩანდა მიწის ზედაპირზე. სულ გაითხარა კირნარევ თიხნარში ჩაჭრილი შვიდი ორმოსამარხი და ორმოსამარხის ნაშთი.

სამარხი № 1 აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე. სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი და მიცვალებულის მუხლის ძვლები ბულდოზერით იყო დაზიანებული. ორმოსამარხში, რომლის კონტურების დადგენა არ მოხერხდა, მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით (აღმოსავლეთით შეუმჩნეველი გადახრით), კიდურებმოხრილი. მიცვალებულს თავთან ტალღური ამოღარული და კონცენტრული ხაზებით შემკული ჭილა ედგა, ყელის არეში კი პირმოყრილი ჭურჭელი, რომელსაც ნაპრიალები ბადური ორნამენტი და ვერძის თავის გამოსახულება ამკობს. წელს ქვეშ კონცენტრული ხაზებით შემკული ქვაბქოთანა გამოვლინდა, ზურგს უკან ჯამი. მიცვალებულს ორივე ხელის მაჯაზე ბრინჯაოს მასიური სამაჯურები ეკეთა, ხოლო თითებზე ბრინჯაოს სამ და ორხვიანი ბეჭდები. კეფასთან ბრინჯაოს ყუნწიანი ნემსი იდო, ხოლო ყელისა და გულ-მკერდის არეში გამოვლინდა სარდიონის რომბისებური, ბირთვისებური და ნაპობი მძივები, ობსიდიანის საკიდი და ნიჟარის მძივი.

დამარხვის წესის მიხედვით (მარცხენა გვერდზე) და სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ № 1 სამარხში დაკრძალულია მდედრობითი სქესის ადამიანი. ეს ვარაუდი დაადასტურა მიცვალებულის ძვლების ანატომიურმა შესწავლამ.

1. დერგი დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი ყავისფრადაა გამომწვარი, ზედაპირის თხელი ფენა ჩალისფერია მოშავო ლაქებით.

ჭურჭელს აქვს ლილვაკისებური პირი, საშუალო სიმაღლის ყელი, განზე გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, განიერი ბრტყელი ძირი.

ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილზე გარშემოუყვება ირიბი ჭდეები, მხარს ამკობს ტალღური ამოღარული და კონცენტრული ხაზები. კორპუსის ქვედა ნაწილი უსწორმასწორო ხაზებითაა დასერილი.

პირის დიამეტრი—13 სმ, მუცლის დიამეტრი—27 სმ, ძირის დიამეტრი—10,8 სმ, სიმაღლე—28,7 სმ.

2. ქოთანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ნაცრისფერი, ზოგან ჩალისფერი, ნაპრიალები ზედაპირით. პირმოყრილი, პირს ზემოდან გარშემოუყვება ერთი ღარი. კორპუსის ზედა ნაწილს ბირთვისებური ფორმა აქვს. მუცელზე წიბურიანია. ძირისაკენ სწრაფად ვიწროვდება და მთავრდება გამოყვანილი ქუსლით. ჭურჭელს ერთიმეორის საპირისპიროდ დაძერწილი აქვს ზოომორფული ორი ყური მრგვალი მინაძერწებით. ყურებს შორის პირთან ახლოს დატანილია სითხის გადმოსაწური მილი, მის მოპირდაპირე მხარეს კი მიძერწილია ვერძის თავის გამოსახულება ჩახვეული რქებით. მუცლის ზედა ნაწილი შემკულია ნაპრიალები ბადური ორნამენტით, მის ქვემოთ გარშემოუყვება სამი კონცენტრული ამოღარული ხაზი, წიბოს ქვემოთ კი ნაპრიალები ხშირი ვერტიკალური ხაზები გასდევს.

პირის დიამეტრი — 13,4 სმ, მუცლის დიამეტრი — 22 სმ, ძირის დიამეტრი — 9,6 სმ, სიმაღლე — 16 სმ.

3. ქოთანი (შემორჩენილია ჭურჭლის ქვედა ტანის ნაწილი), განლექილი თიხისა, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი მოწითალო ყავისფერია, გარეპირის თხელი შრე შავი. ზედაპირი დასერილია კონცენტრული ამოღარული ხაზებით. ძირს ამკობს ამოღარული სპირალი, ხოლო ძირის კიდეს ღრმა ირიბი ნაჭდევები.

ძირის დიამეტრი —8,2 სმ.

4. ჯამი დამზადებულია წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. კეცი წაბლისფერი, ზოგან მოშავო ლაქებით. ზედა და შიდაპირი მოგლუვებულია. პირფართოა, პირს ქვემოთ გარშემოუყვება ორი განიერი ღარი. ჭურჭლის ტანი ძირისკენ მკვეთრად ვიწროვდება. ძირვიწროა.

პირის დიამეტრი — 25 სმ, ძირის დიამეტრი — 7,7 სმ, სიმაღლე — 7,8 სმ.

5. ბეჭედი ბრინჯაოსი სამხვიანი, მრგვალბრტყელი ღეროსი.

დიამეტრი — 2,5 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,4 სმ.

6. ბეჭედი ბრინჯაოსი ორხვიანი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი.

დიამეტრი — 2,8 სმ, ღეროს დიამეტრი — 0,4 სმ.

7. სამაჯური ბრინჯაოსი, მასიური, თავებგადადებული. ღერო ზემოდან მომრგვალებულია, შიგნით დაბრტყელებული.

დიამეტრი — 7,7 სმ, ღეროს დიამეტრი — 1,3 სმ.

8. სამაჯური ბრინჯაოსი მასიური, თავებგადადებული, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსი. დიამეტრი —7,8 სმ, ღეროს დიამეტრი —1,2 სმ.

9. ნემსი ბრინჯაოსი თავჩაკეცილი, სიგრძე —7,7 სმ.

10. საკიდი ობსიდიანის მსხლისებური, ძაფის გასაყრელი მცირე დიამეტრის ნახვრეტით.

11. საკიდი ნიჟარის ძაფის გასაყრელი მცირე დიამეტრის ნახვრეტით. ერთი ცალი.

მსგავსი ორმოები აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში. ორმოებს შორის მანძილი სიგრძივ — 1,45; სიგანეში 0,75 მ-ია.

სამარხის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ ოთხი ჭურჭელი აღმოჩნდა: მიცვალებულის თავის წინ დიდი ბრტყელყურა ჭილა თ. ჭ.№ 1, შემდეგ კედლის გაყოლებით სამხრეთით დიდი დერგი მხარზე რელიეფური წნული სარტყლებით თ. ჭ. № 2; მას სამხრეთიდან მიდგმული ჰქონდა პირფართო და პირბრტყელი კოჭობი თ. ჭ. № 4; მიცვალებულის თავთან, ნაწილობრივ მის ქვეშ დაახლოებით 7—8 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა პირმოყრილი დიდი ჯამი თ. ჭ. № 5. მიცვალებულის ყველის არეში გამოვლინდა მრავალი სარდიონის და პასტის მძივი. ყელის არეშივე აღმოჩნდა ბრტყელი საკიდი, მენჯს უკან კი — ბრტყელი, მრგვალი ფირფიტა ორი ნახვრეტით, როგორც ჩანს, სარტყლის ნაწილი.

№ 1 და № 4 სამარხების ფსკერებს შორის სხვაობა 0,80 მ, ე. ი. № 1 სამარხი 0,80 მ-ით უფრო მაღლაა. ამგვარად, № 4 სამარხი მიწის ზედაპირიდან 1,50 მ სიღრმეზეა. მიცვალებულის ზურგს უკან თავით ჩრდილოეთით მარცხენა გვერდზე მოქცეული წვრილფეხა საქონლის ძვლები, რომელიც ანატომიურ წესრიგში იყო, თხის აღმოჩნდა. მისი ფეხები მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ შედიოდა და აშკარაა, რომ იგი სამარხის იატაკზე სარეცლის ქვეშ იყო დასვენებული. აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ მდებარე სამი ჭურჭელი: № 1, 2 და 3 როგორც ჩანს, მცირე შემაღლებაზე იდგა, ამიტომ გათხრის პროცესში მიცვალებულის ჩონჩხის დონეზე აღმოჩნდა. მასალის ალაგების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ჭურჭლებიც იატაკზე ეწყო. საქმე იმაშია, რომ კაშხალის გასაკეთებლად მიწის თხრის დროს ბულდოზერმა სწორედ ამ ადგილზე იარა და ყველა ჭურჭელი ჩაიფშვნა. ამას გარდა სამარხის სათანადო პრეპარაცია არ მოხერხდა.

12. საკიდი სარდიონის რომბისებური, ძაფის გასაყრელი მცირე დიამეტრის ნახვრეტით. ერთი ცალი.

13. მძივსაკიდები სარდიონის, სხვადასხვა ფორმისა და ზომის. შვიდი ცალი.

14. მძივები სარდიონის ბირთვისებური, მრგვალი, ნაპობი. 45 ცალი.

კოდისხევის სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა № 4 სამარხში დადასტურებული დაკრძალვის წესი.

სამარხი № 4 აღმოჩნდა ჩაჭრილ ყვითელ თიხნარში. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს ფარავდა № 1 სამარხის ჩრდილო ნაწილი. სამარხი ორმოს კუთხეები მომრგვალებულია. ორმოს კედლები შემორჩენილი იყო 0,40—0,50 მ სიღრმეზე, დამხრობილი N—S. სამარხი ორმოს სიგრძეა 1,85 მ, სიგანე— 1,50 მ.

ორმოს ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა მიცვალებული დასვენებული მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით N. ძვლები ცუდად იყო დაცული. მიცვალებულის ბარძაყის ძვლის სიგრძეა 0,40 მ.

სამარხის წმენდისას თავიდანვე ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ მიცვალებული სამარხის ფსკერთან შედარებით 10—15 სმ-ით მაღლა იყო მოთავსებული, მის ქვეშ კი ნაძრავი მიწა მოჩანდა. ამას გარდა მიცვალებულის თავთან მოთავსებული ჭურჭელი სამარხის ფსკერზე იყო განლაგებული. ასევე სამარხის ფსკერზე, მიცვალებულის ზურგს უკან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის სხვადასხვა ძვლები. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თავდაპირველად მიცვალებული რაღაც შემაღლებაზე იყო დაკრძალული. პრეპარაციის დროს ეს მოსაზრება დადასტურდა. მიცვალებულის პირისახის წინ სულ 5—6 სმ დაშორებით და კეფის უკან სამარხი ორმოს დასავლეთ კედელთან ფსკერში ჩაჭრილი 3—4 სმ-ის დიამეტრის ღრმა ორმოები აღმოჩნდა, რომელშიც ხის ნაშთები იყო შემორჩენილი. ჭურჭელი იშლებოდა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სულ ბოლომდის ისინი თითქმის ცარიელები იდგნენ. სამარხის თავზე ხშირად გვხვდებოდა გადამხურავი ძელების ნაშთები.

არსებითია, რომ სამარხის ჩრდილო ნაწილში ორმოს თავზე ცეცხლისა და ნახშირის ფართო კვალი აღმოჩნდა, რომელიც უეჭველად ამ სამარხებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მიცვალებულის ჩონჩხის ალაგების შემდეგ მის ქვეშ კიდევ ორი ცხვრის მთელი ჩონჩხი აღმოჩნდა.

სამარხეული ინვენტარისა და მიცვალებულის ჩონჩხის განლაგების მიხედვით და რაც მთავარია სამარხში აღმოჩენილი ოთხი მცირე ორმოსი და მათში ხის ნაშთის გამოვლენის საფუძველზე კ. ფიცხელაურმა გამოიტანა დასკვნა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო ხის სარეცელზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი შემდეგნაირად სრულდებოდა: ჯერ იღებდნენ სამარხის ორმოს, შემდეგ ფსკერზე დააწყობდნენ სამარხეულ ინვენტარს, დაკლულ ცხოველებს, ხოლო შემდეგ სამარხში დგამდნენ ოთხფეხიან ხის სარეცელს, რომელზედაც მიცვალებული იყო დაკრძალული. ამის შემდეგ სამარხ ორმოს ძელებით ხურავდნენ.

დაკრძალვის მსგავსი წესი კახეთში შემდგომი სამუშაოების დროს არა ერთ სამაროვანზე გამოვლინდა: ნუკრიანის მინდვრებში—ჩალიანხევის A და C სამაროვნებზე, ფევრების სამაროვნებზე—მელაანთან. ამჟამად დაკრძალვის ამგვარი წესი დადასტურებულია თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ თრელის სამაროვანზე.

მიცვალებულის სარეცელზე დაკრძალვის წესი დადასტურებულია სომხეთშიც: ლჭაშენის და ართიკის სამაროვნებზე [15, გვ. 2; 16, გვ. 23, 31].

სარეცლიანი ორმოსამარხები კახეთის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურიდან გვხვდება. სამარხში სარეცლის ჩადგმის ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოში კარგა ხანს შემორჩა, რაზეც მიგვითითებს არმაზისხევის სამარხებში აღმოჩენილი ხის სარეცლის გარშემოჭედილობის აღმოჩენა და სხვა [4, გვ. 10].

1. (24) დერგი დამზადებულია წვრილქვიშანარევი თიხისაგან. თეთრი მინარევებით. კეცი რუხადაა გამომწვარი, ყავისფერი სარჩულით. ზედაპირი რუხია, ზოგან შავი ლაქებით, ხაოიანი. ჭურჭელს აქვს ლილვაკისებური პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, განზე გაზიდული მხრები, გამობერილი მუცელი, ბრტყელი ძირი. მუცელზე დაძერწილია ლენტური ორი ყური,

ზურგზე მოგრძო ღარით. ყელის ძირსა და მხარზე შემოუყვება სამ-სამი ამოღარული კონცენტრული ხაზი, ხოლო მუცელზე ორი განიერი ღარი. ჭურჭლის ზედა ნაწილი დასერილია ხშირი კონცენტრული ხაზებით.

პირის დიამეტრი — 15 სმ, მუცლის დიამეტრი — 33,5 სმ;

ძირის დიამეტრი —12,8 სმ, სიმაღლე —43,4 სმ.

2. (25) დერგი დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან, თეთრი მინარევებით. კეცი რუხადაა გამომწვარი, ზედაპირზე ადგილ-ადგილ ნაცრისფერი ლაქებით. ჭურჭელს აქვს ვიწრო, ლილვაკისებური პირი, საშუალო სიმაღლის კონუსური ყელი, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი.

ჭურჭლის მხარს ამკობს სამ ზოლად რელიეფური წნული სარტყელი, მის ქვემოთ ამოღარულ კონცენტრულ ხაზებს შორის დატანილია ტალღური ამოღარული ხაზები.

პირის დიამეტრი — 14 სმ, მუცლის დიამეტრი — 30 სმ;

ძირის დიამეტრი — 12 სმ, სიმაღლე — 29 სმ.

3. (26) ქვაბქოთანა სილანარევი თიხის, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი რუხადაა გამომწვარი. ზედაპირი რუხია, ნაცრისფერი ლაქებით. ნაპრიალები. პირმოყრილია, პირს ზემოდან შემოსდევს ორი ღარი. კორპუსის ზედა ნაწილი ბირთვისებურია, მუცელზე წიბოთი; ძირისკენ მკვეთრადაა შევიწროებული, ძირი ბრტყელი და განიერია. ჭურჭელს ერთიმეორის საპირისპიროდ დაძერწილი აქვს ზოომორფული ორი ყური, ზურგზე მოგრძო ღარით. ყურებს შორის დატანილია ერთი შვერილი ყური ირიბად დახრილი ნახვრეტით, მის მოპირდაპირე მხარეს კი ვერძის თავის გამოსახულება ჩახვეული რქებით. პირთან ახლოს შემოუყვება ორი რელიეფური ზოლი; მის ქვემოთ წიბომდე ბადისებური ორნამენტითაა შემკული, რომელიც დაყოფილია შვეული ნაპრიალები ზოლებით.

პირის დიამეტრი — 17 სმ, მუცლის დიამეტრი — 29 სმ;

ძირის დიამეტრი — 11 სმ, სიმაღლე — 19,5 სმ.

4. (27) ქვაბქოთანა დამზადებულია მსხვილქვიშანარევი თიხისაგან, თეთრი მინარევებით. კეცი მოწაბლისფრო მოშავოდაა გამომწვარი. ზედაპირი ხორკლიანი აქვს.

პირფართოა და ნაპირებგადმოკეცილი, მხრებდაქანებული, მუცელგამობერილი, ძირვიწრო. პირს ზემოდან ღარი შემოსდევს. მხარს ამკობს ჰორიზონტალური ღრმა ფრჩხილისეული ორნამენტი, ძირის კიდეს — ღრმა ირიბი ნაჭდევები.

პირის დიამეტრი — 21,5 სმ, მუცლის დიამეტრი — 23,5 სმ;

ძირის დიამეტრი — 9,6 სმ, სიმაღლე — 18,5 სმ.

5. (28) ჯამი განლექილი თიხისა, წმინდა თეთრი მინარევებით. კეცი მოწაბლისფრო-მოშავოდაა გამომწვარი. ზედა და შიდაპირი მოგლუვებულია. პირფართო, პირს ქვემოთ ერთი განიერი ღარი შემოსდევს, ძირვიწრო.

პირის დიამეტრი — 23 სმ, ძირის დიამეტრი — 8 სმ, სიმაღლე — 7,7 სმ.

6. (29) საკიდი ბრინჯაოსი, ბრტყელი ფირფიტის, ძაფის გასაყრელი მცირე დიამეტრის ნახვრეტით; სამი ცალი, ერთი გატეხილია.

7. (30) ბრინჯაოს ფირფიტის ფრაგმენტი, ოვალური ფორმის ორი ნახვრეტით.

8 (31) მძივები ანთიმონის, ორი ცალი; პასტის თეთრი ფერისა, ერთი.

9. (32) საკიდი ნიჟარის, გატეხილი.

10. (33) მძივი პასტისა, თეთრი ფერის ოვალური, შუაში მრგვალი ნახვრეტით.

11. (34) მძივსაკიდები სარდიონის, 25 ცალი.

12. (35) მძივები სარდიონის, 261 ცალი.

კოდისხევის № 1 სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლებიდან საყურადღებოა პირმოყრილი ქვაბქოთანა (ტაბ. XIVa, 2).

პირმოყრილი ჭურჭლები დიდი რაოდენობითაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან. ეს ჭურჭელი მრავალფეროვანია როგორც ფორმით, ასევე შემკულობით. გვხვდება უყურო, ორყურა, სამყურა, ოთხყურა, შვერილებიანი და ზოომორფულყურებიანი ცალები.

პირმოყრილი ჭურჭლები აღმოჩენილია: მუროკების [1], ჩალიანხევის[2], ფევრების[3], სამთავროს (6, გვ. 57, ტაბ. XIV, სურ. 348, სურ. 5-ის 5528, სურ. 9-ის 232), ღრმა-ღელეს (7, გვ. 84, 94, ტაბ. XVII_2, XXIII_2), ნავთლუღის (7, გვ. 160, ტაბ. XXXI_1), კასპის (8, გვ. 41, ტაბ. III_8), მუხრანის (9, გვ. 17, ტაბ. III_6) მადნისჭალის (10, გვ. 37, 47, ტაბ. XXVIII, სურ. 190, 194), კარმირბერდის (ტაზაკენდის) (11, გვ. 241, სურ. 16), კუშჩის (12, გვ. 136, სურ. 5, № 75 1/4), № 88 (1/8), სანაინის (13, გვ. 140, სურ. 58) სამაროვნებზე.

რ. აბრამიშვილის ცნობით, უყელო, ე. წ. პირმოყრილი ჭურჭლის ერთი ნაწილი ისეთ კომპლექსებში გვხვდება, რომლებიც იქ აღმოჩენილი ნივთების მიხედვით (ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, თავხვია საკინძი, სარდიონის დახეთქილი მძივები და სხვა), აშკარად მიეკუთვნებიან გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპს (სამთავროს №№ 10, 17, 20, 21, 160, 232, 261 ორმოსამარხები), ნაწილი კომპლექსებისა კი გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის უშუალოდ მომდევნო ხანას ეკუთვნის და მათი ზედა ქრონოლოგიური თარიღი ძვ. წ. XII ს. პირველ ნახევარს არ გადმოსცილდება (ბეშთაშენის № 20, 21 ორმოსამარხები და წოფის სამაროვნის № 1 ქვისფილებიანი ორმოსამარხი), (5, გვ. 320).

დ. ქორიძე ღრმა-ღელეში აღმოჩენილ ინვენტარს ძვ. წ. XIV—XIII სს. ანუ მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს, ხოლო ნავთლუღის ინვენტარს გვიანბრინჯაოს ხანით და მათ ძვ. წ. XII—XI სს. ქრონოლოგიურ ჩარჩოში ათავსებს.

გვიანბრინჯაოს ხანით, კერძოდ, ძვ. წ. XIII—XI სს. ათარიღებს ნ. ოქროპირიძე ჩარდახის თიხის ჭურჭელს.

ჰუმელი კუშჩის სამაროვანზე მოპოვებულ მასალას განვითარებული ბრინჯაოს პერიოდს მიაკუთვნებს.

კოდისხევის სამაროვნის ჩვენს მიერ განხილული პირმოყრილი ჭურჭელი ფორმით და შემკულობით ანალოგიურია სამთავროს № 44 სამარხში აღმოჩენილი ჭურჭლისა[4], რომელიც რ. აბრამიშვილის მიერ გვიანბრინჯაოს ხანის

---

[1] ყორღანი № 22, ჩაშვებული სამარხები № 8 და № 22, ყორღანი № 24. სამარხები №№ 1, 3.

[2] ჩალიანხევის C სამაროვნის სამარხები №№ 14, 16, 3, 36, A სამაროვნის № 3 სამარხი.

[3] სამარხები №№ 21, 36, 45, 53, 57.

[4] ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ინვ. №№ 12—54; 8902.

ადრეული ეტაპის უშუალოდ მომდევნო ხანით არის დათარიღებული [5, გვ. 320; 1, გვ. 150].

კახეთის მასალების მიხედვით პირმოყრილი ჭურჭლები უკვე შუაბრინჯაოს ხანიდან ჩნდება[5]. განსაკუთრებით მრავლადაა ისინი მოპოვებული ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის საწყისი საუკუნეების ძეგლებში. კოდისხევის № 1 სამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი თავისი ფორმითა და შემკულობით ამ ტიპის კომპლექსებისაგან განსხვავდება და უახლოვდება კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილ გვიანბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპის მასალებს.

ამავე სამარხშია აღმოჩენილი კონცენტრული ხაზებით დაღარული, ძირზე ამოღარული სპირალით და ძირის კიდეზე ირიბი ნაჭდევებით შემკული ქოთანი (ტაბ. XIVa, 3; XIVb, 4); მსგავსი ორნამენტით შემკული ჭურჭელი განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი იორ-ალაზნის აუზის გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებში. ჭურჭლის შემკობის ეს ხერხი, კ. ფიცხელაურის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის ძეგლებში ჩნდება შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან (წაღვლი, ილტო, დიღომი და სხვა), ჩამოყალიბებულ სახეს იღებს შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდში. იორ-ალაზნის აუზის ძეგლებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან VI—V საუკუნეებამდე. ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულიდან იცვლება მხოლოდ შემკობის ტექნიკა, თიხის ჭურჭელზე კონცენტრული ხაზები თეთრი ანგობის ზოლებითაა დატანილი, ნახაზის სქემა კი ძველი რჩება ახ. წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით.

კოდისხევის № 4 სამარხის ნივთებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს საკიდი (ტაბ. XIVb. 6). მსგავსი საკიდი აღმოჩნდა ჩალიანხევის[6], ქედელის[7], კუშჩის[8] (12, გვ. 133, სურ 3, №95/8) სამაროვნებზე; აგრეთვე რედკინ-ლაგერისა (13, გვ. 198, სურ. 77, 20) და კირგის[9] (14, გვ. 200, ტაბ. 136, 15) არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებულ მასალებში.

ა. მარტიროსიანი ბრინჯაოს საკიდების შემცველ ნივთებს ათარიღებს ძვ. წ. X—IX სს, ხოლო ესაიანი ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით; ჰუმელი განვითარებული ბრინჯაოს პერიოდს მიაკუთვნებს.

ქედელის სამარხის კომპლექსი, სადაც ჩვენთვის საინტერესო საკიდები შედის იქ აღმოჩენილი ნივთების მიხედვით (შედგენილტარიანი მახვილი, შუბისპირი, მთლიანმასრიანი, მასრაზე ორი რელიეფური სალტით, დერგი ორი ლენტური ყურით), უნდა თარიღდებოდეს ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით (2, გვ. 134—136; 1, გვ. 176).

ამრიგად, სამარხეული ინვენტარის ტიპოლოგიურმა კვლევამ საშუალება მოგვცა კოდისხევის № 1 და 4 სამარხების თარიღი ძვ. წ. XIII—XII სს. განვსაზღვროთ.

---

[5] აკაკიანთხევის № 1 ყორღანი, ინვ. №№ 06—312:6.

[6] სამაროვნის № 38 სამარხი.

[7] № 1, სამარხი

[8] № 11 ქვაყუთი და 31 აკლდამა

[9] ეგენკალა — ძორი სამარხი № 1.

Ц. Н. МЕНАБДЕ

ГРУНТОВЫЕ ПОГРЕБЕНИЯ ЭПОХИ ПОЗДНЕЙ БРОНЗЫ ИЗ КОДИСХЕВИ

(таблицы XIVа—XIVв)

Резюме

В шести километрах юго-западнее села Гамарджвеба Цителцкарой-ского района в местечке «Шави губееби» во время строительства Кодисхевского водохранилища были выявлены грунтовые погребения.

Всего было раскопано 7 грунтовых погребений. Рассмотрены два из них (№№ 1 и 4), представленные полными погребальными комплексами.

В погребении № 1 обнаружено 4 глиняных сосуда, два бронзовых браслета и два кольца, бронзовая игла, обсидиановая подвеска, сердоликовые бусы-подвески, бусы и одна буса-раковина.

В погребении № 4, где впервые был зафиксирован факт погребания покойника на погребальном ложе, были расчищены пять глиняных сосудов, бронзовые подвески и пластинка, сурьмяные и сердоликовые бусы-подвески, буса-раковина и пастовая бусина.

Оба комплекса по представленным в них предметам, находящих параллели в позднебронзовых комплексах из Восточной Грузии, Армении и Азербайджана, датируются нами XIII—XII вв. до н. э.

ლიტერატურა

1. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბილისი, 1973.
2. კ. ფიცხელაური, ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი, მსკა, ტ. II, თბილისი, 1959.
3. კ. ფიცხელაური. გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულასთან, მსკა, ტ. II, თბილისი, 1959.
4. კ. ფიცხელაური, სამარხთა კონსტრუქციისა და მიცვალებულთა დაკრძალვის წესის ზოგიერთი თავისებურება აღმოსავლეთ საქართველოში წინაანტიკურ ხანაში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი კახეთის სიძველეთა შესწავლისა და დაცვისადმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, ყვარელი, 1977.
5. რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV—VI სს.), სსმმ, ტ. XXII, 1961.
6. ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1957.
7. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955.
8. მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მსკა, ტ. IV, თბილისი, 1965.
9. ნ. ოქროპირიძე, მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები, მსკა, ტ. IV, თბილისი, 1965.
10. ნ. თუშიშვილი, მადნისჭალის სამაროვანი, თბილისი, 1971.
11. Г. Е. Арешян, Материалы из раскопок Кармирбердского (Тазакендского) могильника, Вестник Ереванского Университета, Ереван, 1970, № 1.
12. Я. И. Гуммель, Археологические очерки, Баку, 1940.
13. А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964.
14. С. А. Есаян, Древняя культура Племен Северо-Восточной Армении, Ереван, 1976.
15. А. О. Мнацаканян, Раскопки курганов на побережье оз. Севан в 1956 г. СА, № 2 1957.
16. Т. С. Хачатрян, Материальная культура Древнего Артика, Ереван, 1963.

გ. მაისურაძე

არქეოლოგიური გათხრები სოფ. თეთრწყლებში

(ტაბულები XV—XXIX)

სოფ. თეთრწყლები მდებარეობს გომბორის უღელტეხილის ახლოს თბილისი-თელავის სამანქანო გზაზე.

თეთრწყლების სამაროვანი ცნობილია 1949 წლიდან. მან განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო 1953 წელს, როდესაც სოფლის ცენტრში ელექტროსადგურის (ამჟამად სოფლის კლუბი) მშენებლობის დროს მრავლად აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღი, თიხის ჭურჭელი, სამკაული და სხვ.[1]

1966 და 1972 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამაროვანზე ჩაატარა გათხრითი სამუშაოები.

1966 წელს სოფ. თეთრწყლების სამაროვანზე (ცლუბის ეზო) გაითხარა ექვსი ორმოსამარხი (1, გვ. 101—107). სამარხები წარმოადგენენ სწორკუთხა ორმოებს, რომლებიც დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

სამარხი № 1 წარმოადგენს სწორკუთხა ორმოს, სიგრძე — 1,60 მ, სიგანე — 1 მ. მიცვალებული დასვენებულია სამარხის ცენტრალურ ნაწილში მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთის მიმართულებით

მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილი, რომელიც ჩამოკიდებული უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს სამხარიღლიე ჯაჭვზე (პორტუპეი). წელზე მიცვალებულს შემორტყმული (?) ჰქონდა ბრინჯაოს წვრილი ჯაჭვი, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო ღორის გახვრეტილი ეშვი. № 1 სამარხში აღმოჩენილ იქნა სხვა ნივთებიც: მენჯის ძვალზე — რკინის შუბისპირი, თავის ქალის წინ — თიხის ლანგარი, რომელზედაც იდო რკინის დანა, აქვე იყო რკინის გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტები, ძვლის მახათი, ძვლის ისრისპირის ფრაგმენტები. სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ აღმოჩნდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი.

---

[1] მასალა ინახება თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ინვ. №№ 3031, 3036, 789, 3028, 3029, 3032, 3035, 3037, 3039, 3044—47, 3053, 3049, 3660, 3661.

სამარხში აღმოჩნდა ცხრა თიხის ჭურჭელი.

1. კ ა თ ხ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი სუფთად განლექილი თიხისაგან. მხრები შემკული აქვს ნაპრიალები ვერტიკალური ხაზებით. ძირი სპირალური ორნამენტით (ტაბ. XV, 1).

2. ლ ა ნ გ ა რ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, მხრებს შემოუყვება ირიბი ნაჭდევი ხაზები. კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით (ტაბ. XV, 2).

3. კ ო ჭ ო ბ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. არათანაბარი გამოწვის გამო ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია შავი ლაქებით (ტაბ. XV, 3).

4. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, მუცელზე მიძერწილი აქვს ორი ბრტყელი შვერილი ყური, ყელთან შემოუყვება სამი კონცენტრულად ამოღარული ხაზი (ტაბ. XV, 4).

5. დ ო ქ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ყელი გოფრირებულია. მუცელს კი შემოუყვება ერთი კონცენტრირებულად ამოღარული ხაზი (ტაბ. XV, 5).

6. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირთან შემოუყვება რელიეფური სარტყელი, ძირს ამკობს სპირალური ორნამენტი (ტაბ. XV, 6).

7. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელის ძირს შემოუყვება კონცენტრულად ამოღარული ხაზების სარტყელი და ირიბი ნაჭდევი ხაზები. ჭურჭლის ქვედა ნაწილიც შემკულია კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ნაჭდევი ხაზებით. ძირი დაფარულია სპირალური ორნამენტებით (ტაბ. XV, 7).

8. კ ა თ ხ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, არათანაბარი გამოწვის გამო ჭურჭელს ერთ მხარეს მიღებული აქვს წითელი ფერი (ტაბ. XV, 8).

9. მ ა ხ ვ ი ლ ი. ბრინჯაოსი მთლიანადსხმული, ტარის ქუდი წვეტიანია, ტარის ყელი შემკულია რელიეფური წნული ხაზებით, რომელიც მთავრდება დედალი დუგმის გამოსახულებით, მხრებს ამკობს ამოკვეთილი სპირალები, პირს მიუყვება ამოკვეთილი სპირალების ორი რიგი, მახვილი გადატეხილია ორ ნაწილად (ტაბ. XV, 9).

10. ხ ვ ი ა. ბრინჯაოსი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან d-0,2 სმ (ტაბ. XV, 10).

11. რ გ ო ლ ი. ბრინჯაოსი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან d-0,3 მ (ტაბ. XV, 11).

12. ჯ ა ჭ ვ ი (პორტუპეი), ბრინჯაოსი. ბოლოები მთავრდება დედალი დუგმის გამოსახულებით (ტაბ. XV, 12).

13. ღორის ე შ ვ ი (ტაბ. XV, 13).

14. შუბისპირი რკინის მასრაგახსნილი. შემორჩენილია მისი ფრაგმენტები (ტაბ. XV, 14).

15. რკინის გაურკვეველი დანიშნულების პატარა ზომის ნივთი (ტაბ. XV, 15).

16. დ ა ნ ა რკინის, შემორჩენილია მისი ფრაგმენტები (ტაბ. XV, 16).

17. მ ა ხ ა თ ი ძვლის, გადატეხილია ორ ნაწილად (ტაბ. XV, 17).

18. ძვლის ისრისპირის ნატეხი (ტაბ. XV, 18).

სამარხი № 2 ძლიერ დაზიანებული. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი სამაჯური, ბრინჯაოს ხვია, რკინის დანა და თიხის შვიდი ჭურჭელი.

19. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი სუფთად განლეჭილი თიხისაგან. პირთან შემოუყვება რელიეფური სარტყელი, ძირს ამკობს ნაკლებად შესამჩნევი კონცენრტულად ამოღარული ხაზები (ტაბ. XVI, 1).

20. ჯ ა მ ი ორყურა, დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის მთელი კორპუსი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი კონცენტრულად ამოღარული ხაზებით (ტაბ. XVI, 2).

21. ჭურჭელი ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, შემორჩენილია მისი ვრავალგანივკვეთიანი ყურები და ძირი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

22. კათხა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XVI, 4).

23. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი ქვიშანარევი თიხისაგან, პირთან შემოუყვება რელიეფური სარტყელი (ტაბ. XVI, 5).

24. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის ყელის ძირს ამკობს კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ნაჭდევი ხაზები, მუცელს—კონცენტრულად ამოღარული და ვერტიკალური ხაზები, ძირს სპირალური ორნამენტი და ცენტრისაკენ მიმართული ხაზები (ტაბ. XVI, 6).

25. კ ა თ ხ ა. შემორჩენილია ჭურჭლის ძირი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XVI, 7).

26. ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი. ბრინჯაოსი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან, ბოლოები გაბრტყელებული აქვს, d—0,5 მ (ტაბ. XVI,8).

27. ხ ვ ი ა. ბრინჯაოსი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. XVI, 9).

28. დ ა ნ ა. რკინის, ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა № 8 თიხის ჭურჭლის ნატეხებს შორის (ტაბ. XVI, 10).

29. ქვაბქოთანა დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭელი ნაკლულია, შემორჩენილია მისი პირგვერდისა და ძირის ფრაგმენტი.

სამარხი № 3 ძლიერ დაზიანებული. სამარხში აღმოჩნდა თიხის რვა ჭურჭელი და ძვლის ისრისპირის ფრაგმენტი.

30. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის პირს შემოუყვება რელიეფური სარტყელი, მის ქვედა ნაწილს—კონცენტრულად ამოღარული ხაზები (ტაბ. XVII, 1).

31. შემორჩენილია ჭურჭლის გვერდისა და ძირის ფრაგმენტი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის მთელი კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ხაზებით (ტაბ. XVII, 2).

32. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირსა და მუცელზე მიძერწილი აქვს ორი გრეხილი ყური (ტაბ. XVII, 3).

33. კ ო ჭ ო ბ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XVII, 4).

34. ჭურჭელი ძლიერ ნაკლულია, შემორჩენილია მისი პირისა და გვერდის ფრაგმენტები. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

35. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის მთელი კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ასეთივე ხაზები ამკობს მის ძირს (ტაბ. XVII, 5).

36. დ ო ქ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XVII, 6).

37. შემორჩენილია ჭურჭლის ძირი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან ((ტაბ. XVII, 7).

38. ძვლის ისრის პირის ფრაგმენტი (ტაბ. XVII, 8).

სამარხი № 4. დ ა ზ ი ა ნ ე ბ უ ლ ი. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილი, ბრინჯაოს ოთხი სამაჯური, ბრინჯაოს ჯაჭვი, ბრინჯაოს დედალი დუგმები, სარდიონის მძივი, ძვლის კვერთხის ნაწილები, ღორის ეშვი და თიხის შვიდი ჭურჭელი.

39. კ ო ჭ ო ბ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი სუფთად განლექილი თიხისაგან. პირს შემოუყვება რელიეფური სარტყელი, ძირი დაფარულია ნაკლებად შესამჩნევი კონცენტრულად ამოღარული ხაზებით (ტაბ. XVIII, 1).

40. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელის ძირს ამკობს სამი კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ნაჭდევი ხაზები, მუცელს შემოუყვება ერთი კონცენტრულად ამოღარული ხაზი, ჭურჭლის ქვედა ნაწილი ძირამდე დაფარულია ოდნავ შესამჩნევი კონცენტრული და ვერტიკალური ხაზებით (ტაბ. XVIII, 2).

41. ჯ ა მ ი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის მთელი კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული და ოდნავ შესამჩნევი ვერტიკალური ხაზებით (ტაბ. XVIII, 3).

42. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XVIII, 4).

43. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა დამზადებულია შავად გამომწვარი სუფთად განლექილი თიხისაგან ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით და ფრჩხილისებური ორნამენტით (ტაბ. XVIII, 5).

44. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ყელის ძირს ამკობს ფრჩხილისებური ორნამენტი (ტაბ. XVIII, 6).

45. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XVIII, 7).

46. მ ა ხ ვ ი ლ ი. ბრინჯაოსი მთლიანადსხმული. ტარის ქუდი წვეტიანია. ტარის ყელს ამკობს რელიეფური წერტილები, რომელიც მთავრდება დედალი

დუგმის გამოსახულებით, მხრები დაფარული აქვს ამოკვეთილი სპირალებით, პირს მიუყვება წყვილ-წყვილად ამოკაწრული პარალელური ხაზები, რომლებიც იწყება დედალი დუგმის გამოსახულებით, მახვილის ქედზე ამოკაწრულია ორი ტალღური ხაზი, რომლებიც იწყება დედალი დუგმის გამოსახულებით (ტაბ. XVIII, 8).

47. სამაჯურები ბრინჯაოსი (ორი ცალი), დამზადებულია ოვალურ-განივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. XVIII, 9).

48. სამაჯურები ბრინჯაოსი (ორი ცალი), დამზადებულია ოვალურ-განივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. XVIII, 10).

49. ჯაჭვი ბრინჯაოსი (ტაბ. XVIII, 11).

50. ბრინჯაოს დედალი დუგმები (სამი ცალი). (ტაბ. XVIII, 12).

51. მძივი სარდიონის სფერული ფორმის, ორმხრივ ნახვრეტიანი (ტაბ. XVIII, 13).

52. ძვლის კვერთხის ნაწილები (ტაბ. XVIII, 14).

53. ღორის ეშვი. შიდაპირი გათლილი აქვს.

სამარხი № 5. ინვენტარის განლაგების მიხედვით უნდა წარმოადგენდეს სწორკუთხა ორმოს. მიცვალებულის ძვლები ერთმანეთშია არეული. სამარხის აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ გამოვლინდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი. სამარხის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს გრძელი ჯაჭვი, რომლის ბოლოები მთავრდება ბრინჯაოს დედალი დუგმებით. ჯაჭვის გაყოლებით მოთავსებულია ბრინჯაოს ღილები, რომლებიც ჯაჭვთან ერთად დამაგრებული უნდა ყოფილიყო ტყავის ქამარზე (?), რომელიც წარმოადგენდა პორტუპეის.

ერთ ადგილას ბრინჯაოს ჯაჭვის ქვეშ, მენჯის ძვალთან აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილი, აქვე იყო ბრინჯაოს მშვილდსაკინძი (ფიბულა). დაახლოებით ამავე ადგილას აღმოჩნდა ღორის გახვრეტილი ეშვი და ბრინჯაოს ხვია.

ზემოთ აღნიშნული ნივთების გარდა სამარხში აღმოჩნდა თიხის ათი ჭურჭელი. ზოგიერთი მათგანი მოთავსებულია მიცვალებულის ძვლების ქვეშ.

54. ლანგარი ორყურა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირის ძირს მიუყვება ირიბი ნაჭდევი ხაზები, ჭურჭლის დანარჩენი ნაწილი ძირამდე დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირის კიდეს შემოუყვება ირიბი ნაჭდევი ხაზები (ტაბ. XIX, 1).

55. კოჭობი. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. არათანაბარი გამოწვის გამო მისი ზედაპირი დაფარულია ნაცრისფერი და მოყავისფრო ფერის ლაქებით (ტაბ. XIX, 2).

56. კათხა დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XIX, 3).

57. კათხა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XIX, 4).

58. კოჭობი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XIX, 5).

59. მახვილი ბრინჯაოსი მაღალი წვეტიანი ქუდით. ტარის ყელს ამკობს წნული რელიეფური ხაზები და დედალი დუგმების გამოსახულება პირს მიუყვება მკვეთრი ქედი. პირი ბოლოში გამსხვილებული (ტაბ. XIX, 6).

60. მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი (ტაბ. XIX, 7).

61. ხვია ბრინჯაოსი (ტაბ. XIX, 8).

62. სამაჯურები ბრინჯაოსი (სამი ცალი). ზედაპირი დაფარული აქვთ ხუთ ჯგუფად დატანილი ჭდეული ორნამენტით (ტაბ. XIX, 9).

63. სამაჯური ბრინჯაოსი. ზედაპირი შემკული აქვს რელიეფური წერტილების ოთხი რიგით (ტაბ. XIX, 10).

64. ღილები ბრინჯაოსი. ცხრა ცალი.

65. ღორის ეშვი სამნახვრეტიანი, შიდა ნაწილი წვერთან გათლილი აქვს.

სამარხი № 6. წარმოადგენს სწორკუთხა ორმოს. მიცვალებული დასვენებულია მარჯვენა გვერდზე.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი.

სამარხში აღმოჩნდა თიხის რვა ჭურჭელი, ბრინჯაოს მახვილი, ღორის გახვრეტილი ეშვი, ბრინჯაოს ხვია, დასავლეთ კედელთან ძვლის ისრისპირი.

66. კათხა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი ქვიშანარევი თიხისაგან. პირთან შემოუყვება რელიეფური სარტყელი (ტაბ. XX, 1).

67. კოჭობი. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ძირი დაფარული აქვს სპირალური ორნამენტით (ტაბ. XX, 2).

68. კათხა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, პირთან შემოუყვება სამი კონცენტრირებულად ამოღარული ხაზი (ტაბ. XX, 3).

69. ქოთანი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. მთელი მისი კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ამ ხაზების დატანის შემდეგ ყელის ძირი შეუმკიათ ირიბი ნაჭდევი ხაზებით. ასეთივე ხაზებით არის დაფარული ჭურჭლის ქვედა ნაწილი. ძირს ამკობს სპირალური ორნამენტი და ირიბი ხაზები (ტაბ. XX, 4).

70. კათხა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, პირთან შემოუყვება რელიეფური სარტყელი (ტაბ. XX, 5).

71. ქვაბქოთანა. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ჭურჭლის მთელი ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ყელის ძირს შემოუყვება (კონცენტრული ხაზების დატანების შემდეგ) ფრჩხილისებური ორნამენტი (ტაბ. XX, 6).

72. ლანგარი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირის ძირს ამკობს ირიბი ნაჭდევი ხაზები, მისი დანარჩენი ნაწილი ძირამდე დაფარულია კონცენტრული და ვერტიკალური ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით (ტაბ. XX, 7).

73. ჭილა. პატარა ზომის. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. მუცელს შემოუყვება მოკლე ირიბი, ნაჭდევი ხაზები. ჭურჭელს აკლია ძირი (ტაბ. XX, 8).

74. მახვილი ბრინჯაოსი, ტარის ყელი შემკული აქვს რელიეფური წერტილებით და დედალი დუგმის გამოსახულებით. ქედს მიუყვება ტალღისე-

ბურად ამოკაწრული ორი ხაზი, რომლებიც იწყება დედალი დუგმის გამოსახულებით, პირს ამკობს ოთხი (წყვილ-წყვილად) ამოკაწრული ხაზები, რომელთა თავშიც გამოსახულია დედალი დუგმები. პირი ბოლოში გამსხვილებულია და ამკობს წიწვოვანი ორნამენტი (ტაბ. XX, 9).

75. ხ ვ ი ა ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულის აგან.

76. ი ს რ ი ს პ ი რ ი ძვლის (ტაბ. XX, 10).

77. ღორის ეშვი. შიდაპირი წვერთან გათლილი აქვს, გახვრეტილია სამ ადგილას (ტაბ. XX, 11).

1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთი რაზმი აღნიშნულ სამაროვანზე გათხრით სამუშაოებს აწარმოებდა 1966 წელს, გავლებული თხრილის ჩრდილო და აღმოსავლეთ გაგრძელებაზე.

გაჭრილ იქნა თხრილი (16×5 მ) სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. თხრილის დასავლეთი კედელი შეუერთდა 1966 წელს გავლებული თხრილის აღმოსავლეთ კედელს. 0,40—0,65 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ექვსი ორმოსამარხი. აქედან სამი სამარხი ძლიერ დაზიანებულია. სამარხები წარმოადგენს სწორკუთხა ორმოებს, რომლებიც დამხრობილია დასავლეთის მიმართულებით. სამარხთა უმეტესობაში მიცვალებულთა ჩონჩხი დაზიანებულია და მათი პოზის დადგენა არ ხერხდება. იქ კი, სადაც ამის გარკვევა შესაძლებელი გახდა, მიცვალებულები წვანან მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით დასავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით.

ს ა მ ა რ ხ ი № 7 (ტაბ. XXI, 1). აღმოჩნდა თხრილის 50 კუთხე'ში დამხობილია W—O. სამარხი აღმოჩნდა 0,40 მ სიღრმეზე. მიცვალებულის ჩონჩხი დასვენებულია მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით W მიმართულებით. მისი ძვლები ერთმანეთშია არეული—ბარძაყის ძვლები შევარდნილია ნეკნებში, მარცხენა ხელი აღმოჩნდა ხერხემლის უკან.

სამარხში აღმოჩნდა კაჟის ერთი ჩასართი იარაღი, ღორის ეშვი და თიხის ჭურჭელი.

78. ჯ ა მ ი დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი ქვიშანარევი თიხისაგან, შემორჩენილია მისი გვერდის ფრაგმენტი და ძირი (ტაბ. XXI, 2).

78ა. კაჟის ჩასართი იარაღი (ტაბ. XXI, 3).

ს ა მ ა რ ხ ი № 8 (ტაბ. XXII, 1). აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სიგრძე—1,50 მ, სიგანე —1 მ. დამხრობილია W—O. სამარხში მიცვალებული და წვრილფეხა საქონლის ძვლები ერთმანეთშია არეული. მიცვალებულის თავის ქალა აღმოჩნდა სამარხის NW ნაწილში, ბარძაყის ძვალი O ნაწილში, მეორე ბარძაყის ძვალი კი № 6 და № 9 თიხის ჭურჭლებს შორის, ხოლო მენჯის ძვალი ჩავარდნილი იყო № 9 თიხის ჭურჭელში. მკლავის ძვალი აღმოჩნდა № 3 და № 6 თიხის ჭურჭლებს შორის.

სამარხის O და N კედლებთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები.

79. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით. h—0,6 მ, პირის d—0,10 მ, ძირის d—0,6 მ (ტაბ. XXII, 2).

80. დ ო ქ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით. მუცელზე შემოუყვება ღრმად ამოღარული კონცენტრული ხაზი.

81. ჭურჭელი ნაკლულია, შემორჩენილია პირისა და გვერდის ნაწილი, დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXII, 4).

82. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

83. დ ო ქ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით. მუცელზე შემოუყვება ღრმად ამოღარული კონცენტრული ხაზი, გოფრირებულ ორამენტსა და კონცენტრულად ამოღარულ ხაზს შორის, ნაპრალებში ორნამენტით დატანილია ერთმანეთში ჩამჯდარი სამკუთხედები (ტაბ. XXII, 5).

84. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, შიდაპირი (სარჩული) ნაცრისფერია. მისი მთელი კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ყელის ძირი კონცენტრულად ამოღარული ხაზების შემდეგ შემკულია ირიბი ხაზებით (ტაბ. XXII, 6).

სამარხი № 9 აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სამარხი ხვნის შედეგადაა განადგურებული. შემორჩენილია ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები (ბარძაყის დაშლილი ძვლები და ნეკნები) და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

85. თიხის ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

ს ა მ ა რ ხ ი № 10 (ტაბ. XXIII, 1). აღმოჩნდა თხრილის დასავლეთ კედელთან. სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და საქონლის ძვლები. ისინი ერთმანეთშია არეული. თიხის ჭურჭლის ნატეხებში ვხვდებით როგორც გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ისე გვიანი პერიოდის (ფეოდალური?) თიხის ჭურჭლის ნატეხებს. სამარხი დაზიანებული უნდა იყოს ხვნის დროს. აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ აღმოჩნდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი.

86. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ჭურჭელი დაზიანებულია, მისი აღდგენა არ მოხერხდა.

87. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით (ტაბ. XXIII, 2).

88. ლ ა ნ გ ა რ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

89. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით (ტაბ. XXIII,3).

90. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

91. შემორჩენილია თიხის ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი. ყელი შემკულია გოფრირებული ორნამენტით. მუცელს შემოუყვება კონცენტრულად ამოღარული ხაზი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXIII, 4).

92. ღორის ეშვის ფრაგმენტი.

ს ა მ ა რ ხ ი № 11 (ტაბ. XXIV, 1). აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში. დამხრობილია N—O, სიგრძე—1,50 მ, სიგანე—1,15 მ. მიცვალებულის ზუსტი პოზის დადგენა არ ხერხდება, მისი ძვლები ერთმანეთშია არეული. სამარხში აღმოჩნდა თიხის თერთმეტი ჭურჭელი და ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი. სამარხის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

93. ლ ა ნ გ ა რ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭელი დაზიანებულია და მისი აღდგენა არ მოხერხდა.

94. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭელი ნაკლულია, შემორჩენილია მისი გვერდისა და ძირის ფრაგმენტები (ტაბ. XXIV, 2).

95. ქ ო თ ა ნ ი, დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭელი დაზიანებულია და მისი აღდგენა არ მოხერხდა.

96. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირს ზემოდან შემოუყვება ორი ამოღარული ხაზი. ყელის ძირს აქვს ფრჩხილისებური ორნამენტი, მუცელს—კონცენტრულად ამოღარული ხაზი (ტაბ. XXIV, 3).

97. დ ო ქ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

98. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. მუცლის არეში შემოუყვება რელიეფური სარტყელი. აღდგენა არ მოხერხდა.

99. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXIV, 4).

100. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირთან შემოუყვება რელიეფური სარტყელი (ტაბ. XXIV, 5).

101. კ ა თ ხ ა. დამ ზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვან ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXIV, 6).

102. ს ა ტ ე ვ ა რ ი ბრინჯაოსი, ორი სატარე მანჭვლით. პირს მოუყვება მკვეთრი ქედი. სიგრძე—0,17 მ (ტაბ. XXIV, 7).

103. ღორის ე შ ვ ი.

ს ა მ ა რ ხ ი № 12. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. დამხრობილია SW—NO. მიცვალებულის ჩონჩხი ესვენა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ ნაწილში, თავით SW მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით. ხელებზე წამოცმული ჰქონდა ბრინჯაოს თითო სამაჯური.

მიცვალებულის ყელის არეში აღმოჩნდა სარდიონის ცხრამეტი მძივი, ამავე ადგილას აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯაჭვი.

სამარხში აღნიშნული ნივთების გარდა, აღმოჩნდა თიხის რვა ჭურჭელი.

104. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ჭურჭლის მთელი კორპუსი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი — სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

105. დ ო ქ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXV, 1).

106. ჯ ა მ ი. დამზადებულია ლეგა ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილ-მარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXV, 2).

107. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXV, 3).

108. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლონი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXV, 4).

109. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით, მუცელს შემოუყვება კონცენტრულად ამოღარული ხაზი, ძირი წიბოიანია (ტაბ. XXV, 5).

110. დ ო ქ ი. დამზადებულია მოწითალოდ გამომწვარი სუფთად განლექილი თიხისაგან. მუცლის არეში შემოუყვება სამი კონცენტრულად ამოღარული ხაზი (ტაბ. XXV, 6).

111. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. აღდგენა არ მოხერხდა.

112. ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ბრინჯაოსი, დამზადებულია ოვალურ-განივკვეთიანი მსხვილი მავთულისაგან. ბოლოები გაბრტყელებულია და ერთმანეთზე აქვს გადადებული (ტაბ. XXV, 7).

113. ჯ ა ჭ ვ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XXV, 8).

114. მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონის სფერული და კასრისებური ფორმის (ტაბ. XXV, 9).

სოფ. თეთრწყლებში გამოვლენილი სამაროვანი სისტემატურად განიცდიდა ნგრევას საცხოვრებელი სახლების და სხვადასხვა მიწის სამუშაოების შედეგად, ამიტომ 1974 წელს აქ კვლავ ჩატარდა სამუშაოები და სამაროვანი ფაქტიურად მთლიანად გაითხარა. სამუშაოები გაგრძელდა გათხრილი კვადრატების აღმოსავლეთით.

1966 წელს გავლებული თხრილის გაგრძელებაზე მის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გაჭრილ იქნა თხრილი. სიგრძე —13,10 მ, სიგანე —5,40 მ, 0,30—0,40 მ სიღრმეზე გამოვლენილ იქნა შვიდი ორმოსამარხი. სამარხთა უმეტესობა ხვნის შედეგადაა განადგურებული.

ს ა მ ა რ ხ ი № 13 (ტაბ. XXVI, 1). აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დამხრობილია O—W. მიცვალებულის პოზის დადგენა არ ხერხდება, რადგან მისი და საქონლის ძვლები ერთმანეთშია არეული.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ცხრა ჭურჭელი, ბრინჯაოს დედალი დუგმები

№ 5, №4 და №3 თიხის ჭურჭლებს შორის. ბრინჯაოს რგოლი სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბრინჯაოს სამი რგოლი, № 2 და № 3 თიხის ჭურჭლებთან ახლოს, № 6 ჭურჭელზე პასტის მძივები, № 6 ჭურჭელზე სარდიონის ხუთი მძივი, დანარჩენი ორი № 3 და № 4 ჭურჭლებთან ახლოს.

115. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

116. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ყელის ძირს შემოუყვება ირიბი ნაჭდევი ხაზები, ძირს სპირალური ორნამენტი.

117. კ ა თ ხ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ძირი დაფარულია სპირალური ორნამენტით, ყელს ამკობს გოფრირებული ორნამენტი.

118. ლ ა ნ გ ა რ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, პირის ძირი ირიბი, ნაჭდევი ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

119. კ ო ჭ ო ბ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. მუცელი კონცენტრალურად ამოღარული ხაზების შემდეგ შეუმკიათ ირიბი, ნაჭდევი ხაზებით.

120. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლიანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ნაჭდევი ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

121. კ ო ჭ ო ბ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

122. ბრინჯაოს დედალი დუგმები დამზადებულია მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან.

123. ბრინჯაოს დედალი დუგმები (ტაბ. XXVI, 11).

124. რგოლი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVI, 12).

125. მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონის კასრისებური და სფერული ფორმის (ტაბ. XXVI, 13).

126. მ ძ ი ვ ე ბ ი პასტის (ტაბ. XXVI, 14).

ს ა მ ა რ ხ ი № 14 (ტაბ. XXVI, 4). კენოტაფი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო ნაწილში, სიგრძე—1მ, სიგანე—0,70 მ. სამარხში გამოვლენილი თიხის შვიდი ჭურჭელი ძლიერ დაზიანებულია.

127. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXVI, 1).

128. კ ო ჭ ო ბ ი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXVI, 2).

129. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXI, 3).

130. ჭურჭელი ნაკლულია, დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

131. ლ ა ნ გ ა რ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია ოდნავ შესამჩნევი კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

132. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

133. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

ს ა მ ა რ ხ ი № 15 (ტაბ. XXVI, 5). კენოტაფი, აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ისევე როგორც № 14 სამარხში, აქაც გამოვლინდა თიხის შვიდი ჭურჭელი.

სამარხში თიხის ჭურჭლებს გარდა აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლები და ბრინჯაოს დედალი დუგმის ფრაგმენტები № 5 ჭურჭლის ამოღების დროს, ძირზე აღმოჩნდა სარდიონის და პასტის მძივები.

134. ლანგარი დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირს ზემოდან შემოუყვება ორი ტალღისებური ხაზი მუცელს ნაკლებად შესამჩნევი კონცენტრული ხაზები (ტაბ. XXVI, 6).

135. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

136. კ ა თ ხ ა. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

137. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

138. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

139. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

140. კ ა თ ხ ა. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

141. ბრინჯაოს დედალი დუგმის ფრაგმენტები (ტაბ. XXVI, 8).

142. რ გ ო ლ ე ბ ი ბრინჯაოსი, დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. XXVI, 9).

143. მ ძ ი ვ ე ბ ი სარდიონის, სფერული და კასრისებური ფორმის (ტაბ. XXVI, 10).

144. მ ძ ი ვ ე ბ ი პასტის, მრგვალ-ბრტყელი (ტაბ. XXVI, 11).

ს ა მ ა რ ხ ი № 16. დაზიანებულია. შემორჩენილია თავის ქალის და ბარძაყის ძვლის ფრაგმენტები (ტაბ. XXVII, 1).

ბარძაყის ძვლებთან გამოვლინდა ბრინჯაოს ჯაჭვი, ამავე ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლი.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი.

145. დ ო ქ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით (ტაბ. XXVII, 2).

146. კ ო ჭ ო ბ ი. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან (ტაბ. XXVII, 3).

147. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

148. ჯ ა მ ი, დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. პირთან შემოუყვება კონცენტრულად ამოღარული ხაზი. ალდგენა არ მოხერხდა.

149. რ გ ო ლ ი. ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. XXVII, 4).

150. ჯ ა ჭ ვ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVII, 5).

სამარხი № 17, აღმოჩნდა 1972 წელს გავლებული თხრილის ნაწილში. სამარხი მთლიანად განადგურებულია შემორჩენილია თიხის ორი ჭურჭლის ფრაგმენტი და ცხვრის მთლიანი ჩონჩხი.

151. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

152. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

სოფ. თეთრწყლების სამაროვნის საზღვრების დასადგენად 1974 წელს, კლუბის ეზოში გავლებულ იქნა სადაზვერვო თხრილები სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს, რის შედეგადაც 1972 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების გვერდზე მის დასავლეთ მხარეს 0,42 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ორი სამარხი № 18 და № 19.

ს ა მ ა რ ხ ი № 18 (ტაბ. XXVII, 2). დამხრობილია W—O სიგრძე—1,80 მ, სიგანე—1,20 მ. სამარხი დაზიანებულია—მის ცენტრალურ ნაწილს კარგად ემჩნევა ორმოს კვალი, რომელიც ხის ბოძისათვის იყო განკუთვნილი. ამ ორმოს ამოღების დროს დაზიანდა სამარხის ცენტრალური ნაწილი. მიცვალებული დასვენებულია მარცხენა გვერდზე თავით—W. სამარხის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა მენჯის ძვლის ფრაგმენტი, რომელზეც გადასულია ბრინჯაოს ჯანგი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბარძაყის ძლიერ დაზიანებული ძვლები.

მიცვალებულის ნეკნებს გარედან შემოუყვება ორმაგი ბრინჯაოს ჯაჭვი, რომლის ბოლოები მთავრდება იქ, სადაც იწყება ბოძისათვის ამოღებული ორმოს კვალი. აქვე აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის ძვლის ფრაგმენტი, რომელზედაც გადასული იყო ბრინჯაოს ჯანგი.

მიცვალებულის მენჯის ძვლის ფრაგმენტთან აღმოჩნდა ბრინჯაოს წვრილი ჯაჭვი, სიგრძე — 0,10 მ, პორტუპეის ჯაჭვებს შორის ბრინჯაოს ღილები, სამარხის ჩრდილოეთ მხარეს ბრინჯაოს სამაჯურით, მიცვალებულის ნეკნების არეში გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთის ფრაგმენტი.

№ 18 სამარხში, ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების გარდა, აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი.

153. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი სუფთად განლექილი თიხისაგან, ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

154. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვ-

ლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი — სპირალური ორნამენტით.

155. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

156. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

157. რკინის ნივთის ფრაგმენტი (ტაბ. XXVII, 15).

158. ბრინჯაოს დედალი დუგმები (ტაბ. XXVII, 6).

159. სამაჯური ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან, ზედაპირი დაფარული აქვს წიწვოვანი ორნამენტით (ტაბ. XXVII, 7).

160. ჯ ა ჭ ვ ი ბრინჯაოსი, დამზადებულია წვრილი მავთულისაგან, სიგრძე—0,10 მ (ტაბ. XXVII, 8).

161. ღ ი ლ ე ბ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVII, 9).

162. ჯ ა ჭ ვ ი ბრინჯაოსი (პორტუპეი) (ტაბ. XXVII, 10).

ს ა მ ა რ ხ ი № 19 (ტაბ. XXVIII, 1). სიგრძე—1,75 მ, სიგანე—1,30 მ. დამხრობილია W—O. მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დასვენებულია მარცხენა გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდილო-დასავლეთით. ბრინჯაოს ჯაჭვი მიცვალებულს ყელზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ჯაჭვთან მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა პასტის მრავალწახნაგა მძივები. სამარხში მოთავსებული თიხის რვა ჭურჭელი განლაგებულია მიცვალებულის ჩონჩხის წინ.

163. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

164. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია შავად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

165. დ ო ქ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

166. დ ო ქ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით.

167. დოქი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ყელი დაფარული აქვს გოფრირებული ორნამენტით.

168. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

169. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

170. კ ო ჭ ო ბ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

171. კ ო ჭ ო ბ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

172. ს ა ვ ა რ ც ხ ე ლ ი ძვლის (ტაბ. XXVIII, 6).

173. მ ძ ი ვ ე ბ ი პასტის ექვსწახნაგა (ტაბ. XXVIII, 7).

174. მ ა ხ ა თ ი ბრინჯაოსი. სიგრძე—0,19 მ (ტაბ. XXVIII, 10).

175. ჯ ა ჭ ვ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII, 11).

1974 წელს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მესამე რაზმმა გათხრითი სამუშაოების გარდა ჩაატარა დაზვერვები სოფ. თეთრწყლების ტერიტორიაზე და მის შემოგარენში. დაზვერვების შედეგად მიკვლეულ იქნა სამაროვანი სოფლის სამხრეთ მხარეს ადგილ «ნაშალზე» (ბუთულათ ადგილი). ეს ადგილი მდებარეობს მთის ფერდობზე და მთიდან მოვარდნილი ნიაღვრების შედეგად მთელი მისი ფართობი დასერილია პატარა ხევებით. გაჭრილ იქნა სადაზვერვო თხრილი (ტაბ. XXIX, 1). სიგრძე—7,75მ, სიგანე—0,40 მ, 0,20 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა ოთხი სამარხი, რომელთა უმეტესობა განადგურებულია.

ს ა მ ა რ ხ ი № 1 (ტაბ. XXIX, 2). დამხრობილია SO—NW ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია მიცვალებულის კბილები და ბარძაყის ძვლები.

სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილი, ღორის ეშვი, ბრინჯაოს ჯაჭვი და თიხის ექვსი ჭურჭელი.

176. შემორჩენილია ძირის ფრაგმენტები. იგი უნდა წარმოადგენდეს დერგს. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

177. დ ო ქ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

178. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

179. დ ო ქ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ძირი დაფარულია სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

180. კ ა თ ხ ა დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

181. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

182. მ ა ხ ვ ი ლ ი ბრინჯაოსი. მთლიანდასხმული, ტარის ქუდი წვეტიანია. ტარის ყელი შემკულია რელიეფური წერტილებით, რომლებიც მთავრდება დედალი დუგმების გამოსახულებებით. მხრები ამოკვეთილი სპირალითაა დაფარული. ქედს მიუყვება ამოკაწრული სპირალები, რომელთა თავში ამოკ-წრულია დედალი დუგმა. პირს მიუყვება წყვილ-წყვილად ამოკაწრული ორი ხაზი. მახვილს აკლია პირის ნაწილი (ტაბ. XXIX, 3).

183. ღორის ეშვი. გახვრეტილია სამ ადგილას. შიდა პირი წვერთან გათლილი აქვს (ტაბ. XXIX, 4).

184. ჯ ა ჭ ვ ი ბრინჯაოსი (ტაბ. XXIX, 5).

ს ა მ ა რ ხ ი № 2 (ტაბ. XXVIII, 2). დამხრობილია NW—SO. სამარხში აღმოჩნდა თიხის ცხრამეტი ჭურჭელი. თითქმის ყველა ჭურჭელი წარმოადგენს ჭოთანს, რომელთა უმეტესობა გამომწვარია ნაცრისფრად.

სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები. მსხვილფეხა საქონლის ძვლებთან აღმოჩნდა ადამიანის ქვედა საძირე კბილი, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მიცვალებული მოთავსებული იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ხევის წყლის მიერ არის წაღებული.

185. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად, ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

186. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

187. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

188. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ნაჭდევი ხაზებით, აღდგენა არ მოხერხდა.

189. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

190. ქ ო თ ა ნ ი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ყელის ძირი კონცენტრულად ამოღარული ხაზების შემდეგ შეუმკიათ ირიბი, ნაჭდევი ხაზებით.

191. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

192. დ ე რ გ ი. დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

193. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

194. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ყელის ძირი ირიბი, მოკლე, ნაჭდევი ხაზებით. ძირი სპირალური ორნამენტით.

195. დ ე რ გ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ყელის ძირს შემოუყვება ოთხი კონცენტრულად ამოღარული ხაზი.

196. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული უნდა იყოს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, აღდგენა არ მოხერხდა.

197. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამოღარული ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

198. ქ ო თ ა ნ ი. დამზადებულია წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

199. ქ ვ ა ბ ქ ო თ ა ნ ა. ზედაპირი დაფარული აქვს კონცენტრულად ამო-

ღარული ხაზებით, ყელის ძირი ირიბი, მოკლე, ნაჭდეკი ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით.

200. ქვაბქოთანა. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ყელის ძირი, კონცენტრულად ამოღარული ხაზების შემდეგ, შეუმკიათ მოკლე ირიბი, ნაჭდევი ხაზებით.

201. ქოთანი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. აღდგენა არ მოხერხდა.

202. ქოთანი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

203. ქოთანი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული და ირიბი ხაზებით, ძირი სპირალური ორნამენტით. აღდგენა არ მოხერხდა.

სამარხი № 3 (ტაბ. XXVIII, 3). ძლიერ დაზიანებული მიცვალებულის თავის ქალის ფრაგმენტი და ზედა კიდურის ძვალი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ მხარეს.

სამარხში აღმოჩნდა თიხის ოთხი ჭურჭელი და ბრინჯაოს ორი რგოლის ფრაგმენტი.

204. დერგი. დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. მუცელს შემოსდევს მოკლე, ირიბი, ნაჭდევი ხაზები, ასეთივე ხაზები აქვს ჭურჭლის ძირის კიდეს.

205. დოქი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. მუცელს შემოუყვება ოთხი კონცენტრულად ამოღარული ხაზი.

206. ქვაბქოთანა. დამზადებულია შავად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. მუცელი კონცენტრულად ამოღარული ხაზების შემდეგ შეუმკიათ მოკლე, ირიბი ნაჭდევი ხაზებით.

207. დოქი. დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. აღდგენა არ მოხერხდა.

სამარხი № 4. ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილია მიცვალებულის ნეკნები და მსხვილფეხა საქონლის ძვლები — სამარხის ცენტრალურ ნაწილში. ამავე ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჯაჭვის ფრაგმენტი.

სამარხში შემორჩენილია თიხის სამი ჭურჭლის ფრაგმენტი.

208. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

209. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია მოყავისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

210. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი დამზადებულია ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან.

211. ჯაჭვი ბრინჯაოსი. ფრაგმენტი.

სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი.

თეთრწყლების სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები წარმოადგენენ ორმოსამარხებს (1,60×1მ; 1,50×1მ; 1,40×1მ, 1×0,70მ), რომლებიც დამხრობილია ხშირ შემთხვევაში W—O. სამარხთა უმეტესობა ხვნის შედეგადაა განადგურებული, რის გამოც მიცვალებულთა დაკრძალვის პოზა არ დგინდება. იქ, კი, სადაც ამის გარკვევა შესაძლებელი გახდა, მიცვალებულები წვანან მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით.

მიცვალებულთა დაკრძალვის ანალოგიური წესი სამთავრო სამაროვანზეა დადასტურებული. [2, გვ. 74]. იგივე წესი ფართოდაა გავრცელებული შიდა ქართლის სხვა ძეგლებზეც (არმაზის ხევი, ნარეკვავი, ხოვლე, დვანი, კასპი და სხვა). [3, გვ. 34]. სქესის მიხედვით არის დაკრძალული მიცვალებულები მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ჩრდილო კავკასიის ძეგლებშიც. [2, გვ. 55].

თეთრწყლების სამაროვანზე გვხვდება სამარხები მიცვალებულის გარეშე, ე. წ. სამახსოვრო სამარხები—კენოტაფები (1974 წ. სამარხი №№ 14 და 15, ტაბ. XXVI, 4, 5).

ამგვარი სამარხები კეთდებოდა გვარის იმ წევრებისათვის, რომლებიც დაიღუპნენ ან უკვალოდ დაიკარგნენ უცხო მხარეში. დაკრძალვის მსგავსი ფორმები არსებობდა — სამთავროს, ქისტაურის, წოფის, გულგულის, ბაკურციხის, ნასადგომარის, მელაანის, კასპის და სხვა მრავალ სამაროვანზე. აღსანიშნავია, რომ სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თითქმის უკანასკნელ ხანებში შემორჩენილი იყო კენოტაფების გამართვის წეს-ჩვეულება. [5, გვ. 42—43]. დღეს სამახსოვრო საფლავების გამართვის წესი შემორჩენილია მთათუშეთში და სხვა [6, გვ. 80].

როგორც ცნობილია ზოგიერთ სამაროვანზე შემჩნეულია წარჩინებული მამაკაცების სამარხთა უბნების გამოყოფა [7, გვ. 34]. ამგვარი უბნის არსებობას ვარაუდობდა კ. ფიცხელაური თეთრწყლების სამაროვანზე [6, გვ. 84].

1972 და 1974 წლის გათხრებმა დაგვანახა, რომ თეთრწყლების სამაროვანზე ამგვარი უბნის არსებობა სათუოა, ვინაიდან 1966 წელს გავლებული თხრილის ჩრდილო და აღმოსავლეთ გაგრძელებაზე მიკვლეულია მდიდრული სამარხები (№№ 10, 11, 12,—1972წ. № 16 და 18—1974 წ.). (სამარხები ხვნის შედეგადაა განადგურებული), რომლებიც 1966 წელს გათხრილი სამარხებიდან მოშორებით გამოვლინდა რიგით სამარხებს შორის.

თეთრწყლების სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა

თეთრწყლების სამარხები უმრავლეს შემთხვევაში ერთგვაროვან ინვენტარს შეიცავენ, რომლებიც დანიშნულებისა და მოხმარება-გამოყენების პრინციპის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. კ ე რ ა მ ი კ ა, 2. ს ა მ კ ა უ ლ ი და შინამოსაქმეობის საგნები, 3. ი ა რ ა ღ-ს ა ჭ უ რ ვ ე ლ ი.

აღნიშნული სამაროვნის თიხის ნაწარმისათვის დამახასიათებელია წვრილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული თხელკედლიანი თიხის ჭურჭელი, რომელიც გამომწვარია შავად, ყავისფრად ან ნაცრისფრად. ჭურჭელი, როგორც წესი, სამეთუნეო მორგვზეა დამზადებული.

თიხის ჭურჭლის ფორმებიდან წამყვანია პატარა და მოზრდილი ზომის ქოთ-

ნები, რომელთა ზედაპირი დაფარულია კონცენტრულად ამოღარული ხაზებით. მხრებს კონცენტრულად ამოღარული ხაზების დატანის შემდეგ ამკობს გრძელი, ირიბი ნაჭდევი ხაზები, ძირს—სპირალური ორნამენტი (ტაბ. XV; 7; XXII, 6). ამგვარი თიხის ჭურჭელი დამახასიათებელია მხოლოდ მდ. ალაზნის ზემო დინებისათვის და ემთხვევა IV ვ ქვეტიპის ბრინჯაოს მახვილების გავრცელების საზღვრებს (8, გვ. 70—71). ანალოგიური თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია—სოფ. ქისტაურში, ყვარელწყალში, არგოხში, ნამოსახლარებზე—«ილტოზე», «ფოხორაულებში» (1, გვ. 100) და სხვა.

თეთრწყლების სამაროვანზე გამოვლენილ თიხის ნაწარმში მოხმარებადანიშნულების მიხედვით სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: 1. სუფრის ჭურჭელი—დოქი, კათხა, ლანგარი, ჯამი და სხვა. 2. სანოვაგის შესანახი—დერგი, 3. სამზარეულო ჭურჭელი—ქოთანი, ქვაბქოთანა.

თეთრწყლების სამაროვანზე მოპოვებული სამკაული წარმოდგენილია მძივებით, სამაჯურებით და ერთი საკინძით.

მძივები—თეთრწყლების სამარხებში საკმაო რაოდენობით იქნა აღმოჩენილი. მასალად გამოყენებულია სარდიონი, თეთრი და ცისფერი პასტა.

სარდიონის მძივები (ტაბ. XVIII, 13, XXVI, 10, XXVI, 13) რამდენიმე ტიპისაა: სფერული, მრგვალ-ბრტყელი, ცილინდრული, შინდისებური და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი მძივები გახვრეტილია როგორც ორმხრივად, ისე ცალმხრივად.

როგორც ცნობილია, სარდიონის სფერული (ბირთვისებური) მძივები გავრცელებული იყო დროის ფართო მონაკვეთზე. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი აღმოჩენილია, როგორც შუაბრინჯაოს ხანის ისე გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე—თრიალეთი (9, გვ. 9—10), ეშერი (11, გვ. 178—179), ნოსირი (11, გვ. 133), სამთავრო (12, გვ. 133).

თეთრწყლების სამაროვანზე აღმოჩენილი პასტის მძივებიდან (ტაბ. XXVI, 14, XXVI, 11) აღსანიშნავია: ცილინდრული, ღილის და სფერული ფორმის მძივები. თეთრი პასტის ცილინდრული ფორმის მძივები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია ადრებრინჯაოს ხანიდან (ქვაცხელა) (12, გვ. 42—43). განსაკუთრებით მრავლადაა ისინი აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს და ადრე რკინის ხანის ძეგლებზე.

სამაჯურები ბრინჯაოსი (ტაბ. XVI, 8; XIX, 9, 10). თეთრწყლების სამაროვანზე გამოვლენილი სამაჯურები რამდენიმე ტიპისაა: თავგახსნილი, ერთმანეთზე თავგადადებული რგოლებით, მრგვალი ბრტყელი მასიური სამაჯურები, ჰდფულზედაპირიანი და სხვა.

საკინძი ბრინჯაოსი. აღმოჩნდა 1966 წელს გათხრილ № 5 სამარხში. იგი მიეკუთვნება ე. წ. «მშვილდსაკინძეების» ტიპს (ტაბ. XIX, 7) ფორმით ის ადრეულ მშვილდსაკინძეებს უახლოვდება, ხოლო მისი გოფრირებული ორნამენტი მის მოგვიანო ხასიათზე მიუთითებს.

შინამოსაქმეობის საგნები. ამ კატეგორიის ნივთებიდან აღსანიშნავია ნემს-მახათები. მათი ერთი ნაწილი დამზადებულია ძვლისაგან (ტაბ. XV, 17), მეორე ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან (ტაბ. XXVIII, 10), თავთან მრგვალი ან ოვალური ნახვრეტით.

იარაღ-საჭურველი

თეთრწყლების სამაროვანზე აღმოჩენილი იარაღი ნაკეთებია ბრინჯაოს, რკინისა და ძვლისაგან. საბრძოლო დანიშნულების მიხედვით ისინი რამდენიმე ჯგუფად იყოფიან:

1. სა ჩ ე ხ-სა ძ გ ე რ ე ბ ე ლ ი იარაღი—სატევარი, დანა, შუბისპირი (ტაბ. XV, 14, 16; XVI, 10).

2. სა ტ ყ ო რ ც ნ ი იარაღი—ისრისპირი (ტაბ. XV, 18; XVII, 8, XX, 10)

3. სა ჩ ე ხ ი იარაღი—მახვილი (ტაბ. XV, 9; XVIII,8; XIX,6; XX, 9; XXIX, 3).

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ სამაროვანზე გამოვლენილ ბრინჯაოს მახვილებს, რომლებიც კ. ფიცხელაურის მიერ გამოყოფილი IV_3 ქვეტიპის მახვილების ჯგუფს მიეკუთვნება [8, გვ. 187].

ამ მახვილების ტარის ქუდები სხვადასხვაგვარია: მაღალი, წვეტიანი და დაბალი. ყველა ისინი დაფანჯრული სამკუთხედებითაა შემკული. ტარის ყელი მდიდრულადაა ორნამენტირებული — რელიეფურ-სპირალები; წნული ხაზები და ხაზები წერტილებისაგან, დედალი დუგმის გამოსახულებებით. მხრები ამოკვეთილი გადაბმული სპირალითაა შემკული. ასეთივე სპირალებითაა შემკული მახვილების პირი. პირს აგრეთვე ამკობს სპირალური და ტალღური ხაზები, დედალი დუგმის გამოსახულებები და სტილიზებული ცხოველები. მახვილების ბოლო მთავრდება გამსხვილებული კუთხით, რომელიც წიწვოვანი სახეებითაა შემკული. შემკულობა ყოველთვის დატანილია ერთი სქემით.

ეს მახვილები ძირითადად მდ. ალაზნისა და ივრის ზედა დინებაშია გავრცელებული (თელავის და ახმეტის რაიონები). ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ამავე ქვეტიპის სხვა მახვილებისაგან, რაც საშუალებას იძლევა მათი გავრცელების ტერიტორია ცალკე საწარმოო ერთეულად მივიჩნიოთ. [8, გვ. 71].

თეთრწყლების სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილი ლითონის ნივთები ძირითადად ბრინჯაოსაგანაა დამზადებული. მხოლოდ 1966 წელს გათხრილ № 1 სამარხში აღმოჩნდა რკინის სამი ნივთის ნატეხი (დანა, შუბისპირი), ხოლო № 4 სამარხში ბრინჯაოს მახვილის ტარზე რკინის ჟანგი, რკინის ნივთის უსახო ფრაგმენტი აღმოჩნდა აგრეთვე 1974 წელს გათხრილი სამარხ № 18-ში. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ თეთრწყლებში აღმოჩენილი სამარხები და მათი კუთვნილი ინვენტარი განვითარების იმ პერიოდით უნდა დავათარიღოთ, როდესაც რკინა ჯერ კიდევ არ არის ფართო ხმარებაში შემოსული ე. ი. უნდა მივაკუთვნოთ ადრეული რკინის ხანას [6, გვ. 187].

ამგვარად, როგორც ზემოთ აღწერილი მასალის განხილვის დროს დავინახეთ, სოფ. თეთრწყლებში გამოვლენილი ორივე სამაროვნის ყველა სამარხი მსგავს მასალას შეიცავს და დაახლოებით თანადროულია და პირველი ექვსი სამარხის მსგავსად ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს.

В. Г. МАЙСУРАДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В СЕЛЕ ТЕТРИЦКЛЕБИ

(Таблицы XV—XXIX)

Резюме

Село Тетрицклеби расположено недалеко от Гомборского перевала. Позднебронзовый могильник сел. Тетрицклеби известен с 1949 года. Особенно большой интерес вызвал он в 1953 году, когда в центре села во время строительства электростанции нашли большое количество бронзового оружия, глиняной посуды и украшений.

В 1966, 1972 и 1974 годах Кахетская археологическая экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР раскопала девятнадцать погребений, они представляли собой грунтовые погребения (1,60×1 м; 1,50×1 м; 1,40×1 м), в большинстве случаев ориентированные W—0. Бóльшее количество могил пострадало от пахотных работ и поэтому не удалось установить позу погребенного. В тех погребениях, которые пострадали меньше, видно, что покойник лежал на правом или левом боку.

В могильнике встречаются погребения без покойника —кенотафы.

Для глиняных изделий могильника характерна глиняная посуда, изготовленная из мелкозернистой с примесью песка глины, с тонкими стенами, выжженная в черный, коричневый или серый цвет. Среди форм глиняной посуды главное место занимают маленькие и побольше размером глиняные горшки, поверхность которых покрыта концентрически выцарапанными линиями.

Украшения, выявленные на могильнике, представлены бусами (сердолик, белая и голубая паста), браслетами и одной булавкой. На могильнике было найдено также большое количество бронзового оружия, железа и кости. Изделия из металла в основном бронзовые, лишь в погребении № 1 нашли три обломка железных предметов (нож и наконечник копья), в погребении № 4 на рукоятке бронзового кинжала обнаружили железную ржавчину. Фрагмент железного предмета нашли в погребении № 18. Все это указывает, что погребения в Тетрицклеби с принадлежащим им инвентарем относятся к периоду, когда железо применяется еще не очень широко, т. е. к периоду раннего железа.

В 1974 году, кроме стационарных раскопок, экспедиция провела также разведки на территории села Тетрицклеби и его окрестностях, где обнаружила могильник на юге села, в местечке «Нашали». Здесь расчищено четыре погребения.

Оба могильника, обнаруженные в Тетрицклеби, принадлежат приблизительно к одному и тому же периоду — концу II и началу I тысячелетия до н. э.

ციტირებული ლიტერატურა

1. К. Н. Пицхелаури, Итоги исследования памятников эпохи поздней бронзы — раннего железа. Труды кахетской археологической экспедиции, т. I, 1969.
2. ალ. კალანდაძე, სამართხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი სამთავროს უძველეს სამაროვანზე (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი), თბ., 1947.

3. მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი; მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV.
4. А. П. Круглов, Северо-восточный Кавказ во II—I тысяч. дон. э. МИА-67, 1958.
5. Б. Э. Деген-Ковалский, Сванское селение как исторический источник, СЭ, 1936, № 4—5.
6. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), 1973.
7. გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბილისი, 1974.
8. კ. ფიცხელაური, ორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., 1965.
9. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1960.
10. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949.
11. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.
12. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962.

ნ. მამაიაშვილი

სკვითურინვენტარიანი სამარხები იორ-ალაზნის აუზიდან

(ტაბ. XXX—XXXI)

ე. წ. სკვითური ინვენტარი იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიიდან არც თუ ისე მცირე რაოდენობითაა ცნობილი, მაგრამ მისი უმეტესობა შემთხვევითი აღმოჩენების შედეგადაა შეგროვილი და მუზეუმებში თუ კერძო პირთა კოლექციებშია დაცული.

ბოლო დრომდე სკვითურად წოდებული ბრინჯაოს ერთადერთი ისრისპირი აღმოჩენილი იყო იყალთოში გათხრილ ერთ-ერთ ორმოსამარხში დაკრძალული მიცვალებულის მენჯში შერჭობილი, დანარჩენების აღმოჩენის ადგილიც კი ზუსტად არ არის დადგენილი. მხოლოდ 60-იან წლებში სოფ. ჩალაუბანთან ე. წ. «მოჭრილ გორაზე» ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგად ნამოსახლარის ზედა, დამწვარ ფენაში აღმოჩნდა ამ ტიპის ბრინჯაოს მრავალი ისრისპირი (1, ტაბ. V). ასევე დამწვარ სამლოცველოსთან სოფ. მელაანში აღმოჩნდა ასეთივე ბრინჯაოს ისრისპირები. ამის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ არ არის გამორიცხული ამ ნამოსახლარის, მისი თანადროული სამლოცველოსა და საერთოდ ამ მხარეში ამ პერიოდის ძეგლების განადგურებაში სკვითური იარაღით აღჭურვილ მეომრებს ან თვით სკვითებსაც კი მიეღოთ მონაწილეობა (2, გვ. 103-109, ტაბ. XXVIII_2). შედარებით გვიან, ძვ. წ. 1 ათასწლეულის მეორე ნახევარში ივრისა და ალაზნის ველზე სკვითური იარაღით აღჭურვილი მეომრების არსებობაზე პირდაპირ მიუთითებს 70-იან წლებში, როგორც ივრის ხეობაში ისე ალაზნის ველზე შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს მინდორში, «სკვითური» ინვენტარის შემცველი ცხენიან მეომართა განმარტოებით მდებარე სამარხების აღმოჩენა.

1973 წ., ალაზნის ველის № 1 გორასამარხის დასავლეთით, დაახლოებით 1 კმ მანძილზე, ალაზნის ვაკეზე, მდინარის მარჯვენა ნაპირიდან 1,5—2 კმ დაცილებით, წნორის მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე მშენებლებმა სამარხი დააზიანეს, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები სამარხის გადარჩენილი ნაწილის შესასწავლად.

გამოირკვა, რომ ალაზნის წმინდა ლამში (ალაზნის ველის სიღრმეში ალაზნის ადიდების დროს დატოვებული ლამი გვხვდება ფენა-ფენა) ორი მ სიღრმეზე მშენებლებს დაუზიანებიათ სამარხის დასავლეთი ნაწილი, სადაც აღმოჩნდა: თიხის ორი ჭურჭელი, ცხენის თავის ქალა ლაგმით და ცხვრის ძვლები.

სამარხი ორმოს კონტურების დადგენა არ მოხერხდა, მაგრამ ინვენტარის განლაგების მიხედვით ცხადი გახდა, რომ იგი საკმაოდ მოზრდილი ყოფილა, სიგრძივ დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ შეუმჩნეველი გადახრით. სამარხის სიგრძეა 3 მ, სიგანე—2,20 მ. მიცვალებული იწვა ზურგზე გაჭიმული, თავით WWS. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) რამდენიმე ძვალი.

სამარხის ფსკერი თავიდანვე საფეხურიანი ყოფილა. საფეხური სამარხის აღმოსავლეთ ნაწილშია განლაგებული, სამარხის დასავლეთი ნაწილი კი ღრმაა. სამარხის ღრმა ნაწილში ცხენი დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით WWS. მიცვალებულის ბარძაყების ზედა ნაწილი მთლიანად ცხენზეა დასვენებული, ტერფები კი ორმოსამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საფეხურზე. სწორედ ამის გამო მიცვალებული დასავლეთით დაქანებულა. როგორც ჩანს, ამგვარი პოზა მან ცხენის გახრწნის შემდეგ მიიღო.

როგორც შევნიშნეთ, სამარხის დაზიანების დროს აღმოჩნდა: ცხენის თავის ქალა ლაგმის ფრაგმენტებით, ცხვრის ძვლები და თიხის ორი ჭურჭელი. არქეოლოგიური თხრის დროს გამოვლინდა — მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ რკინის დიდი, ძლიერ დაჟანგული ნივთი; მარჯვენა ყურის ადგილზე ოქროს საყურე; მარჯვენა ხელის სხივის ძვლებთან რკინის ნივთის ნაშთი; რკინის ნივთის ნაშთია მენჯის მარცხენა ნაწილის ქვეშაც; მარცხენა ფეხის მუხლთან ბრინჯაოს, რკინის და ძვლის ისრისპირებია მობნეული; მარცხენა ხელის იდაყვთან ბრინჯაოს ბალთა აღმოჩნდა.

სამარხის ალაგების დროს ბრინჯაოს მძივი გამოვლინდა სამარხის ჩრდილო კედლის ცენტრალურ ნაწილში, კონუსური ფორმის ძვლის ნივთი აღმოჩნდა მიცვალებულის თავთან, სალესი ქვა — მენჯის ქვეშ, ბრინჯაოს ხვიები — მიცვალებულის მარჯვენა ხელის სხივის ძვლებთან.

სამარხში აღმოჩენილ ინვენტარს სათითაოდ განვიხილავთ:

06:1457/1 (ტაბ. XXX_{15}). დერგი, მოწითალოდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისა. ჭურჭელს აქვს გადაშლილი პირი, საშუალო სიმაღლის ვიწრო ყელი, მრგვალი, ძირისაკენ თანდათან შევიწროებული ტანი და ბრტყელი ძირი. ზედაპირამოღარული ორი ყური მუცლის შუა ადგილზეა მიძერწილი. ჭურჭლის მხარს დაუდევრად ამოღარული ვიწრო ზოლებისაგან შედგენილი ორი სარტყელი ამკობს. ჭურჭლის სიმაღლე—47 სმ, პირის დმ.—12,5 სმ, მუცლის დმ—34,5 სმ, ძირის დმ—14 სმ.

06:1457/2 (ტაბ. XXX_{14}). ჭოთანი, არათანაბრად გამომწვარი (ზედაპირი აჭრელებული აქვს მოშავო და ნაცრისფერი ლაქებით), ქვიშანარევი თიხისა. უხეშზედაპირიანი ჭურჭელი. აქვს ფართო, ოდნავ გადმოშლილი პირი, გამოყვანილი დაბალი ყელი, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი. სიმაღლე—15 სმ, პირის დმ—14,5 სმ, მუცლის დმ—18,5 სმ, ძირის დმ—8,5 სმ.

06:1457/3 (ტაბ. XXX_{12}). აღვირის თასმების გადასაჯვარედინებელი ბალთა (3 ც.), ბრინჯაოსი. შედგება ოთხივე მხრივ გახვრეტილი ოთხკუთხა ბოლოსა და ბრტყელი, სკვითურ ცხოველსახოვან სტილში შესრულებული მოკაუჭებული ბრჭყალისებური შვერილი პირისაგან. ჩამოსხმულია. სიგრძე—5,5 სმ, სიგანე—4,3 სმ.

06:1457/3ა. ლაგმის ნაწილები, რკინისა, ძლიერ დაჟანგული, უფორმო, ერთზე მრგვალი ყუნწია შერჩენილი.

06:1457/4 (ტაბ. XXX_{13}). ბალთა, ბრინჯაოსი. წარმოადგენს სტილიზებული ცხოველის გამოსახულებას. აქვს გავისაკენ შებრუნებული თავი. მოკეცილი ფეხების ნაცვლად, ცხოველის გამოსახულებას აქვს ხუთი პატარა მრგვალი ნახვრეტი. დამზადებულია ბრტყელი ფირფიტისაგან.
სიგრძე—7,5 სმ, სიმაღლე—8 სმ, ფირფიტის სისქე—0,1 სმ.

06: 1457/5 (ტაბ. XXX_{10}). ხვია (3 ც.), ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი წვრილი მავთულისაგან. აქედან ერთი ორრკალნახევრიანია, ორი კი ორრკალიანი.
რკალის დმ—0,9 სმ, ღეროს დმ—0,2 სმ.

06:1457/6 (ტაბ. XXX). მძივი, ბრინჯაოსი. პატარა, ცილინდრული მოყვანილობის. ღეროს შემოვლებული აქვს ორი წვრილი რელიეფური ზოლი.
სიგრძე—0,6 სმ, ღეროს დმ—0,5 სმ.

06:1457/7 (ტაბ. XXX_8). საყურე, ოქროსი. შედგება მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან დამზადებული მრგვალი, გვერდშეხსნილი, თავებდაბრტყელებული და დახვრეტილი რგოლისა და მასზე მირჩილული პატარა ბურთულაკებისაგან შემდგარი ოთხკუთხგანივკვეთიანი პატარა საკიდი ღეროსაგან.
რგოლის დმ—2 სმ, ღეროს დმ—0,1 სმ, მირჩილული ღეროს სიგრძე—0,9 სმ. სიგანე—0,2 სმ.

06:1457/8 (ტაბ. XXX_1). შუბისპირი, რკინისა, ორად გატეხილი. ძლიერაა დაჟანგული. აქვს მრგვალი მასრა და გრძელი, წვეტიანი, მკვეთრქედიანი პირი.
სიგრძე—48 სმ, მასრის დმ—3 სმ, პირის სიგანე—4 სმ.

06:1457/9 (ტაბ. XXX_3). სატევარი, რკინისა, სამადაა გატეხილი. დამზადებულია ბრტყელი, სქელი ფირფიტისაგან. აქვს სწორი, ბოლოსკენ შევიწროებული და წაწვეტებული პირი და ბრტყელგრეხილი ტარი. ტარზე სამი მანჭვალია შემორჩენილი.
სიგრძე—21 სმ, პირის სიგრძე—9 სმ, პირის სიგანე—2 სმ.

06:1457/10 (ტაბ. XXX_9). ძვლის პატარა ნივთი, კონუსური ფორმის, გახვრეტილი. ცხენის აკაზმულობასთანაა დაკავშირებული.
სიგრძე— 1,5 სმ, სიგანე— 1,2—0,7 სმ.

06:1457/11 (ტაბ. XXX_2). სალესი ქვა, ვიწრო, გრძელი, ოთხწახნაგა, ბოლო შევიწროებული. ერთ ბოლოზე ზონარის გასაყრელი ნახვრეტია. გულდასმითაა გამოთლილი და გაპრიალებული.
სიგრძე—14 სმ, სიგანე—2,3 სმ.

06:1457/12 (ტაბ. XXX_4). ისრისპირი ბრინჯაოსი, წაგრძელებული, პირამიდალური ფორმის, სამწახნაგა და სამფრთიანი, ფრთებზე ჩაღრმავებებით. აქვს მოზრდილი, დეზიანი მასრა.
სიგრძე—5,2 სმ, მასრის დიამ.—0,6 სმ, მასრის სიგრძე—1,1 სმ, ფუძის სიგანე—0,9 სმ.

06:1457/13 (ტაბ. XXX_7). ისრისპირი, ბრინჯაოსი. სამწახნაგა და სამფრთიანი გამოწეული მასრით. ნაკლულია და ძალზე დაჟანგული. სიგრძე—2,7 სმ, მასრის სიგრძე—0,7 სმ, მასრის დმ—0,5 სმ.

06:1457/14. ისრისპირი, რკინისა. ძლიერაა დაჟანგული. პირამიდალური ფორმის, სამწახნაგა და სამფრთიანი, მოზრდილი გამოშვერილი მასრით. სიგრძე—5,3 სმ, მასრის სიგრძე—0,5 სმ.

06:1457/15 (ტაბ. XXX$_4$). ისრისპირები, ძვლისა (26 ც.), სხვადასხვა ზომის. წაგრძელებული, პირამიდალური ფორმის, ოთხწახნაგა, მრგვალღრუიანი. ფუძესთან სამკუთხა ფორმის ნაწილები აქვს ამოჭრილი. ორი მათგანის გვერდზე ლათინური N მსგავსი ნიშანია ამოკაწრული.

უდიდესი ისრისპირის სიგრძე—6,6 სმ, პირის მაქსიმალური სიგანე ფრთებთან—0,9 სმ; უმცირესი ისრისპირის სიგრძე—3,2 სმ, პირის მაქსიმალური სიგანე ფრთებთან—0,7 სმ.

06:1457/16 (ტაბ. XXX$_6$). ისრისპირები, ძვლისა (4 ც.), შაშხანის ტყვიის ფორმისა. სიგრძე—2,1 სმ—3,5 სმ, დმ—0,6—0,8 სმ.

06:1457/17. წვრილფეხა საქონლის ძვლები.

06:1457/18. ცხენის ძვლები.

06:1457/19. ადამიანის ძვლები[1].

„სკვითური“ ინვენტარის შემცველი მეორე სამარხი აღმოჩნდა მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე, ჯიმითის მიწებზე. აქ 1974 წ. საქართველოს წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციის მიერ, ივრისპირა ამ ვაკობის ნიადაგების განმარილების მიზნით სადრენაჟო თხრილის გავლების დროს ექსკავატორმა 1,50 მ სიღრმიდან ამოყარა—ცხენის ძვლები, ბრინჯაოს ბალთა, ბრინჯაოსა და ძვლის ისრისპირები, გრძელი, სიგარისებური მოყვანილობის სალესი ქვა და თიხის ჭურჭელი. ნივთები შეაგროვა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელმა ვ. ვარაზაშვილმა. აღმოჩენის ადგილის შემოწმებისას გამოირკვა, რომ იგი მდებარეობს სადუღას ველზე, სადუღას ტბის ჩრდილოეთით დაახლოებით 600-ოდე მ მანძილზე. აქ სადრენაჟო თხრილის გავლებისას 1,50 მ სიღრმეზე დაზიანდა სკვითური ინვენტარის შემცველი სამარხი, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხენიც ყოფილა დაკრძალული. სამარხში მიცვალებულისა და ცხენის დაკრძალვის პოზაზე საუბარი შეუძლებელია, რადგან მათი ყველა ძვალი იქვე დაგვხვდა ამოყრილი. ადგილზე შეგროვდა ამონაყარი მასალის ნაწილიც. სამარხის ფსკერზე დაცული იყო მხოლოდ ორი თიხის ჭურჭელი, დანარჩენთა ნატეხები სამარხის სხვა ინვენტართან ერთად იყო ამოყრილი.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქვე, 0,50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა შედარებით უკეთ დაცული მეორე სამარხი. ამის გამო ცხენიან სამარხს № 1 ეუწოდეთ.

სამარხს შემდეგი ინვენტარი უნდა მიეკუთვნოს:

06:1459/1 (ტაბ. XXXIa$_1$). დერგი, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი წმინდამარცვლოვანი თიხისა. ზედაპირი მოგლუვებული აქვს.

ჭურჭელს აქვს ვიწრო, გადმოწეული პირი, ოდნავ გამოყვანილი, დაბალი ყელი, მრგვალი მხრები, ფართო, ძირისკენ შევიწროებული ტანი და ფართო, ბრტყელი ძირი. მუცელზე ორი მრგვალბრტყელი ყურია მიძერწილი. ჭურჭელს ყელს ქვემოთ, მხრის დასაწყისში ამოღარული ტალღური ზოლი შემოსდევს. შედარებით თხელკედლიანი ჭურჭელია.

---

[1] მიცვალებულის ბარძაყის ძვალზე, მარჯვენა მკლავის ძვალზე, ბეჭზე და თავის ქალაზე დიდი წანაზარდებია. შესასწავლად გადაეცა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილებას.

სიმაღლე—43 სმ, პირის სიმაღლე—4 სმ, პირის დმ—11 სმ, მუცლის დმ—43 სმ, ძირის დმ—18 სმ.

06:1459/2 (ტაბ. XXX1a_4). ცალყურა სასმისი, მოყავისფროდ გამომწვარი მსხვილქვიშანარევი თიხისა. ჭურჭელს აქვს ოდნავ გადმოწეული ფართო პირი, მაღალი, ფართო ყელი, მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი. პირთან იწყება და მხარს უერთდება ბრტყელგანივკვეთიანი ყური. სქელკედლიანი, უხეში ჭურჭელია. სიმაღლე—11 სმ, ყელის სიმაღლე—4 სმ, პირის დმ—8 სმ, მუცლის დმ—11 სმ, ძირის დმ—7 სმ, ყურის სიგანე—2 სმ.

06:1459/3 (ტაბ. XXX1a_2). ლიტრა, ცალყურა, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი წმინდამარცვლოვანი თიხისა; კეცით ემსგავსება ზემოთ განხილულ დერგს. ჭურჭელს აქვს ფართო, გადმოწეული პირი, გამოყვანილი, საშუალო სიმაღლის ყელი, მომრგვალებული, ფართო მხრები, მრგვალი ტანი და ბრტყელი ძირი. ყელს ქვემოთ, მხრის დასაწყისში ღრმად ამოღარული ტალღური ზოლი შემოსდევს. პირთან იწყება და მხარს უერთდება ბრტყელგანივკვეთიანი ყური. ჭურჭლის სიმაღლე—15 სმ, ყელის სიმაღლე—3 სმ, პირის დმ—7,5 სმ, მუცლის დმ—13 სმ, ძირის დმ—7 სმ.

06: 1459/4 (ტაბ. XXX1 a_3). ღრმა ჯამი, ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი სილანარევი თიხისა; ზედაპირნაპრიალები. ჭურჭელს აქვს ფართო, მხრიდან ფართო ღარით გამოყოფილი, გადმოწეული პირი, მომრგვალებული, ძირისკენ შევიწროებული მუცელი და ბრტყელი ძირი.

სიმაღლე—8 სმ, პირის დმ—18,5 სმ, მუცლის დმ—17 სმ, ძირის დმ—9 სმ.

06:1459/5 (ტაბ. XXX1a_5). ბალთა, დამზადებულია ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან. წარმოადგენს ცხოველის სტილიზებულ, თავშებრუნებულ გამოსახულებას. ცხოველის ღია პირი უფრო მტაცებელი ფრინველის ნისკარტს წააგავს. მისი ყბები, თავი და თვალი რელიეფითაა გადმოცემული. გავა მრგვალი აქვს, უკუდო; ფეხების ნაცვლად ნაჩვრეტებიანი შვერილია. ბალთა ჩამოსხმულია. ბალთის სიმაღლე—8 სმ, სიგანე—8 სმ.

06:1459/6 (ტაბ. XXXI a_9). სალესი ქვა, სიგარისებური ფორმის. გრძელი, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებდავიწროებული. ცალ ბოლოში მცირე ნახვრეტია ზონარისა თუ თასმის გასაყრელად. გულდასმითაა გამოთლილი და გაპრიალებული. სიგრძე—23 სმ, უდიდესი დმ—2 სმ.

06:1459/7. შუბისპირი, რკინისა, ძლიერ დაჟანგული და ფრაგმენტირებული. მასრის ნატეხებზე ხის ნაშთებია შემორჩენილი. სიგრძე—35 სმ.

06:1459/8. მძივები, მინის, თვალედი, სხვადასხვა ზომის.

06:1459/9 (ტაბ. XXX1$a_{6,7}$). ძვლის ისრისპირები: ა) შამხანის ტყვიისებური (1 ც.) და ბ) შვიდი სხვადასხვა ზომის, ყველა ფრაგმენტირებული. წაგრძელებული, პირამიდალური ფორმის, ოთხწახნაგა და მრგვალღრუიანი. ფუძესთან სამკუთხა ფორმის ნაწილები აქვს ამოჭრილი.

06:1459/10 (ტაბ. XXX1a_8). ბრინჯაოს ისრისპირი (1), სამკუთხა ფორმის, სამწახნაგა და სამფრთიანი. გრძელ, ჩამოშვებულ, წაწვეტებულ ფრთებში ღრმად შეჭრილი, ფრთებიდან ოდნავ გამოშვერილი მოკლე მასრით. ისრისპირი მოკლე და ფართოა. ისრისპირის სიგრძე—2,4 სმ, სიგანე—1,1 სმ.

06:1459/11. ადამიანის თავის ქალის ფრაგმენტები. გადაეცა ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილებას.

06:1459/12. ცხვრის კოჭი.

სადუღას ტბის ჩრდილოეთით აღმოჩენილი მეორე სამარხი მიწის ზედაპირიდან 0,50 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. მიცვალებული ორმოსამარხში იყო დაკრძალული, ზურგზე, თავით დასავლეთით. სადრენაჟო არხის გაჭრისას, როდესაც „სკვითურინვენტარიანი“ № 1 სამარხი გაანადგურეს, № 2 სამარხში დაკრძალული მიცვალებულისათვის ფეხები წაუცლიათ თითქმის მენჯამდე.

მიცვალებულის მარცხენა ხელს და ნეკნებს ზედ ეწყო წვრილფეხა საქონლის ძვლები, ბევრი მათ შორის ანატომიურ წესრიგში. მენჯზე მსხვილფეხა საქონლის ფეხი იდო.

სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს ორი სამაჯური მარცხენა და მარჯვენა ხელის მაჯაზე, რკინის შუბისპირი მარცხენა მხრის ძვლის გაყოლებით, რკინის დანის ფრაგმენტები წელის არეში, რკინის ნივთი მარჯვენა ხელის იდაყვსა და ხერხემალს შორის, წელის არეში სიგარისებური ფორმის სალესი ქვა, ყელის არეში მძივები.

06:1459/13 (ტაბ. XXXIb$_2$). სამაჯური, ბრინჯაოსი. დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. ერთმანეთზე მისულ, გახსნილ, დაბრტყელებულ ბოლოებზე სტილიზებული გველის თავებია გრავირებული—განივ ზოლებს შორის მოქცეული ერთმანეთის გადამკვეთი ირიბი ზოლები. სამაჯურის დმ—6 სმ.

06:1459/14 (ტაბ. XXXIb$_3$). სამაჯური, ბრინჯაოსი. დამზადებულია ბრინჯაოს თხელი, ბოლოებგათხელებული ღეროსაგან. გახსნილი ღერო შიგნიდან ბრტყელია, გარედან მომრგვალებული. სამაჯურის დმ—6 სმ.

06:1459/15 (ტაბ. (XXXIb$_4$). საყურე, ვერცხლისა. დამზადებულია წვრილი, მრგვალგანივკვეთიანი გრეხილი მავთულისაგან, ბოლოები ერთიმეორეზე აქვს გადადებული. საყურის დმ—2 სმ;

06:1459/16 (ტაბ. XXXIb). სალესი ქვა, სიგარისებური ფორმის, ბოლოებდაწვრილებული. ცალ ბოლოზე თასმის გასაყრელი ნაჩვრეტია ამოღებული. გულდასმითაა გამოთლილი და გაპრიალებული. სიგრძე—16 სმ, დმ—0,8 სმ.

06:1459/17. შუბისპირი, რკინისა, ძლიერაა ფრაგმენტირებული.

06:1459/18. ნივთი რკინისა, ძლიერ ფრაგმენტირებული. შემორჩენილია როგორც მასრის, ისე ბრტყელი პირის ნატეხები.

06:1459/19. მოხრილი დანა, რკინისა, ძლიერაა ფრაგმენტირებული.

06: 1459/20 (ტაბ. XXXIb$_5$). სარდიონის მძივები (6 ც.): ერთი სოკოს თავისებური, ცალმხრივი ნახვრეტით; ერთი ცილინდრული, ცალმხრივი ნახვრეტით; სამი სფეროსებური, ორმხრივი ნახვრეტით; ერთი ბოლოებწაჭრილი შინდისკურკისებური, ერთი ბრტყელი, ცალ მხარეს სამი წახნაგით.

06:1459/21 (ტაბ. XXXIb$_6$). თეთრი მინის სფეროსებური ფორმის 12 მძივი. 10 მთელი, 2 ფრაგმენტირებული. ნახვრეტებს ირგვლივ სამ-სამი ლურჯი თვალი ზის, ასეთივე ფერის ერთი ან ორი წრით შემოფარგლული. მძივები ირიზებულია.

06:1459/22. ცხვრისა და ხბოს ძვლები.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, სამივე სამარხში მიცვალებული დასვენებულია ზურგზე გაჭიმული, თავით WWS. თუ თვალს გადავავლებთ ამიერკავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიურ ძეგლებს, დავრწმუნდებით, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან, როგორც წესი, იმარხებოდნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, კიდურებმოხრი-

ლი. დაკრძალვის ამგვარი წესი მოქმედებდა ქრისტიანობის გავრცელებამდე. ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებში ხშირი იყო მიცვალებულთა ძველი წესით დაკრძალვა, შემდეგ კი მიცვალებულის ზურგზე, გაჭიმული კიდურებით დაკრძალვა გავრცელდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ამგვარად, ბუნებრივია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულით დათარიღებული ის სამარხები, რომლებშიც აღმოჩნდა მიცვალებული დაკრძალული ზურგზე გაჭიმვით, უკვე მხოლოდ დაკრძალვის წესის მიხედვითაც კი უცხოდ მიგვეჩნია და მათი გამოჩენა დაგვეკავშირებინა ჩრდილოეთში მოსახლე იმ სინქრონული ტომებისათვის, რომელთათვისაც დაკრძალვის ამგვარი წესი იყო დამახასიათებელი, კერძოდ კი სკვითებისა თუ სავრომატებისათვის (3, 4, გვ. 85; 5, გვ. 127; 13, გვ. 91). ჩვენი ეს ვარაუდი იმან უფრო გაამყარა, რომ სამი სამარხიდან ორში მიცვალებული ცხენის მთლიან ჩონჩხზე იყო დაკრძალული. ცხენზე დაკრძალვა კი ისევ სკვითურ-სავრომატული სამყაროსათვის არის დამახასიათებელი (4, გვ. 100; 5, გვ. 141; 13, გვ. 101—102).

სკვითურ სამყაროში გავრცელებული ნივთების მსგავსია საკვლევ სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის უდიდესი ნაწილი.

ვინაიდან დასახელებულ სამარხთა ინვენტარის დიდი ნაწილი ერთიმეორის იდენტურია, მათი განხილვისას განმეორებების თავიდან აცილების მიზნით, მათ დანიშნულების მიხედვით ვაჯგუფებთ და ვიკვლევთ.

ისპრისპირები. როგორც დავინახეთ, ზემოთ აღწერილ სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს, რკინისა და ძვლის ისრისპირები.

ძვლის ისრისპირები რაოდენობრივად ყველაზე მეტია. ისინი ორი ტიპისაა — ა) შაშხანის ტყვიისებური და ბ) პირამიდალური ფორმის, ოთხწახნაგა, მრგვალღრუიანი, ფუძესთან სამკუთხა ფორმის ამონაჭრებით.

ორივე ტიპი სკვითური კულტურისათვის ჩანს დამახასიათებელი (15, გვ. 19). ტყვიისებური ფორმის ძვლის ისრისპირების თარიღის განსაზღვრა ძნელია, ვინაიდან მათი არსებობის ხანა ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ეჭცევა (15, ტაბ. $6A_6$, $6O_{15,16}$ $9P_{2,3}$).

იორ-ალაზნის აუზში მოპოვებული პირამიდალური ფორმის, ოთხწახნაგა ძვლის ისრისპირების სქემას იმეორებენ ჩრდილო შავიზღვისპირეთში—ნიკოლაევსკის სამაროვანზე აღმოჩენილი, შედარებით მოკლე ძვლის ისრისპირები (11, გვ. 252, სურ. 54^3), სადაც ისინი თარიღდებიან ბერძნული კერამიკით ძვ. წ. IVს. მეორე ნახევრით (11, გვ. 73).

ჩრდილო კავკასიაში ასეთი ფორმის ისრისპირები ერთეულებია აღმოჩენილი. ასე, ანალოგიური ფორმის, მაგრამ უფრო მოკლე და მოყვანილობით ტყვიისებურ ისრისპირებს მიახლოვებული ისრისპირი ნაპოვნია კუმბულთის სამაროვან ზედა რუთხის № 19 სამარხში, რომლის თარიღიც ე. კრუპნოვს ძვ. წ. VI—VII სს. აქვს განსაზღვრული (12, გვ. 239, 229, სურ 33_{3-6}). მაგრამ ვ. პეტრენკოს აზრით, აღნიშნული სამარხი მასში აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრისპირების მიხედვით უფრო ძვ. წ. V საუკუნისაა.[1]

ანალოგიური მოყვანილობის, ოღონდ უფრო მოკლე ძვლის ისრისპირი გამოცემული აქვს კ. სმირნოვს სოფ. ბაჟიგანის სამარხიდან (1955 წ.). სამარხი

---

[1] ვ. პეტრენკოს მიერ პირად საუბარში გამოთქმული მოსაზრება. მოწოდებული ცნობებისათვის მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ისრისპირების მიხედვით დათარიღებულია ძვ. წ. V საუკუნით, მაგრამ ამ აღმოჩენის კომპლექსურობა საეჭვოა (13, გვ. 41, 305 სურ. 12,3а,$_3$).

მსგავსი ფორმის, ოღონდ აგრეთვე უფრო მოკლე ძვლის ისრისპირები აღმოჩენილია «სლეპცოვსკის» ყორღანებში (ძვ. წ. V—IV სს.) (14 გვ. 35, 321 სურ. 5$_{4-8}$).

ამგვარად, მითითებული ანალოგიური მასალის მიხედვით, აღნიშნული მოხაზულობის მქონე ძვლის ისრისპირების თარიღი უნდა შემოიფარგლოს ძვ. წ. V—IV სს. პ. რაუს ნაშრომის მიხედვით ისინი ზუსტად ძვ. წ. IV ს. ფარგლებში ექცევა (3, გვ. 22, ტაბ. IX$_3$).

ბრინჯაოს ისრისპირი სულ სამია აღმოჩენილი. აქედან მხოლოდ ორის ფორმაზე შეიძლება საუბარი.

ალაზნის ველის სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი პირამიდალური ფორმისაა, სამწახნაგა, სამფრთიანი, ფრთებზე ჩაღრმავებებით და მოზრდილი დეზიანი მასრით.

ისრისპირის პროპორციები და მისი სიმსუბუქე მის გვიანდელ ხასიათზე მიუთითებს. იგი შეიძლება მელიუკოვასეულ მესამე ქრონოლოგიური ჯგუფის (ძვ. წ. V—IV სს.) მე-4 ტიპში მოგვექცია (15, გვ. 23), რომელთათვისაც დამახასიათებელია წაგრძელებული პირამიდალური ფორმის თავი, ფრთებზე ჩაღრმავებებით. აქ გაბატონებულია მსუბუქი პროპორციების მქონე ისრისპირები, რომელთაც ახასიათებს თავის ფუძის უმცირესი სიგანე და უდიდესი სიგრძე (მათი შეფარდებაა 1:3 ან 1:4) (15, გვ. 23). მაგრამ მათთვის არ არის დამახასიათებელი დეზი და მისი ნახაზიც უფრო წააგავს სავრომატულ ძვ. წ. VI—V სს. ისრისპირებს, თუმცა ეს უკანასკნელნი უფრო მოკლეები და განივრებია და არც მათ არა აქვთ დეზი (13, 328 სურ. 35 An).

ივრისპირების № 1 სამარხში აღმოჩენილი სამკუთხა ფორმის, სამწახნაგა და სამფრთიანი ისრისპირი მოკლე და ფართოა.

მსგავსი სქემის მქონე, მაგრამ არა ზუსტად ასეთი ისრისპირები ჩნდება ძვ. წ. VI ს., მაგრამ მათი გავრცელების ძირითადი პერიოდი არის ძვ. წ. V ს., (16, ტაბ. 34, 1 დანაყოფი, III ტიპი, 1,2 ვარიანტი, გვ. 45; 15, ტაბ. 6,O$_{21}$, ტაბ. 7, M$_3$).

განხილული სამარხების ინვენტარიდან საყურადღებოა ქამრის ბრინჯაოს ბალთები (ტაბ. XXX$_{13}$, XXX$_1$а$_5$), რომლებიც თავშებრუნებული ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენენ, შესრულებულს სკვითურ ცხოველსახოვან სტილში.

მეტად არსებითია, რომ სკვითურ-სავრომატულ სამყაროში მათ ზუსტი პარალელი ვერ მოეძებნათ, თუ არ ჩავთვლით მინგეჩაურის «სკვითურინვენტარიან» სამარხებს. ი. დიაკონოვი მათ ტიპიურ სკვითურ ნივთებად მიიჩნევს და ძვ. წ. VII—IV სს. ათარიღებს (6, გვ. 254, სურ. 46).

ვინაიდან ჩრდილოურ სკვითურ სამყაროში ჩვენ ამ ბალთებს ზუსტი პარალელი ვერ მოვუძებნეთ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ ისინი დამახასიათებელი ყოფილიყო წინააზიური სკვითური სახელმწიფოსათვის[1].

---

[1] ი. დიაკონოვის ვარაუდს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე „სკვითური სახელმწიფოს“ არსებობის შესახებ უარყოფს ჯ. ხალილოვი [8, გვ. 183—187].

ოქროს ცალი საყურე (ტაბ. XXX_8) აღმოჩნდა ალაზნის ველის სამარხში. იგი ემსგავსება ყაზბეგის განძის საყურეს, რომლის ბოლოებგახვრეტილ სადა რგოლზე გავარსის 5 მსხვილი მარცვლისაგან შედგენილი და ასეთივე პირამიდით დამთავრებული ღეროა მირჩილული (17, ტაბ. V_{37}). საყურეს ი. გაგოშიძე ძვ. წ. VI ს. ათარიღებს (17, გვ. 29). ვერცხლის ანალოგიური საყურე აღმოჩენილია ბეშთაშენის ციხესთან მდებარე ადრეაქემენიდური ხანის სამაროვნის სამხრეთი უბნის № 15 ქვაყუთში (18, სურ. 40; 19, გვ. 15, ტაბ. XII).

ალაზნის ველის აღნიშნულ სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურის რამდენადმე მსგავსი საყურეები (აქაც საკიდი ბურთულაკებისაგან შედგება, მაგრამ სამკუთხედისებური მოყვანილობა აქვს) აღმოჩნდა მინგეჩაურში და მეტად საყურადღებოა, რომ ყველა ისინი სკვითურინვენტარიან სამარხებში დადასტურდა [9, გვ. 13, № 7, 10, ტაბ. $1_{1,4}$]. ერთ წყვილ ამგვარ საყურეს (№ 7) ათარიღებენ ძვ. წ. VII—V საუკუნეებით, ხოლო მეორეს (№ 10) V—III სს. (9, იქვე).

ი. გაგოშიძე მინგეჩაურის აღნიშნულ საყურეებს ყაზბეგის განძისა და ბეშთაშენის ციხესთან მდებარე ადრეაქემენიდური ხანის სამაროვნის საყურეებთან ერთ ჯგუფში აერთიანებს [17, გვ. 29].

როგორც დავინახეთ, ალაზნის ველისა და მინგეჩაურის სკვითურინვენტარიან სამარხებში აღმოჩენილი საყურეები სკვითურ-სავრომატულ სამყაროში პარალელს ვერ პოულობს.

ცხენის აკაზმულობის ნაწილები. ალაზნის ველის სამარხში აღმოჩენილი რკინის, ბრინჯაოსნაწილებიანი ლაგამი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მისი აღდგენა ვერ მოხერხდა.

აღვირის თასმების გადასაჯვარედინებელი ბალთები (3 ც.), ბრინჯაოსი, აღმოჩნდა ალაზნის ველის სამარხში. შედგება ოთხივე მხრივ გახვრეტილი ოთხკუთხა ბოლოსა და ბრტყელი, სკვითურ ცხოველსახოვან სტილში შესრულებული მოკაუჭებული, ბრჭყალისებური შვერილი პირისაგან (ტაბ. XXX_{10}).

ამგვარი ბალთები სკვითურ კულტურაში განსაკუთრებით აღრეულებია. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, ურარტული ნაქალაქარის კარმირ-ბლურის მასალებიც, სადაც მსგავსი ბალთები, ისევე როგორც ძვ. წ. VI ს. სკვითეთში შედის ხოლმე აღვირის შემადგენლობაში (20, გვ. 92, 93, სურ. 62, 63). ა. ტერენოჟკინი ამგვარი ბალთის შემცველ კამენომოსტის სამარხის (ყაბარდო) თარიღს ძვ. წ. VII ს. შუა ხანებით განსაზღვრავს—დაახლოებით იმ ხანით, როცა ერთმანეთს ხვდება პირველად სკვითური და სკვითებამდელი პერიოდის კულტურები აღმოსავლეთ ევროპაში (21, გვ. 126—127, სურ 76_5).

ჩრდილო შავი ზღვისპირეთში ძვ. წ. IV საუკუნეში ცხენის აკაზმულობაში ამგვარი ბალთები აღარ იხმარებოდა (23, გვ. 42—63). ისინი იქ გვხვდება ძირითადად ძვ. წ. VI საუკუნეში და იშვითად ძვ. წ. V ს. პირველ ნახევარში. სავრომატულ სამყაროში ამგვარი სააღვირე ბალთები არსებობს ძვ. წ. V—IV საუკუნეების მიჯნამდე (22, გვ. 82—98, სურ. 49_7, 51_1, 56_4 და სხვ. 13, სურ. 28_1, 29_{42}, 32_{13}, $71_{12,13,15}$).

ცხენის აკაზმულობას უკავშირდება აგრეთვე ალაზნის ველის სამარხში აღმოჩენილი კონუსური ფორმის ძვლის გახვრეტილი პატარა ნივთიც (ტაბ. XXX_9).

სალესი ქვები (ტაბ. XXX_2; $XXXIa_9$; $XXXIb_1$). იორ-ალაზნის სამივე სკვითურინვენტარიან სამარხშია აღმოჩენილი.

სალესი ქვა კიმერიელ მეომართა სამარხების თითქმის აუცილებელი ინვენტარია (21, გვ. 146). დამახასიათებელი ჩანს იგი სავრომატული სამარხებისათვისაც. აქ ისინი ორი ძირითადი ტიპისაა: 1) ბრტყელი, პარალელური ან ოდნავ გაფართოებული ზედა ნაწილში, სადაც ამოღებულია ნახვრეტი. მათი ბოლოები ჩვეულებრივ სწორადაა მოჭრილი, ხანდახან მომრგვალებულია; 2) სიგარისებური ფორმის, მრგვალ-ან ოვალურგანივკვეთიანი (13, ტაბ. 59_{22-24} და სხვ. გვ. 107). პირველი ტიპის სალესი ქვები დამახასიათებელია ძვ. წ. VI—V სს. სამარხებისათვის, მეორე—ძვ. წ. V—IV სს. სამარხებისათვის, თუმცა ქრონოლოგიურად მათი მკაცრად გაყოფა მაინც არ შეიძლება. პირველი ტიპისა მაინც უფრო ადრეულებია (13, გვ. 107).

იორ-ალაზნის აუზის სამარხებიდან მომდინარე სალესი ქვები (უფრო სწორედ ივრისა) მეორე ტიპს უახლოვდება, სიგარისებური ფორმა აქვთ, მაგრამ უფრო დახვეწილებია.[1]

სალესი ქვები ჩრდილო შავიზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი არ არის. გვხვდება იგი ძვ. წ. VI—IV სს. სამარხებში, მაგრამ იშვიათად (24, გვ. 155; 5, გვ. 149; 4, გვ. 93).

შედარებით ხშირად გვხვდება სალესი ქვები ჩრდილოეთ კავკასიაში (25, ტაბ. 9, 23; 14, სურ. 11, 18, 26, 28, 30, 46).

საყურე, ვერცხლის. დამზადებულია წვრილი, მრგვალგანივკვეთიანი გრეხილი მავთულისაგან, ბოლოები ერთიმეორეზე აქვს გადადებული. აღმოჩნდა ივრისპირა № 2 სამარხში.

ელექტრონის გრეხილი მავთულისაგან დამზადებული მსგავსი საყურე აღმოჩენილია მასტიუგინოს 17/3 ყორღანის ძვ. წ. IV-III სს. დათარიღებულ სამარხში (7, გვ. 37, ტაბ. 25_{12}). არის გრეხილღეროიანი სხვა საყურეებიც აგრეთვე სკვითეთიდან. მათი უმრავლესობის ბოლოები სწორია, ზოგიერთზე მძივია ჩამოცმული. მათი გავრცელების დრო ძირითადად ასევე IV ან IV—III სს. განსაზღვრული (7, გვ. 36—37, ტაბ. 23_9, 14, 15, 30, ტაბ. $24_{15, 19, 20}$, $26_{9, 12}$).

სამაჯურები (ტაბ. $XXXI_{2,3}$) აღმოჩნდა ივრისპირა № 2 სამარხში. ორი ტიპისაა. ერთი მათგანი დამზადებულია ბრინჯაოს თხელი, ბოლოებგათხელებული ღეროსაგან. გახსნილი ღერო შიგნიდან ბრტყელია, გარედან მომრგვალებული, იგი სკვითურ რიგით სამარხებში წარმოდგენილი სამაჯურების ერთერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ტიპია (7, გვ. 54, სურ. $43_{1-5, 8-11}$). მისი გამოჩენა მიეკუთვნება ძვ. წ. VI ს., მაგრამ ძვ. წ. V საუკუნეშიც კი იშვიათია (7, გვ. 54).

მეორე სამაჯური ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგანაა დამზადებული. ერთმანეთზე მისულ, გახსნილ, დაბრტყელებულ ბოლოებზე სტილიზებული გველის თავებია გრავირებით გამოყვანილი — პარალელურ განივ ზოლებს შორის მოქცეული ერთმანეთის გადამკვეთი ირიბი ზოლები.

ჩრდილო შავი ზღვისპირეთში ამგვარ სამაჯურებს პარალელები მოეძებნება სოფ. ჟუროვკის № 407 და მალაია ოფირნიას ყორღანებში აღმოჩენილ სამაჯურებთან (7, გვ. 52, სურ. $39_{12,13}$), რომლებიც ძვ. წ. VI ს. მიეკუთვნება.

---

[1] ასეთივე სალესი ქვების ნატეხები აღმოჩენილია ალაზნის ველზე „გუმბათის“ ნასასახლარზე (ძვ წ. V—IV სს.) და „ცისკარაანთ გორაზე“ (ამ უკანასკნელზე დაზვერვების დროს იქნა აკრებილი).

საქართველოში ამდაგვარი ფორმისა და ორნამენტის მქონე სამაჯურები გვხვდება ბეშთაშენის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე (19, ტაბ. XIII, XV და სხვ.).

თვალედი მძივები ივრის აუზის სკვითურინვენტარიან სამარხებში აღმოჩნდა. ამგვარი მძივები ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში და ძვ. წ. VI და მის მომდევნო საუკუნეებით თარიღდება, სარმატული ეპოქის ჩათვლით (5, გვ. 150). ჩვენს მიერ განხილულ სამარხებში სწორედ დაახლოებით ძვ. წ. IV საუკუნის მძივები უნდა იყოს, რომლებიც დამზადების ტექნიკის მიხედვით რამდენადმე გვიანებია (10, გვ. 51—56).

იორ-ალაზნის აუზის სკვითურინვენტარიანი სამარხების ინვენტარში შემავალი თიხის ჭურჭელი ადგილობრივად უნდა მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მათ ადგილობრივ მასალაში მეტნაკლებად კარგად პასპორტიზებული პარალელები მოვუძებნოთ, ვინაიდან ამ პერიოდის ძეგლები იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე სრულიად შეუსწავლელია.

იორ-ალაზნის აუზის სკვითურინვენტარიან სამარხებში აღმოჩენილი ძლიერ დაჟანგული და ფრაგმენტირებული რკინის ნივთები თითქმის გაურკვეველი ფორმისაა. შეიძლება დაახლოებით აღდგეს რკინის დიდი ზომის შუბისპირის მოხაზულობა. კარგად შემონახულ გრეხილტარიან სატევარს (ტაბ. XXX_3) კი პარალელი ვერ მოვუძებნეთ.

ამგვარად, იორ-ალაზნის აუზის ზემოთ განხილული სამარხები როგორც დაკრძალვის წესით (ზურგზე გაჭიმული, ცხენზე დაკრძალული მიცვალებული), ასევე ინვენტარით უცხოურ, „სკვითურ“ იერს ატარებს[1]. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ სამივე სამარხი განმარტოებით მდებარეობს ველზე, მაშინ როდესაც ადგილობრივი ტრადიციებით უკვე ადრებრინჯაოს ხანიდან მაინც, სამოსახლოებთან საუკუნეების განმავლობაში მკაცრად შემოსაზღვრული სამაროვნები არსებობს მრავალი, ხშირად სართულებად განლაგებული სამარხებით.

როგორც დავინახეთ, დასახელებულ სამარხებში ჩატანებული ინვენტარის უმეტესობა პარალელური მასალის მიხედვით ძვ. წ. V—IV სს. თარიღდება. ამის გამო იორ-ალაზნის აუზში აღმოჩენილი „სკვითურინვენტარიანი“ სამარხებიც ამავე ხანით, უფრო კი ეტყობა ძვ. წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

---

[1] ვ. ვინოგრადოვის შეხედულებით, არასკვითურ ტერიტორიაზე „სკვითური“ კულტურის კუთვნილად უნდა მივიჩნიოთ ის სამარხები, რომლებიც: 1) ყორღანულია, 2) მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე გაჭიმული, თავით დასავლეთით, 3) სამარხის ტიპი უცხოა ადგილობრივი სამყაროსათვის, 4) დაკრძალვის რიტუალის სპეციფიური, მომთაბარულინი შნები, 5) სამარხში ცხენია დაკრძალული, ან ცხენის აკაზმულობაა ჩატანებული, 6) სამარხეულ ინვენტარში ჭარბობს სკვითურ-სავრომატული იერის მასალა (14, გვ. 33).

Н. Ф. МАМАИАШВИЛИ

ПОГРЕБЕНИЯ СО СКИФСКИМ ИНВЕНТАРЕМ ИЗ ИОРО-АЛАЗАНСКОГО БАССЕЙНА

(Табл. XXX—XXXI)

Резюме

До последнего времени на территории Иоро-Алазанского басеейна т. н. скифских материалов, датируемых второй половиной I тыс. до н. э. не было известно. Только в связи со строительством больших оросительных систем как в Алазанской долине, так и на левом берегу р. Иори были найдены три единичных погребения, в которых покойники уложены на спине в вытянутом положении, прямо на лошади.

Как способ захоронения, так и инвентарь этих погребений не местного, а скифского облика. Погребения эти датируются V—IV вв. до н. э. может быть даже IV в. до н. э.

ლიტერატურა

1. ქ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973.
2. ქ. ფიცხელაური, იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, 1965.
3. P. Rau, Die Gräber der frühen Eisenzeit im unteren Wolgagebiet. Studien zur chronologie der Skythische Pfeilspitze. Mitteilungen der Zentralmuseums, 4 Jahrgang, Heft 1, Pokrowsk, 1929.
4. Б. Н. Граков, Скифские погребения на Никопольском курганном поле, МИА, 115, М., 1962.
5. А. И. Мелюкова, Скифские курганы Тирасполыпины, МИА, 115, М., 1962.
6. И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956.
7. В Г. Петренко, Украшения Скифии VII—III вв. до н.э. САИ, Д1-5, М., 1978.
8. Д. Халилов, Археологические находки «скифского» облика и вопрос о «скифском царстве» на территории Азербайджана, Проблемы скифской археологии, М. 1971.
9. Г. М. Асланов, Т. И. Голубкина, Ш. Г. Садыхзаде, Каталог золотых и серебряных предметов из археологических раскопок Азербайджана, Баку, 1966.
10. Е. М. Алексеева, Античные бусы Северного Причерноморья, САИ, Г 1—12, М., 1975.
11. А. И. Мелюкова, Поселение и могильник скифского времени у с. Николаевка, М., 1975.
12. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960.
13. К. Ф. Смирнов, Савроматы, М., 1964.
14. В. Б. Виноградов, Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время, Грозный, 1972.
15. А. И. Мелюкова, Вооружение скифов, САИ, Д 1—4, М., 1964.
16. В. Г. Петренко, Правобережье Среднего Приднепровья в V—III вв. до н. э. САИ, Д 1—4, М., 1967.
17. ი. გაგოშიძე, მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის, სსმმ ტ. XXXII-B, თბ., 1976.

18. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
19. ც. დავლიანიძე, სოფ. ბეშთაშენის ციხესთან მდებარე ადრეანტიკური ხანის სამაროვნის მასალები; მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი, I, თბ., 1968.
20. Б. Б. Пиотровский, Кармир-Блур, I, Ер., 1950.
21. А. И. Тереножкин, Киммерийцы, Киев, 1976.
22. К. Ф. Смирнов, Вооружение Савроматов, МИА, 101, М., 1961.
23. В. А. Ильинская, Скифская узда IV в. до н. э. Скифские древности, Киев, 1973.
24. А. И. Манцевич, Ритон Талаевского кургана, История и археология древнего Крыма, Киев, 1957.
25. Р. М. Мунчаев, Луговой могильник, Древности Чечено-Ингушетии, М., 1963.

ნ. მამაიაშვილი

ბეჟანგალის ორმოსამარხი

(ტაბულა XXXII)

1971 წელს სოფ. გადრეკილის (სოფ. მახარაძე, გურჯაანის რაიონი) სამხრეთ-დასავლეთით, სოფლიდან ბეჟანბაღის წყაროსკენ მიმავალი გზის პირას, გზის აღმოსავლეთით, ადგილ ურმუშეთსა და ბეჟანბაღის მიჯნაზე არხზე გადებული ბოგირის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის მახლობლად (ბოგირი კაპიტალურია, ბეტონის) სოფლის სარწყავი არხის გატანის დროს აღმოჩნდა ორმოსამარხი. სამარხი გათხარა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

ორმოსამარხი დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ; ორმო ოთხკუთხი ჰქონდა (სიგრძე — 2 მ, სიგანე — 1,20 მ). სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი არხისგან იყო დაზიანებული. ორმოს კიდეებზე კარგად შეინიშნებოდა დანაცრებული ხის (სისქე — 5 სმ) ნაშთი — როგორც ჩანს, სამარხის კედლები ხით ყოფილა ამოყვანილი.

სამარხის ჩრდილო ნაწილში აღმოჩნდა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით დაკრძალული მიცვალებული, თავით ჩრდილოეთით.

სამარხის თავზე, მისი ფსკერიდან 0,50 მ სიმაღლეზე გამოვლინდა მიწაში ჩადგმული ორი ჭურჭელი (ს. წ. №№ 6, 7, ტაბ. XXXII_{21}), რაც დაკრძალვის შემდეგ სამარხზე გასვლისა და განსაზღვრული რიტუალის შესრულებაზე უნდა მიგვითითებდეს. ამგვარი წეს-ჩვეულების არსებობა დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე—ყვარელწყლის, გულგულის, სამთავროს, განთიადის, წინწყაროს, და სხვ. (1, გვ. 188—189). ყველა შემთხვევაში სამარხის თავზე ჩაფლული თიხის ჭურჭელი ფორმით სამარხეული ინვენტარის იდენტურია და ქრონოლოგიურად თანადროული (1, გვ. 188—189). იგივე სურათი გვაქვს ბეჟანბაღის ორმოსამარხშიც.

სამარხში აღმოჩნდა: სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში—მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ს. წ. № 26); ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში—წვრილფეხა საქონლის ძვლები (ს. წ. № 27); მიცვალებულის თავთან—წვერით ჩარჭობილი რკინის დიდი მახვილი (ს. წ. № 8); მახვილის წვერთან—რკინის ნამგალი(?) (ს. წ. № 14), რკინის მოხრილი დანა (შეიძლება სასხლავი ?) (ს. წ. № 13), ღორის ეშვი (ს. წ. № 24); მიცვალებულის ყელის არეში—მინისა და გიშრის მძივები (ს. წ. № 23); ხელის მტევანზე—ბრინჯაოს სამაჯური (ს. წ. № 20); თითებზე—ბრინჯაოს ბეჭედი (ს. წ. № 18), რკინის ბეჭედი (ს. წ. № 17); ხელის მტევნების წინ—რკინის 2 დანა

(ს. წ. № 10,11); დანასთან—რკინის ისრისპირი (ს. წ. № 15); სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში—რკინის შუბისპირი (ს. წ. № 9); მიცვალებულის მარჯვენა ფეხის ქვეშ—რკინის დანა (ს. წ. № 12), აბზინდა (ს. წ. № 21)— მაკრატელი (ს. წ. № 16); სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში—თიხის ორყურა ქოთანი (ს. წ. № 5); სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში —თიხის ოთხი ჭურჭელი (ს. წ. № 1—4); მიცვალებულის მუხლებთან—კვირისტავის ფორმის მინის ნივთი (ს. წ. № 22); მენჯის ქვეშ—სალესი ქვა (ს. წ. № 25), ბრინჯაოს რგოლი (ს. წ. № 19).

სამარხში აღმოჩენილ ნივთებს სათითაოდ განვიხილავთ.

დ ო ქ ი (ს. წ. № 1) (ტაბ. XXXII_{23}), მოვარდისფრო-მოპირისფროდ გამომწვარი წმინდად განლექილი თიხისა. მას აქვს ფართო, გადაშლილი პირი, ოდნავ შევიწროებული დაბალი ყელი, მომრგვალებული მხრები, გრძელი და ფართო, ძირისკენ უმნიშვნელოდ შევიწროებული ტანი და ფართო, ბრტყელი ძირი. პირიდან იწყება და მხარს უერთდება ბრტყელგანივკვეთიანი, პირზე მაღლა აზიდული ყური.

ჭურჭლის ზომებია: სიმაღლე—36 სმ, მუცლის დმ—28 სმ, პირის დმ—12,8 სმ, ყელის დმ—10 სმ, ძირის დმ.—19 სმ, ყურის სიმაღლე—12,5 სმ, ყურის სიგანე—4,2 სმ (პირთან)—2 სმ (მუცელთან).

ო რ ყ უ რ ა ქ ი ლ ა (ს. წ. № 2) (ტაბ. XXXII_{19}), მოვარდისფრო-მოპირისფროდ გამომწვარი წმინდად განლექილი თიხისა. მას აქვს ფართო, გადაშლილი პირი, შევიწროებული, გრძელი ყელი და მომრგვალებული ტანი, რომელიც ქვევითკენ ოდნავ ვიწროვდება და მთავრდება ფართო, ბრტყელი ძირით. ბრტყელგანივკვეთიანი, მომრგვალებული პატარა ყურები მუცელზეა მიძერწილი. ჭურჭლის ზედაპირი შემკულია თეთრი ანგობით დატანილი კონცენტრული ზოლებით.

ჭურჭლის ზომებია: სიმაღლე—19,5 სმ, პირის დმ—12,5 სმ, ყელის დმ—10 სმ, მუცლის დმ—17 სმ, ძირის დმ—10,5 სმ, ყურის სიმაღლე—6 სმ.

თეთრი ანგობის კონცენტრული ზოლებით მოხატული თიხის ჭურჭელი დამახასიათებელია იორ-ალაზნის აუზისათვის და მისი არსებობის ჩარჩოები ჯერჯერობით ძვ. წ. IV და ახ. წ. IV სს. იფარგლება. სიმეტრიული და დახვეწილია ელინისტური ხანის ჭურჭლის ფორმები და მოხატულობა, ახ. წ. პირველი საუკუნეების ჭურჭლის ფორმა და მოხატულობა კი საკმაოდ დაუდევარია (1, გვ. 202; 2, გვ. 224—229).

ბეჟანბაღის აღნიშნულ ჭურჭელს ფორმითა და ორნამენტით ემსგავსება ალაზნის ველზე, ტყის ბოლო გორის № 3 ორმოსამარხში აღმოჩენილი ჭურჭელი, რომელიც თანმხლები ინვენტარის (იალოილუთაფას ტიპის თიხის ჭურჭელი) მიხედვით ძვ. წ. 1 და ახ. წ. 1 საუკუნეებით თარიღდება.

ქილა (ს. წ. № 3) (ტაბ. XXXII_{20}) მოვარდისფრო-მოპირისფროდ გამომწვარი წმინდად განლექილი თიხისა. მას აქვს ვიწრო პირი, ბრტყელი, შიგნითკენ დაქანებული ბაკო და მრგვალი ტანი, რომელიც ქვევითკენ ვიწროვდება და მთავრდება ფართო, ბრტყელი ძირით. ჭურჭელი ნაკლულია, აღდგა ნაწილობრივ. ჭურჭელს შიდაპირზე 5,5 სმ სიმაღლეზე 1 სმ სიგანის შავი ზოლი შემოსდევს; ეტყობა ჭურჭელში რაღაც სითხე მდგარა.

ჭურჭლის ზომებია: სიმაღლე—31 სმ, პირის დმ-17 სმ, მუცლის დმ—20 სმ, ბაკოს სიგანე———1,8 სმ.

ც ა ლ ყ უ რ ა ქ ი ლ ა (ს. წ. № 4) (ტაბ. XXXII_{24}). ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცი ქვიშანარევია, მასში შეიმჩნევა აგრეთვე ქარსის (?)

წვრილი ნაწილაკები. ჰურჰელი ტლანქია, ხელითაა ნაძერწი. მას აქვს ფართო, ბრტყელი, გადმოწეული პირი, ოდნავ გამოყვანილი დაბალი ყელი, მომრგვალებული, ძირისკენ უმნიშვნელოდ შევიწროებული ტანი და ფართო, ბრტყელი ძირი. ეტყობა პირიდან (?) იწყებოდა და მხარს უერთდებოდა მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყური მოტეხილია, მხარზე შეიმჩნევა მისი ნაშთი.

ჰურჰლის ზომებია: სიმაღლე—17 სმ, პირის დმ—12 სმ, ყელის დმ—18 სმ, ძირის დმ—15 სმ, ყურის დმ—1,8 სმ.

ო რ ყ უ რ ა ქ ო თ ა ნ ი (ს. წ. № 5) (ტაბ. XXXII_{22}), მოპირისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი წვრილმარცვლოვანი თიხისა, ზედაპირნაპრიალები (კეცი ისეთივე აქვს, როგორც იმავე სამარხში აღმოჩენილ დოქს). მას აქვს ფართო, გადმოწეული პირი, ოდნავ გამოყვანილი ყელი, მომრგვალებული, ძირისკენ თანდათან შევიწროებული მუცელი და ბრტყელი, ფართო ძირი, პირთან იწყება და მხარს უერთდება ბრტყელგანივკვეთიანი ყურები.

ჰურჰლის ზომებია: სიმაღლე—15,7 სმ, პირის დიამ. —17 სმ, ძირის დიამ.—13 სმ, ყელის დიამ. —16 სმ, მუცლის დიამ.—22 სმ, ყურის სიმაღლე—6,5 სმ, ყურის სიგანე—2,5 სმ (პირთან შეერთების ადგილას 4 სმ).

ჯ ა მ ი (ს. წ. № 6) (ტაბ. XXXII_{21}), მოვარდისფროდ გამომწვარი წმინდად განლექილი თიხისა. მას აქვს ბრტყელი, შიგნითკენ ოდნავ დაქანებული ბაკო, ქვევითკენ ოდნავ მომრგვალებული კალთები და ფართო, ბრტყელი ძირი. ზედაპირზე ჰურჰელს აქვს ოდნავ გამოყვანილი ყელი, ვიწრო მხრები და დაქანებული გვერდები. ჰურჰელი სქელკედლიანია. განსაკუთრებით სქელია გვერდები და ძირი.

ჰურჰლის შიდაპირი შემკულია ღრმად ამოღარული სპირალით. უორნამენტოდაა დატოვებული მხოლოდ ბაკო და გვერდის პატარა ნაწილი. ჰურჰლის ზედაპირი ნაპრიალებია.

ჰურჰლის ზომებია: სიმაღლე—6,5 სმ, პირის დმ—23 სმ, ძირის დმ—15 სმ, ბაკოს სიგანე—1,3 სმ, კეცის სისქე—0,8 სმ (ყელთან), 1,2—1,3 სმ (გვერდთან), 1,2—1,5 სმ (ძირთან).

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჰ ე ლ ი (ს. წ. № 7), (ძირ-გვერდის ნატეხებითაა წარმოდგენილი, ფორმის აღდგენა ჭირს), მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი წმინდამარცვლოვანი თიხისა. ზედაპირი მოხატული ყოფილა თეთრი ანგობით დატანილი კონცენტრული ზოლებით.

პირის დმ—10 სმ.

ასეთივე თეთრი ანგობით დატანილი კონცენტრული ზოლებითაა შემკული ამ სამარხში აღმოჩენილი ზევით განხილული ორყურა ქილა (ს. წ. № 2).

ამგვარად, სამარხში აღმოჩენილი თიხის ჰურჰლის უმეტესობა მოპირისფრო-მოვარდისფროდ ან მოვარდისფროდ გამომწვარი წმინდამარცვლოვანი თიხისაა, ჩარხზე ნაძერწი. ორი მათგანი თეთრი ანგობის კონცენტრული ზოლებითაა მოხატული, მაგრამ არის აგრეთვე ლეგა-მოყავისფრო ქვიშანარევი თიხისაგან გამომწვარი ტლანქი და ხელით ნაძერწი ერთი ჰურჰელიც. ფორმის მიხედვით აქა გვაქვს — სხვადასხვა მოყვანილობის ქილა, ცალყურა ქოთანი, ჯამი. ჰურჰელი ძირითადად მრგვალმუცლიანია, ფართო, ბრტყელი ძირით.

რ კ ი ნ ი ს მ ა ხ ვ ი ლ ი (ს. წ. № 8) (ტაბ. XXXII$_1$), გრძელი, ვიწრო, წვერისკენ თანდათან შევიწროებული, ორპირლესილი. პირი განივ ჭრილში რომბულია. მთელ სიგრძეზე დაბალი ქედი დაუყვება. ვადაზე ჩამოცმული აქვს ბრტყელი, ვიწრო, პირისგან გამოშვერილი მხრები. სატარე ყუნწი ბრტყელი, გრძელი და ვიწროა.

მახვილის ზომებია: სიგრძე—0,98 მ, მხრების სიგანე—6,5 სმ, მხრების სიმაღლე—2,1 სმ, სისქე—0,8—1,2 სმ, პირის სიგანე მხრებთან—4,3 სმ (პირთან—1 სმ), სატარე ყუნწის სიგრძე—14,2 სმ, ყუნწის სიგანე—2,2 სმ (უდიდესი)—1 სმ (უმცირესი), ყუნწის სისქე—0,5—0,2 სმ.

აღნიშნულ მახვილს ზომით და ნაწილობრივ ფორმითაც უახლოვდება კლდეეთის სამაროვანზე (სამარხი № 3) აღმოჩენილი მახვილი (3, გვ. 131—132, სურ. 21, 22, ტაბ. XXI$_3$).

კლდეეთის მახვილს ბეჟანბაღის მახვილისაგან განსხვავებით მოკლე სატარე ყუნწი აქვს და არა აქვს ვადაზე ჩამოცმული მხრები. ეს უკანასკნელი დეტალი ახასიათებს მოდინახეს გვიანანტიკური ხანის (ახ. წ. IV ს.) სამაროვანზე აღმოჩენილ სატევრებს (23, ტაბ. XX$_{3-5, 7, 8, 10}$, XI, გვ. 58—59).

რ კ ი ნ ი ს შ უ ბ ი ს პ ი რ ი (ს. წ. № 9) (ტაბ. XXXII$_2$), მასრა გახსნილი აქვს, ქვევითკენ საკმაოდ გაფართოებული. მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტია. პირი ჟანგისგან საკმაოდ შეჭმული და ნაკლულია, თითქოს ფოთლისებური მოყვანილობისა უნდა ყოფილიყო (მისი პირვანდელი ფორმის დადგენა ძნელია). შუაში დაბალი ქედი გასდევს.

შუბისპირის ზომებია: სიგრძე—23 სმ, უდიდესი სიგანე—3,5 სმ, მასრის სიგრძე—10 სმ, მასრის დმ—3 სმ (ბოლოში).

თითქოს მსგავსი ფორმისა ჩანს, თუმცა უფრო დიდი ზომის, კლდეეთის № 4 სამარხში აღმოჩენილი ერთ-ერთი შუბისპირი (3, გვ. 142, სურ. 29 გ).

რ კ ი ნ ი ს დ ა ნ ა (ს. წ. № 10) (ტაბ. XXXII$_9$), ბოლოწაწვეტებული. ქვედა, საჭრელი პირი სწორი უნდა ჰქონოდა (ახლა დაჟანგულია და ადგილ-ადგილ ამოტეხილი); ასევე სატარე ყუნწიც—მისი ქვედა მხარე სწორია, ზედა კი დაქანებული. სატარე ყუნწზე რკინის მანჭვალი და დაჟანგული ხის ნაშთებია შემორჩენილი.

დანის ზომებია: სიგრძე—14,6 სმ, სიგანე—2,5 სმ (ტართან)—0,3 სმ (წვერთან); ყუნწის სიგრძე—5 სმ, სიგანე—2—0,8 სმ.

რ კ ი ნ ი ს დ ა ნ ა (ს. წ. № 11) (ტაბ. XXXII$_7$), მცირე ზომის. ბოლო წაწვეტებული აქვს; საჭრელი პირი სწორია, ზედა კი მორკალული. სატარე ყუნწის ქვედა მხარე სწორია, ზედა კი დაქანებული. ყუნწზე მიჟანგული ხის ნაშთებია შემორჩენილი. დანა ისეთივე ფორმისა ჩანს, როგორც № 10 დანაა, ოღონდ მასზე გაცილებით პატარა ზომისაა.

დანის ზომებია: შემორჩენილი სიგრძე—7 სმ (აკლია სულ მცირე, წაწვეტებული ნაწილი), სიგანე—1,2 სმ (ტართან)—0,6 სმ (მოტეხილ წვერთან). ყუნწის სიგრძე—2 სმ, სიგანე—1,2 სმ. ბოლოსკენ ვიწროვდება.

რ კ ი ნ ი ს დ ა ნ ა (ს. წ. № 12) (ტაბ. XXXII$_8$), ბოლოწაწვეტებული, სატარე ყუნწით. ყუნწზე მიჟანგული ხის ნაშთებია შემორჩენილი. შესაძლოა ისეთივე ფორმისა იყო, როგორც №№ 10 და 11 დანებია (ახლა ჟანგისგან შეჭმულია და პირვანდელი ფორმა კარგად არა ჩანს).

დანის ზომებია: სიგრძე—11,7 სმ, სიგანე—1,8—0,5 სმ (წაწვეტებული ბოლო აკლია); ყუნწის სიგრძე—3,2 სმ, სიგანე—1,8 სმ (პირთან). ბოლოსკენ ვიწროვდება.

რკინის ჩვეულებრივი, სწორი დანები საერთოდ გავრცელებულია ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში, კერძოდ ხშირად გვხვდება ისინი მცხეთის სამარხებში (3, გვ. 175), ურბნისის სამაროვანზე (XXV უბანი, სამარხი № 4, ინვ. № 1—57:962; სამარხი № 277, ინვ. № 1—64:5019—ახ. წ. II—III სს. (6, გვ. 54—55, 77—78). მსგავსი ფორმის დანები გვხვდება უფრო მოგვიანო ხანით—III—IV სს. დათარიღებულ სამარხებშიც—ყოლოთო, სამარხი XXIII, XXIV, ინვ. № 288, № 4—58:291 (24, გვ. 118—120).

რკინის მოხრილი დანა (ს. წ. № 13) (ტაბ. XXXII_6), შეიძლება სასხლავი?, სატარეზე ორი მანჭვლით. წვერი მოტეხილი აქვს და ძალზეა დაჟანგული. სატარეზე ხის მიჟანგული ნაშთებია შემორჩენილი. დანის ზომებია: სიგრძე 16,5 სმ, სიგანე—2,4 სმ (ტართან)—0,3 სმ (წვერთან); სატარის სიგრძე—4,2 სმ, სიგანე—2,4—2,2 სმ; სამსჭვალის სიგრძე—2 სმ, სისქე—0,3 სმ.

რკინის ნამგალი (?) (ს. წ. № 14) (ტაბ. XXXII_5), შედგება ოთხი ნატეხისაგან. წვერი აკლია. სატარე სამკუთხა მოყვანილობისა ჩანს, წვეტიანი; თუ არა ხის მიჟანგული ნაშთები, იგი შეიძლებოდა ნამგლის წვერად გვეგულისხმა და არა სატარედ.

ნამგლის ზომებია: შემორჩენილი სიგრძე—25 სმ, სიგანე—2—1,2 სმ, სატარის სიგრძე—3,7 სმ (გამოიყოფა მხოლოდ ხის ნაშთების მიხედვით), სატარის სიგანე—1,4—0,3 სმ (ბოლოში). ფორმით თითქოს წააგავს კლდეეთის ნამგალსა თუ სასხლავს, მაგრამ მასზე უფრო გრძელია და ვიწრო (3, გვ. 16—18, სურ. 2ა).

რკინის ისრისპირი (ს. წ. № 15) (ტაბ. XXXII_3), ვიწრო, ოთხწახნაგა, რომბული ფორმის (ძალზეა დაჟანგული),

ისრისპირის ზომებია: სიგრძე—6,5 სმ, სიგანე—0,5—0,2 სმ.

რკინის მაკრატელი (ს. წ. № 16) (ტაბ. XXXII_4), დაჟანგულია და ნაკლული, მისი პირვანდელი ფორმის დადგენა ძნელია.

ზომ.: სიგრძე—12 სმ.

რკინის მაკრატლები აღმოჩენილია მინგეჩაურის ქვევრსამარხებში, მაგრამ, როგორც ს. კაზიევი აღნიშნავს, მათი ფორმის დადგენა ძნელია. შეიძლება იხმარებოდა ზამბარიანი მაკრატლები, მაგრამ შეიძლება არსებობდა უფრო პრიმიტიული ფორმა—ორი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილისაგან შედგენილი (4, გვ. 25, ტაბ. XXXVI_3).

მინგეჩაურის ქვევრსამარხებს ს. კაზიევი ძვ. წ. II—I სს. და ახ. წ. I—II სს. ათარიღებს, მაგრამ რომელ სამარხებს მიეკუთვნება აღნიშნული მაკრატლები, ძვ. წ. II—I საუკუნეებისას, თუ I—II საუკუნეებისას, ავტორს აღნიშნული არა აქვს.

რკინის ბეჭედი (ს. წ. № 17) (ტაბ. XXXII_{13}), ნაკლული. ბეჭდის რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ოდნავ ამობურცული. რკალი შუაში ვიწროა, მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის, ოვალური თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბუდე არაა ღრმა. შიგ უნდა მჯდარიყო მინის (?) თვალი; შემორჩენილია მისი მცირე ნაშთები.

ბეჭდის ზომებია: ბეჭდის დმ — 2,4 სმ, სიმაღლე — 2 სმ, რკალის უდიდესი სიგანე — 0,7 სმ, ფარაკის სიგრძე — 4,5 სმ, სიგანე — 1,3 სმ, თვალბუდის სიგრძე — 1,3 სმ, სიგანე — 1,1 სმ, თვალბუდის სიღრმე — 0,1 სმ.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ბ ე ჭ ე დ ი (ს. წ. № 18) (ტაბ. XXXII_{12}), დამტვრეულია და დაჟანგული. ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამობურცული. რკალი მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ოვალური თვალბუდე შიგ ბეჭედშია ამოჭრილი. ბუდე არაა ღრმა. შიგ უნდა მჯდარიყო მინის (?) თვალი; შემორჩენილია მისი მცირე ნაშთი. ფორმით ემსგავსება № 17 ბეჭედს, მაგრამ მასზე უფრო თხელია და ფაქიზი. თვალბუდე უფრო მცირე ზომისაა და უფრო ოვალური.

ბეჭდის ზომებია: ბეჭდის დმ—2,5 სმ, რკალის უდიდესი სიგანე—0,7 სმ, უმცირესი—0,2 სმ, ფარაკის სიგრძე—1,1 სმ, სიგანე—0,9 სმ, თვალბუდის სიგრძე—1 სმ, სიგანე—0,8 სმ, თვალბუდის სიღრმე—0,1 სმ.

ამ ტიპის ბეჭდებს ფ. ჰენკელი ახ. წ. I საუკუნით ათარიღებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ბეჭდის ეს ფორმები II საუკუნეშიც ახალი ფორმების გვერდით კიდევ დიდხანს განაგრძობს არსებობას (5, გვ. 261—264). აღნიშნული ტიპის ბეჭდები დიდი რაოდენობით გვხვდება ურბნისის სამაროვანზე (6, გვ. 9).

